პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის 1 მან. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. წვრილ განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ.

№ 52 (907) სამშაბათი, 4 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. **№ 52 (907)**

დღევანდელი გაზეთის №-რი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

მაროკოს მცხოვრებლებმა სასტიკად დაამარცხეს ისპანიის ჯარი.

ბულგარეთის მთავრობა დიდძალ ჯარს აგროვებს სამხრეთ-სლავიის საზღვრებზე.

ჰიტლერის პროცესზე ლუდენდორფმა განაცხადა, რომ გადატრიალების მიზანი იყო კომუნისტებთან ბრძოლა.

პოლონეთში უკანასკნელ თვეებში უმუშევართა რიცხვი უდრის 300 ათას კაცს.

ლოძში (პოლონეთი) გამოცხადებულია ფეიქართა საერთო გაფიცვა.

გაზ. „კომუნისტზე"

ხელისმოწერის ფასების შემცირება

რათა გავუადვილოთ მუშებს, მოსამსახურეებს, წითელარმიელებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას ხელისმოწერა ჩვენს გაზეთზე, „კომუნისტი"-ს რედაქცია აწესებს პირველი მარტიდან შემდეგ ფასებს:

მუშა-მოსამსახურეებისა, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის

გაზეთი ეღირება ჩერვონეცის ანგარიშით:

ერთი თვით	ტფილისში	90 კაპ.	სამი თვით	ტფილისში	2 მან. 60 კაპ.
	პროვინციაში	1 მანეთი		პროვინციაში	2 მან. 90 კაპ.
ორი თვით	ტფილისში	1 მან. 75 კაპ.	ექვსი თვით	ტფილისში	5 მან. 20 კაპ.
	პროვინციაში	1 მან. 95 კაპ.		პროვინციაში	5 მან. 90 კაპ.

ზემოხსენებული კატეგორიის ხელისმომწერლებს, რომლებმაც დღემდე განაახლეს ხელისმოწერა ძველი ფასების მიხედვით, განსხვავება ძველსა და ზემოაღნიშნულ ახალ ფასებს შორის ჩაეთვლებათ მომავალ ხელისმოწერაში.

ყველა დანარჩენებისათვის რჩება ძველი ფასები

ერთი თვით—1 მან. 50 კ. ორი თვით—3 მან. 3 თვით—4 მან. 50 კაპ. 4 თვით—6 მან. 5 თვით—7 მან. 50 კაპ. 6 თვით—8 მან. 50 კაპ. (პროვინციის ხელისმომწერლებმა ხვედრი ფულის გარდა უნდა შემოიტანონ 10 კ. თვიურათ გაზეთის გადასაგზავნი ხარჯების დასაფარავათ).

ყველა ხელისმომწერლები, გარდა დაპირებული პრემიებისა, მიიღებენ უფასოთ მარტის განმავლობაში საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობის სურათს კარგ ქაღალდზე. 0—3

ლტოლვა კომპარტიისაკენ და ჩვენი ამოცანები

ეს მასიური ლტოლვა ჩვენი პარტიისაკენ, რომელსაც იჩენს დღეს მუშათა კლასი, ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენაა.

ჩვენი პარტია იყო და არის ძლიერი იმით, რომ ის ემყარება მუშათა ფართე მასას, რომელიც აქტიურად უჭერს მას მხარს.

თვითმპყრობელობის ხანას რო დავანებოთ თავი, როცა ჩვენი პარტია ერთად-ერთი რევოლიუციონური პარტია იყო, რომელიც ჰკრებდა თავის გარშემო მუშებს და მათ ბრძოლისა და გამარჯვებისათვის ამზადებდა,—რევოლიუციის შემდეგი ხანა მოწმობს, რომ ჩვენს პარტიასა და უპარტიო მუშებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. რევოლიუციის კრიტიკულ მომენტებში მუშათა კლასი მთლიანად ზურგს უმაგრებდა თავის მოწინავე რაზმს, ჩვენს პარტიას, რომელმაც მისი თანაგრძნობით და უშუალო დახმარებით არა ერთი და ორი სიძნელე გადალახა, გასრისა შინაური კონტრ-რევოლიუცია, დაამარცხა საერთაშორისო კაპიტალის შემოსევა.

პროლეტარიატი მთლიანად ალებული შეეზარდა, შეესისხლხორცა ჩვენს პარტიას, რომელიც საბოლოოდ გახდა მისი საკუთარი პარტია.

როცა შარშან ჩვენმა პარტიამ 25 წლის არსებობის და ბრძოლის იუბილე გადაიხადა, ამ ისტორიულ თარიღს მუშათა უპარტიო მასები შეხვდნენ დიდი აღფრთოვანებით და ეს დღე თავის დღესასწაულადაც გამოაცხადეს.

დღეს უფრო დიდი სურათის მოწმენი ვართ. ლენინის სიკვდილმა არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მუშათა კლასზე, ამან ერთხელ კიდევ გამოაშკარავა, თუ როგორ მტკიცედ და ორგანიულადაა დაკავშირებული პროლეტარიატი ჩვენს პარტიასთან. ლენინი აღარ არის, მაგრამ ცოცხალია მუშათა კლასი, რომელიც თავისი ახალი რიგებით გააძლიერებს მის პარტიას, ან კიდევ უფრო მჭიდროდ შემოკრბება მის გარშემო, რათა განახორციელოს ბელადის ანდერძი,—ასე გამოეხმაურა მუშათა კლასი ლენინის სიკვდილს.

ჩვენმა პარტიამ ანგარიში გაუწია უპარტიო მუშათა მასსის ამ სტიქიურ სულიერ განწყობილებას და გადაწყვიტა—მიიღოს თავის რიგებში ასი ათასი ახალი წევრი—ნამდვილი, დაზგასთან მდგარი მუშა.

და დაიწყო რევოლიუციონურ ბრძოლებში და სამრეწველო შრომაში გამობრძმედილ პროლეტარების მასიური დენა ჩვენი პარტიისაკენ.

ჩვენს პარტიაში შემოდიან ყველა საუკეთესო ელემენტები მუშათა კლასის.

რა თქმა უნდა, პარტიაში შემოსვლის მსურველი აუარებელია. მაგრამ მასში მოხვედრა მხოლოდ რჩეულებისათვის არის მისაწვდომი. ამ შერჩევას, გაცხრილვას აწარმოებენ პირველ ყოვლისა თვით უპარტიო მუშები თავიანთ საჯარო კრებებზე.

მკითხველი დღეს გაეცნობა ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტის წერილიდან, თუ როგორი სიფრთხილით, პასუხისმგებლობით და მკაცრად უდგებიან ისინი პარტიაში შესვლის მსურველებს, რათა იქ არ მოხვდნენ შეუფერებელი პირები. არკვევენ წამოყენებულ კანდიდატებს ყოველმხრივ. უპარტიო მუშათა მასა კისრულობს პოლიტიკურ და მორალურ პასუხისმგებლობას ჩვენი პარტიის ახალი წევრებისათვის.

ეს გარემოება სრულ გარანტიას იძლევა, რომ პარტიაში მოხვდებიან მხოლოდ ყოველმხრივ საიმედო ელემენტები.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულზე ხელი დავიკრიფოთ და პარტიაში ახლად შემოსულ პროლეტარებ შორის არ ვაწარმოოთ სათანადო მუშაობა.

ჩვენს წინაშე დგას უდიდესი ამოცანა ახალი წევრების შეთვისების, მათი გადამუშავების, გადახარშვის პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ლარჯაკში.

ჩვენს პარტიას ბრწყინვალე წარსული აქვს, რომელსაც უფრო ახლოს უნდა გავაცნოთ და ვაზიაროთ ახლად შეძენილი პარტიული ამხანაგები.

ჩვენს პარტიას აქვს თავისი ტრადიციები, თავისი დისციპლინა, თავისებური ყოფა-ცხოვრება და მრავალი სხვა. ახალ წევრებს ყველაფერი ეს უნდა შევასწავლოთ, ყველაფერს ამას უნდა შევაჩვიოთ ისინი.

ჩვენი პარტიისაკენ მშრომელი მასის დენა მოწმობს, რომ გაიზარდა უკანასკნელის პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობა. მას სურს უფრო ახლობელი და უშუალო მონაწილეობა მიიღოს პარტიულ, სახელმწიფოებრივ, პროფესიონალურ, სამეურნეო და სხვა მუშაობაში. ეს კი უკეთესად შესაძლებელია ჩვენი პარტიის საშუალებით, მასში ყოფნით. პარტიამ უნდა ჩააბას მის რიგებში ახლად შემოსული მასსა ამ აღმშენებლობითი მუშაობაში.

ახალი წევრების საშუალებით პარტია აფართოვებს თავის კავშირს უპარტიო მასსასთან. ამ კავშირის განმტკიცებაში პარტიამ უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა მათ, რომელნიც არამც და არამც არ უნდა მოწყდნენ ამ მასსას.

დიდია პარტიის, მისი ძველი წევრების მოვალეობა და ამოცანები ახალი წევრების მიმართ.

მხოლოდ აქ ხაზგასასმელია ერთი გარემოება ძველს და ახალ წევრების დამოკიდებულებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს პირველთა ჭირვეულ ოპეკას, მზრუნველობას უკანასკნელებზე, მათ პირველ ხანებშიც არ უნდა იგრძნონ თავი უცხო პირებად, უნდა დამყარდეს ურთიერთშორის სრული ამხანაგური და ნდობის ატმოსფერა.

პარტია შესძლებს ამ ამოცანების განხორციელებას და თავის ახალი ასი ათასი წევრის, ნამდვილი მუშის შედულებას თავის ორგანიზმთან.

ორი სამარცხვინო მემკვიდრეობა

თვითმპყრობელობის დროს გლეხისათვის სახელმწიფო დაწესებულებათა კარი დაკეტილი იყო. თუ გლეხი სამართალს ეძებდა და ვინმე მოხელეს მიმართავდა, პირველ ყოვლისა ძღვენი (სხვანაირად ქრთამი) უნდა მიერთმია, სხვარიგად მას „კინწის კვრით" გამოაგდებდნენ გარეთ. ბოქაული, მოსამართლე, მამასახლისი, მღვდელი, ვექილი, [illegible] კომისიის წევრი, ყველა და ყველა ქრთამს ილებდა გლეხისაგან. აქედან ცხადია, გლეხი ქრთამის [illegible] შეეჩვია და მის შესრულებით [illegible] ყოველი მოხელე „[illegible]" კაცა—მექრთამე.

მენშევიკების დროს არამც თუ არ შემცირდა მექრთამეობა, პირიქით—განვითარების უძლიერეს წერტილს მიაღწია. ქრთამით სცხოვრობდა მენშევიკების ყოველი მოხელე: მილიციონერიდან-მინისტრამდე. ვის არ ახსოვს ნაციონალ-დემოკრატების გაზეთებში გამოქვეყნებული ფაქტები ცნობილ მენშევიკ კაჭუხაშვილისაგან ქრთამის ალების შესახებ. მენშევიკებმა სასჯელის მაგიერ მას სამსახურის ადგილი გამოუცვალეს და ალმატებაც მისცეს. საკვირველია, მენშევიკების დროს ერთი პროცესიც არ გამართულა მექრთამის დასასჯელად.

მენშევიკურ მთავრობის დროს საქართველოში კიდევ ერთმა „კულტურამ" იჩინა თავი. ეს გახლავთ ყალბ მოწმობათა და ნებართვათა გამრავლება. განსაკუთრებით მომარაგების სამინისტროში ყოველი „ჩინოვნიკი" აკეთებდა ნებართვებს: შაქრისა, ხალიჩებისა, ოქრო-ვერცხლისა ან სხვა რამ ძვირფას საქონლის სხვაგროდ ან საზღვარ-გარეთ გატანა-შემოტანისათვის. ამ ყალბი ქაღალდებით პირდაპირ ქუჩაში ვაჭრობდნენ—ხშირად დიდი თანამდებობის პირებიც კი.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო ძველი, მექრთამეობაში აღზრდილი მოხელეები.

საბჭოთა ხელისუფლება ამ სამარცხვინო ნაშთს თავიდანვე სასტიკად ებრძვის. არც ერთი მთავრობა ისე სასტიკად არ სდევნიდა მექრთამეობას, როგორც საბჭოთა ხელისუფლება. სამი წლის განმავლობაში ჩვენმა სასამართლომ მრავალი ასეთი ლაწირაკი გასრისა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრისთვის კიდევ ვერ მიგვიგნია. მექრთამეები უმეტესად რესპუბლიკის უფრო ბნელ კუთხეებში ითბობენ ხელს. იქ თვით ობიექტიური პირობები: გლეხების შეუგნებლობა და კომპარტიის ორგანიზაციის სიმცირე—აძლევს მათ საშუალებას.

მაგრამ ჩვენ დაწესებულებებში სხვა უბედურებაც მოიპოვება. ეს გახლავთ ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება. ბიუროკრატიზმი ძველი მოხელეების მუშაობის სისტემა არის. თუ გლეხი იზრდებოდა მონობის უღელ ქვეშ,—ძველი მოხელე იზრდებოდა „სატრაპისა" და კუდაბზიკა ამპარტავნის სულისკვეთებით. ეს ორი მოპირდაპირე ელემენტები ისე ძლიერად ვითარდებოდა ძველად, რომ სისტემის დარღვევა ხშირად მოხელის სამსახურიდან დათხოვას იწვევდა.

გლეხის ფსიქოლოგია კიდევ იმდენად განიცდის ძველი სისტემის ზეგავლენას, რომ—ხშირად ათჯერაც რო სთხოვოთ დაჯდომა მთავრობის მოხელის ოთახში—მაინც არ დაჯდება; მისთვის მოხელის ოთახში თვით სკამებსაც მიუკარებლობის სახე აქვთ.

ამ ფსიქოლოგიის აღმოფხვრა გლეხის ტვინიდან ძნელია, სანამ ახალი თაობა არ წამოიზრდება. მაგრამ მთელი ძალღონე საბჭოთა ხელისუფლებისა მიმართულია მექრთამეობასთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლისაკენ.

გლეხი არ ამხელს მექრთამეს, სანამ მთავრობის მოხელე რაღაც ხელშეუხებელ და მიუწვდომელ კერპს წარმოადგენს. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ გლეხებს, რომ მასა კი არ არსებობს მთავრობის აპარატისათვის და მისი მოხელეებისათვის, არამედ თვით აპარატი და მოხელე არსებობს გლეხისა და მუშისათვის. ამის შეგნება შეიძლება ჩვენი აპარატების ხშირი და პერიოდული წმენდის სახით. უნდა შემოვიღოთ დაწესებულებათა მთელი შტატის გადათვალიერება-გაწმენდა უღირს ელემენტებისაგან. გადათვალიერება - გაწმენდის დროს შევკრიბოთ ახლო რაიონის მუშები და გლეხები. ყოველი მოხელის ღირსების შესახებ უნდა შევეკითხოთ მუშებსა და გლეხებს. გლეხებმა და მუშებმა უნდა იგრძნონ თავი მეთვალყურის, კონტროლიორის როლში. ეს ზომა საჩქაროდ უნდა გატარდეს, განსაკუთრებით ჩვენ სოფლებში კამპანიამ უნდა მიიღოს ძალიან ფართო და პოპულიარული ხასიათი. მან უნდა შექმნას ძველ დროსთან საწინააღმდეგო ორი ახალი ფსიქოლოგიური ელემენტი: გლეხი-მუშა კონტროლიორი და მეორე მხრით მოხელე საბჭოთა დემოკრატის სულისკვეთებით აღჭურვილი. ამით ჩვენ დავანგრევთ ძველ სამარცხვინო შენობის უკანასკნელ ფიცრებს, მოვსპობთ ორ სამარცხვინო მემკვიდრეობას.

ასეთი გაწმენდა უნდა მოხდეს პერიოდულად, რომ ყოველმა მოხელემ იცოდეს თუ რა მოელის.

კომპარტიაში გაწმენდა ორჯერ მოხდა. პროფკავშირებშიდაც იყო ზოგიერთგან. გავატარეთ აგრეთვე მილიციაში, მაგრამ საბჭოთა დაწესებულებებში დღემდე არ გატარებულა.

კომპანია უნდა გატარდეს დაახლოვებით შემდეგ ლოზუნგებით: „სიკვდილი მექრთამესა და ბიუროკრატს", „სასტიკი სასჯელი მოხელეს, რომელიც გლეხსა და მუშას ყურადღებით არ მოუსმენს და საჩქაროდ არ გაუკეთებს კანონიერ საქმეს". „ბრძოლა ცუღლუტობასა და საბოტაჟთან მუშაობაში" და სხვ.

ი. ტალახაძე.

საფინანსო კითხვები

8. ვინ განაგებს ადგილობრივ ფინანსებს.

ამ კითხვის ისე, როგორც ზოგიერთი სხვა კითხვების შესახებ არც საქართველოს და არც ა. | კ. საკავშირო მთავრობას სათანადო დებულებები და ინსტრუქციები ჯერ არ შეუმუშავებია. ამ კითხვების შესახებ სახელმძღვანელოდ მხოლოდ საბჭოთა კავშირის გასულ წლის 12 ნოემბრის დადგენილება არსებობს. ეს არის „დროებითი დებულება ადგილობრივ ფინანსების შესახებ". მაგრამ ეს დებულება მხოლოდ საერთო პრინციპებს, საერთო მოხაზულობას იძლევა და ამ ფარგლებში საქართველოს მთავრობამ უნდა ამოქარგოს დებულებები და ინსტრუქციები, რომელნიც საქართველოს ცხოვრების სინამდვილეს შეჰფერის და ეგუება.

ცენტრალური დაწესებულებები

თანახმად „დროებითი დებულებისა" (განყ. 2 თავი 1) საერთო საკავშირო კანონმდებლობის ფარგლებში დებულებები, წესები, ინსტრუქციები და განმარტებანი სათანადო რესპუბლიკების საკანონმდებლო დაწესებულებათა დამტკიცებით უნდა გამოიცეს (მუხ. 2, ლიტ. ა) ამავე მუხლის ლიტ. ბ) ამბობს, რომ „ფინანსიურ სფეროში ადგილობრივ საფინანსო ორგანოების მოღვაწეობის უშუალო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა" სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა კომისარს ევალება. ვინაიდან საქართველოში არის ა | კ. ფინსახკომის რწმუნებული, რომელსაც, „ადგილობრივ საფინანსო ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა" კანონით აქვს დაკისრებული. ადგილობრივ ფინანსების საქმეებში რწმუნებული, როგორც კომისრის „მოადგილე" კომისრის მოვალეობას ასრულებს საქართველოში. მაშასადამე საერთო საკავშირო კანონმდებლობის ფარგლებში და მის საფუძველზე ადგილობრივ ფინანსების შესახებ რწმუნებულმა უნდა დაამზადოს პროექტები დებულებების, ინსტრუქციების და განმარტებებისა და საჭირო შემთხვევებში ესენი რესპუბლიკის მთავრობას დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს.

რწმუნებულის კომპეტენციაში შედის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში დასკვნის წარდგენა იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა გადაირიცხოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან ავტონომიურ რესპუბლიკების და სხვა ადგილობრივ ორგანოების სასარგებლოდ (მუხ. 2, ლიტ. ვ).

რესპუბლიკის ცენტრალური საფინანსო უწყება შინაგან საქმეთა კომისარიატთან შეთანხმებით ამტკიცებს ადგილობრივ ორგანოთა შუამდგომლობას იმ ქონებებზე გადასახადების გადიდების შესახებ, რომელთა ღირებულების ზრდა შედეგია კომუნალურ მუშაობისა (ლიტ. გ); ეს ორი ორგანო იხილავს მოსალოდნელ დეფიციტის დასაფარავად რესპუბლიკის ფონდიდან დოტაციის მიცე. მის საკითხს; იგივე საფინანსო უწყება დაინტერესებულ უწყებებთან ერთად არჩევს ადგილობრივ ორგანოების მიერ ახალი გადასახადების და გამოსაღებების შემოღების საკითხს (ლიტ. დ). იმავე საფინანსო ორგანოს მოვალეობაა საფინანსო სფეროში ზედამხედველობის განხორციელების წესით ადგილობრივ ორგანოთა დადგენილებების და განკარგულებათა შესახებ საჩივრების გარჩევა და სათანადო ორგანოებისაგან უკანონო დადგენილებათა და განკარგულებათა გაუქმების მოთხოვნა (ლიტ. ე); იმავე ორგანოს ეკისრება ადგილობრივ საფინანსო ორგანოთა მოქმედების, საქმის წარმოების, ანგარიშ წარმოების და ანგარიშიანობის გამოკვლევა, ამ სფეროებში ინსტრუქტორობა და, თუ საჭიროება მოითხოვს, რევიზიაც (ლიტ. .).

ასეთია ფუნქციები და მოვალეობა რესპუბლიკის ცენტრალურ საფინანსო უწყებისა ადგილობრივ საფინანსო ორგანოთა და ადგილობრივ ფინანსების მიმართ—თანახმად საბჭოთა სოციალისტ. რესპუბლიკების კავშირის მიერ მიღებულ დებულებისა ადგილობრივ ფინანსების შესახებ (12 ნოემბერი 1923 წ.).

მაგრამ აქ აღნუსხულ მოვალეობა-უფლებებით არ ამოიწურება ა | კ. რესპუბლიკების ცენტრალურ საფინანსო უწყებათა ფუნქციები. ა | კ. რესპუბლიკებში გუბერნიები არაა. აქ გუბერნიების მაგიერ მაზრებია და მაზრების ალაგას—რაიონები; ამიტომ ა | კ. რესპუბლიკებში გუბერნიის საბჭოების და აღმასკომების მაგიერ მაზრების ბიუჯეტებს რესპუბლიკის ცენტრალური საფინანსო უწყებები (რწმუნებულთა სამმართველოები) და სახალხო კომისართა საბჭოები არჩევენ და ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტები ამტკიცებენ.

ადგილობრივი დაწესებულებები

მთავარი საკითხები სამაზრო საფინანსო ორგანოების შესახებ საფინგანის გარჩევის დროს ამოვწურეთ, მაგრამ ჩვენ არ შევეხებივართ რაიონების ფინანსებს, რაიონების ბიუჯეტებს. მათი შესრულების ანგარიშებს სამაზრო აღმასკომი იხილავს და ამტკიცებს (რასაკვირველია მათი განხილვაში წინასწარი მუშაობას სამფინგანი აწარმოებს).

მაზრის, რაიონების და სამაზრო ქალაქებს შორის შემოსავალ-გასავლის განაწილების გეგმას საზფინგანი იმუშავებს (განყ. 11, თავი 2, მუხ. 20, ლიტ. ბ); ამ უფლებიდან გამომდინარეობს სამფინგანის მეორე უფლება: ის არის რაიონების ფინანსების და საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელი და ზედამხედველი. დაინტერესებულ პირს რაიონების დადგენილებაზე დღიდან უკანასკნელის გამოცხადებისა შეაქვს საჩივარი ადგილობრივ რაიონის კომიტეტში, რომელმაც ორი კვირის ვადაში ეს საჩივარი და თავისი პასუხი სამფინგანის საშუალებით სამაზრო აღმასკომს უნდა წარუდგინოს.

ასეთია ადგილობრივ ფინანსთა გამგენი და ამ უკანასკნელთა ფუნქციები.

9. მოულოდნელი ხარჯების დაფარვა.

არამც თუ დღევანდელ პირობებში სრულიად ნორმალურ ხანაშიაც ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც სახელმწიფოს და ადგილობრივ ორგანოს წინ მოულოდნელად აუცილებელი ხარჯები წამოიჭრება, რომელთა გაწევას ხალხის ჯანმრთელობის დაცვა, მტრის მოგერიება, სტიქიური მოვლენების შედეგები ან საკვების სიმცირე, ხიდების დანგრევა, ჯებირების დარღვევა და სხვა ასეთი საჭიროებები მოითხოვენ. ვერც სახელმწიფო და მით უმეტეს ადგილობრივი ორგანო თავისი ჩვეულებრივი ბიუჯეტის წყაროებიდან მიღებულ თანხებით ასეთი მოულოდნელ ხარჯებს ვერ დაფარავს, ვინაიდან ამ თანხებს თავისი აუცილებელი დანიშნულება აქვთ. სხვა პირობებში ასეთ ხარჯების დასაფარავათ განსაკუთრებული გადასახადების შემოღება და სხვადასხვა სახით სესხის აღება (ბანკიდან, საობლიგაციო და დაგირავება) შეიძლებოდა, მაგრამ დღეს, როგორც ვიცით, საგადასახადო უნარიანობა ამოწურულია და სესხის აღებისათვის საჭირო პირობები ჯერ არ შექმნილა.

აი ამიტომ, უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მოულოდნელათ ადგილობრივ ორგანოს წინ წამოჭრილ ხარჯის გაწევა აუცილებელია, ავტონომიურ რესპუბლიკებს და მაზრებს უფლება ეძლევათ სათანადო რესპუბლიკის ცენტრალურ საფინანსო დაწესებულების წინაშე დახმარების შესახებ შუამდგომლობა აღძრან (განყ. 4 მუხ. 114 და 115).

საბჭოების სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი (СНК СССР) ყოველწლიურად ითვალისწინებს სპეციალ სადოტაციო ფონდს ადგილობრივ ბიუჯეტების დეფიციტების დასაფარავად. ამ ფონდის თანხა რესპუბლიკებს შორის ნაწილდება და ხვედრი წილი თითოეულ რესპუბლიკების ბიუჯეტში შედის (მუხლი 116). თვითეული რესპუბლიკა ადგილობრივ ორგანოების მატერიალურ მდგომარეობას იკვლევს და ითვალისწინებს და შემდეგ მათ დახმარებას უწევს. ამისათვის რესპუბლიკის ცენტრალურ საფინანსო დაწესებულებასთან არსებობს ადგილობრივ ფინანსების განყოფილება, რომლის მოვალეობა ადგილობრივ ფინანსების ყოველ მხრით შესწავლაა; მაგრამ, როდესაც ადგილობრივი ორგანო მოულოდნელ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ფულით ან ნატურით დახმარების საკითხს კონკრეტიულად აყენებს, მაშინ საჭიროა ამ კითხვის მრავალმხრივ გაშუქება და ამ მიზნით „დროებითი დებულება" თითეულ რესპუბლიკის ცენტრალურ დაწესებულებასთან განსაკუთრებულ კომისიის დაარსებას მოითხოვს; ეს იქნება სახელმწიფო სალარებიდან ადგილობრივ ბიუჯეტების ფინანსიურად დახმარების კომისია. ამ კომისიის დადგენილება ძალაში შედის მას შემდეგ, როდესაც რესპუბლიკის ცენტრალური საფინანსო უწყება ამ დადგენილებას დაამტკიცებს (მუხ. 117). ხსენებულ კომისიაში უნდა მიიღონ მონაწილეობა დაინტერესებულ კომისარიატთა წარმომადგენლებმა. თუ რომელიმე მათგანი არ დაეთანხმა კომისიის უმრავლესობის დადგენილებას და თუ მან შეიტანა თავისი საკუთარი აზრი, მისი მოთხოვნით დახმარების საკითხი საბოლოოთ გადასაწყვეტათ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს გადაეცემა (მუხ. 118).

ხსენებულ სადოტაციო ფონდიდან მიღებული თანხა რასაკვირველია, ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა იქნეს შეტანილი.

რასაკვირველია, მოულოდნელ ხარჯების საკითხის ამნაირად გადაჭრა დროებითია. რასაკვირველია, სრულიად შეუძლებელია მოულოდნელ ხარჯების რაოდენობის წინასწარ გათვალისწინება; მაშასადამე წინასწარ გამოანგარიშებულ სადოტაციო თანხის საშუალებით მისი დაფარვაც მეტად სათუოა. ამიტომ, როდესაც ნორმალური საეკონომიო-საფინანსო პირობები შეიქმნება და განმტკიცდება, მოულოდნელი ხარჯებიც უფრო იშვიათი იქნება და მათი დაკმაყოფილებაც სხვადასხვა სახის სესხით მოგვარდება.

დ. თ.

23 ათასი განცხადება მოსკოვში პარტიაში შესვლის შესახებ

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

ლენინის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვის მუშებში დაიწყო კომუნისტური პარტიისადმი ლტოლვა. ჯერ კიდევ არ გასულა ერთი თვეც და მსურველების რაოდენობა ფრიად საგრძნობ რიცხვამდი ავიდა. 24 თებერვალს პარტიაში შესვლის სურვილის განცხადებები აღწევს 23 ათასს. ეს ციფრი არ არის საბოლოვო. განცხადებების შემოსვლა დღითი-დღე მატულობს. უმეტესად ამ მოძრაობას აქვს კოლექტიური ხასიათი. განცხადებები შეაქვთ ჯგუფობით, ძვირად ცალკცალკე პირებს.

ყველა ქარხნებში პარტიაში შესვლის საკითხი პირველ რიგში არის დაყენებული. საკითხი წინასწარ ისმება მუშების საერთო კრებებზე. განცხადებების განხილვაც საერთო კრებებზე სწარმოებს, სადაც ეცნობიან თვითეულის ბიოგრაფიას. კრება კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ყველა მსურველს. აძლევენ მრავალ სხვადასხვა ხასიათის შეკითხვებს, რომ გამოარკვიონ, თუ რას წარმოადგენდა უწინ განცხადების შემომტანი. შეკითხვები ეხებიან შინაურ ყოფა-ცხოვრებასაც: რა განწყობილებაში არის კანდიდატი ოჯახთან, ხომ გლახათ არ ეპყრობა ცოლს, აქვს სახლში ხატები თუ არა, სარწმუნოებასთან დამოკიდებულება, ეწეოდა თუ არა ვაჭრობას იმ დროს, როცა მუშების მდგომარეობა ცუდი იყო (20 და 21 წელში). ხომ არ უყვარდა დათრობა და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორი მუყაითი მუშა არის კანდიდატი. ზარმაცს და თავის მოვალეობის უპიროთ და დაუდევრათ შემსრულებელთ კრება არ ამტკიცებს. მუყაითობა მთავარ მოთხოვნილებათ იქნა ცნობილი პარტიაში შემსვლელებისათვის. მხედველობაში იღებენ აგრეთვე პროფესიონალურ კავშირში მუშაობას: ხომ არ გაურბის კრებებს, შეაქვს თუ არა რეგულიარულად საწევრო გადასახადი, ასრულებს თუ არა პროფესიონალურ დისციპლინას.

კრებები, სადაც ირჩევა პარტიაში შესვლის განცხადებები, მრავალრიცხოვანი. ესწრებიან არა მარტო ამ ქარხნის მუშები, არამედ სხვებიც. კრებებზე მოდიან მუშების ოჯახის წევრებიც. ბევრი განცხადებები შემოსული არის ძველ მუშებისაგან, რომელთაც უმუშავნიათ 10 და 20 წელი. ხშირად აცხადებენ აგრეთვე მოხუცი მუშებიც—50 და 60 წლის, რომელთაც მთელი თავის სიცოცხლე დაზგასთან გაუტარებიათ. საგრძნობლად არის მუშა ქალების განცხადებებიც. თხოულობენ უკანვე მიღებას ისინიც, რომლებმაც დაანებეს პარტიას თავი 21 წელში—ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების გამო. განცხადებებში სწერენ, რომ ახლა ხედავენ თავიანთ შეცდომას.

პარტიაში შესვლის განცხადება შემოდის არა მარტო სახელმწიფო წარმოების მუშებისაგან, ბევრია აგრეთვე კერძო წარმოებებში მომუშავეთა მხრივ. არის შემთხვევები, რომ ზოგიერთ ქარხნებში განცხადებები შემოტანილია მუშების საერთო რიცხვის 50—60 პროცენტისაგან, რაც ერთი ხამად ზრდის ამ ქარხნის კომუნისტების რიცხვს. საბოლოვო მიღებას წინ უძღვის თვითეულის ვინაობის ყოველმხრივათ გამორკვევა, რაც სწარმოებს რამოდენიმე ინსტანციაში. ყველა მერყევს, სუსტს, მორწმუნეთ, საქმის და დავალებების დაუდევრათ შემსრულებლებს, არა მუყაითებს, სამოქალაქო ომის დროს მობილიზაციიდან თავის დამფარველთ, ოჯახების წევრებისადმი ცუდათ მომპყრობთ და კლასიური ბრძოლის მნიშვნელობაში გაურკვეველთ—მუშების საერთო კრებები წინააღმდეგ უჯრიან კენჭს და არ აძლევენ პარტიაში შესვლის თანხმობას- მხოლოდ მათთვის, ვინც გულწრფელად მისწრაფის პარტიის რიგებში იმ აზრით, რომ თავი შესწირონ პროლეტარიატის გამარჯვების საქმეს, პარტიის კარები ღია არის. თვითეული ახალი წევრის მიღებას უდგებიან იმ მხრივ, თუ რამდენათ განამტკიცებს ის პარტიის რიგებს და რა მნიშვნელობა ექნება მას, როგორც მებრძოლი ორგანიზაციის ერთეულს.

დან—ძე

მოსკოვი, 24 თებერვალი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ

სპარსეთი საბჭოთა კავშირს სთვლის აღმოსავლეთ ხალხთა ერთად-ერთ ნუგეშად.

სამხრეთ ჩინეთის მუშათა ორგანიზაციები ემზადებიან ამხ. კარახანის საზეიმოდ შეხვედრისათვის.

საფრანგეთის მთავრობა მოითხოვს სამხრეთ-სლავიისაგან საბჭოთა კავშირის ცნობას.

ესტონეთის მთავრობამ ბოდიში მოიხადა საბჭ. კავშ. მთავრობის წინაშე საბჭოთა კავშირის შესახებ გაზეთებში ყალბი ცნობების მოთავსების გამო.

საბჭოთა კავშირი აღმოსავლეთის ნუგეშია

სპარსეთის პარლამენტის წევრის ხოსროვის სიტყვა.

მოსკოვი. 3 მარტი. სპარსეთის პარლამენტის წევრმა არბაბ ხეი-ხოსროვმა მიიღო მონაწილეობა რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის გამგეობის სხდომაზე, რომელიც იხილავდა საკითხს ბაქოს ბაზრობის შესახებ.

მისალმების საპასუხოთ, ხოსროვმა აღნიშნა პალატის როლი სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარების საქმეში, და განაცხადა, რომ სპარსეთში დაბრუნების შემდეგ ის მიიღებს ყოველგვარ ზომებს, ორივე ქვეყნის დასაახლოვებლად და გააბათილებს ამ დაახლოვების მტრების მიერ გამოგონილ ჭორებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. ხოსროვმა სთქვა „საბჭოთა მთავრობა სცდილობს ხელი შეუწყოს სპარსეთში სახალხო მეურნეობის აღორძინებას, უგზავნის რა მას ამერიკულ ბამბის თესლს, რითაც მას მოაქვს დიდი სარგებლობა სპარსეთისათვის. საბჭოთა კავშირი არა მარტო ვაჭრობს სპარსეთთან, არამედ იგი არის აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხის ნუგეში."

ხოსროვმა უპასუხა აგრეთვე რუსეთ-აღმოსავლეთის პალატის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლეჟავას და მასთან საუბრის დროს ხაზი გაუსვა ბაქოს ბაზრობის პოლიტიკურ როლს სპარსეთის ბაზართან ჩვენი ვაჭრობის დაკავშირების საქმეში.

ჩინეთი

ჩვენი წარმომადგენლის საზეიმო შეხვედრა.

პეკინი. 1 მარტი. კარახანის განზრახვის გამო, ჩამოვიდეს სამხრეთ-ჩინეთში, შანჰაის 16 მუშათა ორგანიზაციამ აირჩია კომიტეტი კარახანის შეხვედრის მოსაწყობად.

საფრანგეთი.

ეძებს შუამავალს.

ვენა. 1 მარტი. ბელგრადის გაზეთი „ნოვოსტი" იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს სამხრეთ-სლავიის მიერ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას, ვინაიდან სამხრეთ-სლავია არის ყველაზე უკეთესი შუამავალი პარიზსა და მოსკოვს შორის.

ესტონეთი

ინციდენტი ამოწურულია

რეველი. 1 მარტი. ამ ჟამად ამოწურულად ითვლება ის ინციდენტი, რომელიც წარმოიშვა გაზეთებში დაბეჭდილ ინტერვიუს გამო ესტონეთის შინაგან საქმეთა მინისტრ ენბუნდთან; ესტონეთის მთავრობამ გაუგზავნა საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება დამყარებული იყო შეუმოწმებელ ცნობებზე, რომლებიც შემდეგ შემცდარი აღმოჩნდა. ესტონეთის მთავრობა გამოსთქვამს მწუხარებას ინციდენტის გამო და ხაზს უსვამს, რომ მას არავითარი ზრახვა არ აქვს მტრული ნაბიჯები გადასდგას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისი

მტკიცე პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ.

ლონდონი. 1 მარტი. კონსერვატიულ პარტიის ერთ-ერთმა წევრმა თემთა პალატაში შეიტანა შეკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად მართალია, რომ საბჭოთა მთავრობამ უარი განაცხადა შუამდგომლობაზე ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შეყვანის

კომინტერნის 5 წლის თავი

საზეიმო სხდომა ლენინგრადში

ლენინგრადი. 3 მარ. ამხ. ურიცკის სახელობის სასახლეში გაიმართა საზეიმო სხდომა კომინტერნის არსებობის 5 წლის თავის აღსანიშნავად. დარბაზი სავსეა ხალხით. პრეზიდიუმში საგუბერნიო კომიტეტის ბიუროს გარდა, არჩეული არიან კომინტერნის აღმასკომის წევრები: კლარა ცეტკინი, კოლლაროვი, ბიური, ტერრაჩინი და სხვები, რომელთაც მთელმა დარბაზმა ოვაციები გაუმართა. პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. ზინოვიევს.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

ლენინი—დროშაა საერთაშორისო პროლეტარიატისათვის.

„ასეთ დღეებში,—ამბობს ამხ. ზინოვიევი,—განსაკუთრებული გულის ტკივილით იგონებ საერთაშორისო მუშათა კლასის დანაკლისს, მის მიერ გაღებულ მსხვერპლს, როცა დაეცენ ამხანაგები, როზა ლიუქსემბურგი ლიბკნეხტი, როცა დავკარგეთ ისეთი მებრძოლები, როგორიც იყვნენ ამხ. ტიშკო, ლევინი, მერინგი და მრავალი სხვები. ახლა ჩვენ დავკარგეთ ყველაზე თვალსაჩინო მებრძოლი, მასწავლებელი, მთელი კომინტერნის სულის ჩამდგმელი—ლენინი, ვისი სახელი არის პროგრამა, დროშა—ლოზუნგი საერთაშორისო პროლეტარიატის. ლენინის ინტერნაციონალის დღეს გავიხსენოთ მასწავლებელი—ბელადის სახე" (ყველანი ფეხზე დგებიან და მრავალი ათასი კაცისგან შემდგარი ხორო ასრულებს სამგლოვიარო მარშს).

ჩვენ გავიმარჯვებთ.

გადავიდა რა კომინტერნის დახასიათებაზე, ამხ. ზინოვიევმა განაცხადა: **„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომინტერნის არსებობის ათი წლის თავისათვის, არა მარტო მსოფლიოს მეექვსედ ნაწილში არამედ მთელ მსოფლიოში იქნება განხორციელებული პროლეტარიატის დიქტატურა; ის გაიმარჯვებს მსოფლიოს დიდ ნაწილში. ჩვენ ვიღებთ ჩვენს თავზე ვალდებულებას მივიყვანოთ გამარჯვებამდი პირველი მარქსისტული ინტერნაციონალის მცნებანი".** ამხ. ზინოვიევის უკანასკნელ სიტყვებს: „ჩვენ გავიმარჯვებთ. გაუმარჯოს კომინტერნს!" ფარავს ინტერნაციონალის ხმები, რომელსაც მთელი დარბაზი ასრულებს.

ამხ. კლარა ცეტკინას სიტყვა.

მხოლოდ ინტერნაციონალი დაამარცხებს მსოფლიო ბურჟუაზიას.

ამხ. კლარა ცეტკინა, რომელსაც მთელი დარბაზი მხურვალე ოვაციებით ეგებება, ესალმება ლენინგრადის მუშებს გერმანიის კომპარტიის სახელით.

ამხ. კლარა ცეტკინი ამბობს:

„მეორე ინტერნაციონალმა შეარცხვინა ინტერნაციონალიზმის იდეა, მშრომელ მასებს დაუკარგა თავისი პროლეტარული ძალების და მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის ძალის რწმენა.. საჭირო დარჩა 1917 წლის ოქტომბერი, რათა მუშები კვლავ დარწმუნებულიყვნენ, რომ ინტერნაციონალიზმის იდეები ცოცხალია ახლა მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი მიხვდა, რომ რუსეთის პროლეტარიატის გზა, ეს არის მისი გზა. ინტერნაციონალიზმის გარეშე შეუძლებელია ბურჟუაზიის დამარცხება. **პროლეტარიატმა დაინახა ვინ არის მისი მტერი და მეგობარი და გაბედულათ მიდის რუსეთის მუშების გზით. ჩვენ ვეჩვევით ბოლშევიკურად ლაპარაკს, რადგან ვიცით, რომ მხოლოდ ბოლშევიკური პრაქტიკა და ტაქტიკა მიგვიყვანს ჩვენ გამარჯვებამდი."**

ამხ. კოლაროვის სიტყვა.

საერთაშორისო ბურჟუაზიის დღეები დათვლილია.

„მეორე ინტერნაციონალმა ვერ გამოიჩინა მოქმედების უნარი, მხოლოდ კომინტერნის ლოზუნგები შეესაბამებიან მუშათა მოთხოვნილებებს და სურვილებს. **პროლეტარული რევოლუცია იწყება. მსოფლიო ბურჟუაზიის დღეები დათვლილია. ჩვენ მოველით საერთაშორისო რევოლუციას კომინტერნის არსებობის 5 წლის თავზე. ჩვენ გეუბნებით თქვენ: „იდექით მედგრათ და მოუარეთ თქვენს საბჭოთა კავშირს,—ის საუკეთესო მონაპოვარია ყველა ქვეყნის მშრომელთათვის".**

ამხ. ტერრაჩინის და სხვ. სიტყვა.

ამხ. კოლლაროვის შემდეგ სიტყვას ამბობენ იტალიის კომპარტიის წარმომადგენელი ამხ. ტერრაჩინი, საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელი—ამხ. ბიური და სხვები.

შესახებ და განზრახული აქვს თუ არა ინგლისის მთავრობას ამის გამო გადასინჯოს საკითხი ინგლის-რუსეთის კონფერენციის შესახებ.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პონსონბიმ უპასუხა, რომ ინგლისის მთავრობას არ შეუძლია დაემყაროს იმ პრინციპს, თითქოს მან ურთიერთობა უნდა იქონიოს მხოლოდ ერთა ლიგაში წარმოდგენილ ან ლიგას თანაგრძნობ მთავრობებთან.

სპარსეთი.

საბჭოთა კავშირის ვაჭრობა სპარსეთთან.

მოსკოვი. 3 მარტი. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა სპარსეთის მნიშვნელოვან ბაზრებზე მოაწყო დასამზადებელი კანტორები, რომლებიც უკვე შეუდგნენ სპარსეთის საექსპორტო საგნების დამზადებას და გაზიდვას.

ოსმალეთი.

ოსმალეთის სამხედრო აგენტი წითელი არმიის შესახებ.

მოსკოვი. 3 მარტი. ოსმალეთის სამხედრო აგენტმა რახმი-ბეიმ ინახულა უმაღლესი სამხედრო შკოლა. პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს რახმი-ბეიმ განაცხადა: „წითელმა არმიამ ჩემზე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა. მე ვინახულე ჰაეროდრომი, სამხედრო აკადემია და კავშირის შკოლა და ყოველგან ვხედავდი, რომ თქვენი ახალგაზრდობა ენტუზიაზმით ცდილობს შეითვისოს სამხედრო ცოდნა"

პირველი ელჩი.

ანგორა. 1 მარ. ოსმალეთის პრესა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ელჩი სურიცი არის პირველი ელჩი, რომელმაც რწმუნების სიგელი ჩააბარა რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს.

რუმინეთი.

რუსეთ რუმინეთის მოლაპარაკების გარშემო.

ვენა. 2 მარტი. ბუქარესტის გაზეთების ცნობით, რუმინეთის დელეგაციის თავმჯდომარე იქნება რუმინეთის ელჩი სოფიაში—რასკანუ, წევრებათ—სენატორი დრაგიჩესკუ და დეპუტატი ჟუვარა, ექსპერტებათ; ბესარაბიის საქმეების გამო—კიშინიოვის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე პანტეა, ჩეზაკუ, კრიხანი.

ნორვეგია.

მეფის მიერ დადებული ხელშეკრულებანი გაუქმებულია.

მოსკოვი. 3 მარტი. ნორვეგიის წარმომადგენელმა მოსკოვში გადასცა საგარეო საქმეთა კომისარს ნოტა, რომელშიც თავისი მთავრობის სახელით გაუქმებულათ აცხადებს 1907 წლის ხელშეკრულებას, რომელიც თავის დროზე დადებული იყო გერმანიასა, საფრანგეთსა, ინგლისსა, ნორვეგიასა და რუსეთს შორის.

რა ხდება ინგლისში

ვერსალის ხელშეკრულების დაცვა

ლონდონი. 1 მარტი. მაკ-ნეილმა სასტიკად გააკრიტიკა შინაგან საქმეთა მინისტრის ჰენდერსონის განცხადება ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ. მაკ ნეილმა შეკითხვა შეიტანა, ეთანხმება თუ არა მთავრობა ამ განცხადებას?

მაკდონალდმა უპასუხა, რომ ჰენდერსონის განცხადება არ ეთანხმება მთავრობის დეკლარაციას საგარეო პოლიტიკის შესახებ, მაგრამ ის, მაკდონალდი უკმაყოფილებას გამოსთქვამს საფრანგეთის პოლიტიკის გამო რურში.

ლოიდ-ჯორჯმა აღნიშნა, რომ ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას, დიდი ეჭვით უცქერიან ვერსალის ხელშეკრულების შეცვლის ცდას, ამიტომ მათთვის უკანასკნელის გადასინჯვის თავზე მოხვევა უაზრობა იქნებოდა.

მდგომარეობა გერმანიაში

კომუნისტური და ტევტონური პარტიების ლეგალიზაცია.

ბერლინი. 1 მარტი. გამოქვეყნდა იბერტის განკარგულება საგანგებო წესების და ყველა იმ განკარგულების გაუქმების შესახებ, რომლებიც ზღუდავდენ პიროვნების, სიტყვის და პრესის თავისუფლებას. **ამრიგად მოხდა კომუნისტური და ტევტონური პარტიების ლეგალიზაცია.**

ამავე დროს გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ეძლევა მიიღოს ზომები ისეთი ცდების წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იქნება არსებული წესწყობილების დამხობისაკენ.

გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება.

ბერლინი. 1 მარტ. ნეიმიუნსტერში დაპატიმრებულია 22 კომუნისტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კომუნისტური პარტიის საოლქო კონფერენციაზე. დრეზდენში დააპატიმრეს ეიხენის ოლქის კომუნისტური ორგანიზაციის კონფერენციის მონაწილეები. დაპატიმრებულებს შორის არის ლანდტაგის დეპუტატი რონერი.

სოციალ-დემოკრატების ღალატი.

ბერლინი. 1 მარ. რურის და რეინის მუშების ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის დამარცხებით დამთავრდა, სოციალ-დემოკრატების და ქრისტიანულ დემოკრატების ღალატის გამო. შესწყდა გაფიცვა ბარმენში, ზოლინგენში, ვაგენში და ნახშირის რაიონში. მხოლოდ კელნის და ნოიზოდის ოლქების სამთომადნო მუშები განაგრძობენ ნაწილობრივ წინააღმდეგობას.

ჰიტლერის პროცესი

ბერლინი. 1 მარტი. ჰიტლერის პროცესზე ლიუდენდორფმა ჩვენებაში აღნიშნა, რომ მისი ბრძოლის მიზანი იყო ბრძოლა მარქსისტულ და კომუნისტურ იდეებთან და ებრაელობასთან. ჰიტლერის გამოსვლა მოულოდნელი იყო მისთვის. ლიუდენდორფი დარწმუნებული იყო, რომ კარიც იმავე მიზანს ისახავს.

ბერლინის ქალაქის ხმოსანთა კრება.

ბერლინი. 1 მარტი. ბერლინის ქალაქის ხმოსანთა კრებაზე კომუნისტებმა განაცხადეს პროტესტი იმ კომუნისტ მოხელეების დათხოვნის წინააღმდეგ, რომლებმაც უარი სთქვეს გაეგზავნათ უმუშევრების იძულებით სამუშაოზე. დარბაზში მყოფმა საზოგადოებამ მხარი დაუჭირა კომუნისტებს თავმჯდომარემ ვერ მოახერხა წესრიგის აღდგენა.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

აგიტატორის სახელმძღვანელო

1. ქალთა საერთაშორისო დღე (8 მარტი) 1924 წ. უნდა ჩატარდეს ილიჩის ანდერძთა ცხოვრებაში გატარების ნიშნის ქვეშ, ვინაიდან არც მანამდის და არც მის დროს არავის ისე ცხადათ და დაბეჯითებით არ დაუყენებია მშრომელთა წინაშე ამოცანები მუშა და გლეხ ქალთა განთავისუფლების სფეროში და ისეთი სისწორით არ აღუნიშნავს ის გზები, რომელთაც მივყევართ ამ ამოცანების რადიკალურად გადაჭრისაკენ.

2. ძირითადი აზრი და შინაარსი ქალთა საერთაშორისო დღისა მიმართულია იქითკენ, რომ, ერთი მხრით, მივაპყრათ მშრომელთა ყურადღება იმ „სამარცხვინო, ფარისევლურ—როგორც ამხ. ლენინი ამბობს—დამოკიდებულებას ქალებისადმი, რომელსაც ადგილი აქვს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში", მივაქციოთ მშრომელთა ყურადღება არა მარტო ამ დამოკიდებულების აღმოფხვრის საკითხს, არამედ სპეციალური ზომების გამომუშავებასაც, რომლნიც დაიცავენ მუშა და გლეხ ქალებს, როგორც დედას. მეორე მხრით, ქალთა საერთაშორისო დღე წარსულში და ეხლაც ისახავს თავის ამოცანად—ჩააბას პროლეტარიატის საერთო რევოლუციურ ბრძოლაში ქალთა ფართო მასები იმ ლოზუნგის ქვეშ, რომ ქალთა განთავისუფლების ამოცანა შეადგენს მშრომელთა საერთო საქმის ნაწილს, რომელიც სავსებით განხორციელდება მხოლოდ კომუნიზმის დამყარებით.

3. ლენინმა გენიალურათ ჩააბა მუშათა კლასი ბრძოლაში, მოაწყო მისი გამარჯვება, ხელმძღვანელობა მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ ქვეყნის, შეიტანა მუშათა კლასის მომქმედ პროგრამაში ქალთა საუკუნოებრივი მონობის მოსპობის ყველა მთავარი და მცირე საკითხები. მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციას, რომელიც ძირშივე სპობს ბატონყმობის ყველა ნაშთებს, შეუძლია მოსპოს ქალთა უთანასწორობა—ასე გვასწავლიდა ამხ. ლენინი.—მაგრამ მუშა და გლეხ ქალებს სჭირდებათ არა იურიდიული, არამედ ფაქტიური თანასწორობა—და ეს საუცხოვოდ გაითვალისწინა ამხ. ლენინმა. ის მიუთითებდა ქალის განთავისუფლების საჭიროებაზე „ოჯახიდან" ე. ი. მოითხოვდა ბავშვთა სოციალურ აღზრდის მოწყობას, დედათა და ბავშვთა დაცვას, საზოგადოებრივ კვებას და სხ., ვინაიდან ვლადიმერ ილიასძეს, რომელსაც ყველაზე მეტათ სძულდა ცოცხალ, რეალურ საქმეზე დაშორებული სიტყვა, კარგათ ესმოდა, რომ ყოფა-ცხოვრების მხოლოდ საზოგადოებრივ საფუძვლებზე მოწყობა სავსებით გაანთავისუფლებს და გაათანასწორებს ქალს.

4. ამხ. ლენინმა გაითვალისწინა აგრეთვე ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც შეუძლია ითამაშოს ქალთა მშრომელმა მასამ საბჭოთა ქვეყნის მშენებლობის რთულ საქმეში. აღნიშნავდა რა, რომ მხოლოდ კომუნიზმს შეუძლია ქალთა სრული განთავისუფლება, ამხ. ლენინი მუდამ მიუთითებდა, რომ კომუნიზმის განხორციელება შეუძლებელია მუშა და გლეხ ქალთა აქტიურ მონაწილეობის გარეშე.

საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს თავისი საქმე—ამბობდა ამხანაგი ლენინი—მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ საქმეში მიიღებენ მონაწილეობას მუშა და გლეხ ქალთა მილიონები.

5. რომ მუშა და გლეხ ქალთა მილიონებმა შესძლონ აქტიური მონაწილეობის მიღება ქვეყნის მშენებლობაში, საჭიროა ფართოთ დავაყენოთ საკითხი საუკუნოებით მივიწყებულ და დამონებულ მუშა და გლეხ ქალთა კულტურულ და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ. ჩვენ გვყავს კურსებზე და სკოლებში ასი და ათასი მუშა და გლეხი ქალები; ჩვენ უნდა გავამრავლოთ ისინი ასი ათასამდე.

საჭიროა წამოვაყენოთ საკითხი გოგოების და მოზარდ ქალების მომზადების შესახებ შეგნებულ საწარმოო ცხოვრებისათვის. ყველა ჩვენი მოღვაწენი (მუშა და გლეხ ქალთა რიცხვი საბჭოებში, სასურსათო ორგანოებში, კოოპერაციაში და სხვა) მრავალჯერ უნდა გავამრავლოთ მიმდინარე წელს. მასთან ერთად უნდა გავაძლიეროთ მუშაობა იმ დაწესებულებათა ასაშენებლად, რომელთაც მიზნად აქეთ დასახული ქალთა განთავისუფლება (ადგილობრივ მიღწევების და პერსპექტივების ციფრები). „ასეთი დაწესებულებების აშენება—საუკეთესო ძეგლი იქნება ლენინისათვის", სწერს ამხ. კრუპსკაია, ვლადიმერ ილიასძეს უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი.

6. მთელი ეს მუშაობა მოითხოვს ძირითად წინაპირობას, საბჭოთა სახელმწიფოს მეურნეობის ზრდას.

ამისათვის საჭიროა—ამბობდა ამხ. ლენინი, მუშათა და გლეხთა კავშირის გაძლიერება, განმტკიცება. ეს ანდერძი ილიჩისა სრულიად უნდა განხორციელდეს. ფონდების შექმნა დედათა და ბავშვთა დასაცავად სოფელში, მუშა ქალთა დახმარება სოფლისათვის ამ ახალ საქმეში ყველაზე უკეთ დაუახლოებს და დაუკავშირებს ერთმანეთს მუშა და გლეხ ქალებს.

7. მსოფლიო მშრომელებმა დაკარგეს თავისი გენიალური ბელადი და ხელმძღვანელი.

მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის კოლექტიური აზრი და გამოცდილება უნდა გაუძღვეს ქვეყანას ლენინის მიერ გაკაფულ გზით. ამისათვის საჭიროა უფრო მეტად შეკავშირდენ მუშები და გლეხები ლენინის კომპარტიის გარშემო, რომ დაეხმარონ მას რევოლუციის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის შესრულებაში.

საუკეთესო მებრძოლნი, უფრო მედგარნი და გამოცდილი მუშა და მუშა ქალები მუშათა კლასმა უნდა გამოყოს პარტიაში.

და ქალთა საერთაშორისო დღეს ფაბრიკა-ქარხნების ათასეულმა საუკეთესო მუშა ქალებმა უნდა გააძლიერონ პარტია.

8. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი—ეს არის მსოფლიო რევოლუციის ერთად ერთი მაგარი ბაზა. ეს ბაზა თანდათან მტკიცდება, მას ცნობენ მისი უძლიერესი მტრები (იურიდიული ცნობა ინგლისისა და იტალიის მიერ).

რევოლუცია იზრდება და ვითარდება ნელი ტემპით, მისი ძირითადი კვანძი დღეს გერმანიაშია, ს. ს. რ. კ. მშრომელნი ფხიზელ თვალყურს ადევნებენ მუშათა კლასის ბრძოლას და მთელი თავის ძალღონით ცდილობენ დაეხმარონ ამ მძიმე მომენტში გერმანიის პროლეტარიატს, რათა დაიცვას და შეინახოს ამ უკანასკნელმა თავის ძალები მომავალ ძლევა-მოსილ ბრძოლებისათვის.

აღმოსავლეთში.

საბჭოთა აღმოსავლეთის ქვეყნებში ეს თეზისები უნდა ჩატარდეს ადგილობრივ პირობების შეფარდებით. მიმდინარე წელში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ლენინის როლი ნაციონალური საკითხის გადაჭრაში; ლენინის ფიგურა უნდა წარმოსდგეს ამ მთელ თავისი სიდიადით, როგორც ერთად ერთი მებრძოლის ჩაგრულ ერთა უფლებებისათვის.

8 მარტი აღმოსავლეთში უნდა ჩატარდეს როგორც საერთო ეროვნული დღესასწაული და ამ დღეს ფართოდ იქნეს გაშუქებული საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის ძირითადი ღონისძიებანი აღმოსავლეთის მშრომელი ქალის განთავისუფლების სფეროში (ჩადრის აკრძალვა, მცირე-წლოვანთა დაქორწინება და მრავალ-ცოლიანობა).

მუშა ქალის საერთაშორისო დღე აღმოსავლეთში უნდა აღინიშნოს განსაკუთრებული კულტურული ფონდის შექმნით აღმოსავლეთის მშრომელ ქალთათვის, და სადაც ეს შეუძლებელია მთელი რიგ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებით ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში (ბაგათა დაარსება, დამატებითი სამშობიარო ლოგინების მოწყობა, კონსულტაციების მოწყობა ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობისათვის, შეკეთება სკოლების, კლუბების, არტელებისათვის ფინანსების გაღება).

მოიგონებენ რა ამხ. **ლენინის** ანდერძს—ძმური კავშირი გლეხობასთან და ქალაქისა და სოფლის დაკავშირება—მუშა ქალთა შორის მომუშავე განყოფილებებს 8 მარტის დღესასწაული გადააქვთ დაკვრითი თემებში, „აულებში" და „კიშლაკებში", სადაც აგზავნიან ქალაქის დელეგატ ქალებს.

რ. კ. პ. ც. კ—ის ქალთა განყოფილება.

თეზისები

1. 8 მარტის დღე არის წითელი რევოლუციონური დღესასწაული მთელი ქვეყნის მშრომელ ქალთა.

2. 8 მარტის დღესასწაული პარტიამ უნდა გამოიყენოს როგორც მუშათა ფართე მასებში, აგრეთვე ჩვენს პარტიის რიგებში საუკეთესო სააგიტაციო საპროპაგანდო საშუალებათ არსებულ ყალბ შეხედულებათა აღმოსაფხვრელად, რაც დაკავშირებულია ბურჟუაზიულ სამეფოში ქალთა მდგომარეობასთან.

მშრომელ ქალთა დღეს 8 მარტს პარტიამ უნდა მოუწოდოს ყველა მუშას დაეხმაროს მშრომელ ქალებს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც შეამსუბუქებენ მის მდგომარეობას, წინ დააყენებენ და დაიცავენ მშრომელ ქალთა ინტერესებს.

3. მშრომელ ქალთა დღე დაწესდა 1910 წ. სოციალისტ ქალთა მეორე კონგრესზე კოპენჰაგენში (დანია) გერმანიის კომუნისტური პარტიის ბელადის და მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალთან არსებულ საერთაშორისო ქალთა სამდივნოს წევრის კლარა ცეტკინის წინადადებით. კონფერენციამ გადასწყვიტა ყოველ წელს ერთ და იმავე დღეს ჩატარებულიყო მშრომელ ქალთა დღე, ქალთა საბოლოოთ განმათავისუფლებელ სოციალიზმისათვის ბრძოლაში ქალთა გაერთიანების ლოზუნგით.

4. მშრომელ ქალთა დღის პირველ წლებში ძირითად ლოზუნგს წარმოადგენდა ქალთა პროლეტარულ მასებისთვის საარჩევნო უფლების მოთხოვნა. მაშინ ეს ლოზუნგი ეგუებოდა პროლეტარიატის რევოლუციონურ მოძრაობას, იკრებდა ქალთა ფართე მასებს და ხელს უწყობდა ქალების სოციალისტურ პარტიაში ჩაბმას.

პირველი საერთაშორისო ქალთა დღე ჩატარებულ იქნა ევროპის ყველა სახელმწიფოებსა და ამერიკაში 1911 წელს. ამ დღისათვის გამოიცა ორი სააგიტაციო ხასიათის ჟურნალი: გერმანიაში „ქალთა საარჩევნო უფლება" და ავსტრიაში „ქალთა დღე". ეს დღე განსაკუთრებით კარგათ ჩატარდა გერმანიასა და ავსტრიაში. ყველგან პატარა ქალაქებსა და სოფლებშიაც კი შესდგა მიტინგები. დარბაზები ისე სავსე იყო, რომ მამაკაცებს მოუხდა ქალებისათვის ადგილის დათმობა. ამ შემთხვევაში მამაკაცები ბავშვებით შინ დარჩნენ, ხოლო ქალები კი კრებაზე წავიდნენ.

ავსტრიაში უდიდეს დემონსტრაციის მსვლელობის დროს პოლიცია ჩაერია საქმეში და მშრომელ ქალებს ხელიდან გამოსტაცა დროშები. მშრომელი ქალები პოლიციისაგან გმირულად იგერიებდენ თავს, მოხდა შეჯახება და მხოლოდ მუშების ჩარევამ შეაჩერა მერიოხული შეტაკება.

6. რუსეთში მშრომელ ქალთა დღე პირველად ჩატარებულ იქნა მეფის მთავრობის დროს 1913 წ. შავი რეაქციის ხანაში. ამ დღის ღიად და ფართოდ დღესასწაულობის შესაძლებლობა არ იყო. მუშათა ორ გაზეთში „პრავდა"-სა და „ლუჩ"-ში დაბეჭდილი იყო მაშინ წერილები მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ. აქვე იყო დაბეჭდილი მუშათა მოძრაობის მებრძოლებისა და მოღვაწე ქალების სურათები და სხვა სახელმწიფოებიდან მისალმებაა: ბებელის და კლარა ცეტკინის: კლარა ცეტკინა სწერდა: „გესალმებით თქვენ თქვენი გმირული გადაწყვეტილების გამო, რომ დღესასწაულობთ ამ დღეს შავ-ბნელ რეაქციის ხანაში".

პეტროგრადში პარტიულ ამხანაგებმა ეს დღე მოაწყვეს ჩუმად, მუშათა კლუბში მუშა ქალების მოძრაობის ისტორიის შესახებ სამეცნიერო დილის სახით, 5 კაპეიკიან შესასვლელ ბილეთებით, ე. ი. ჩუმი მიტინგი.

დარბაზი ხალხით გავსებული იყო. გამოვიდენ სალაპარაკოთ პარტიული ამხანაგები. კრება დასრულებული არ იყო, რომ შეშფოთებული პოლიცია შემოიჭრა და მრავალი ორატორი დააკავა და დააპატიმრა.

7. 1914 წელს პეტროგრადის მუშა ქალებმა გადასწყვიტეს ედღესასწაულათ ლეგალურად მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე და გამოეშვათ ამ დღისათვის ჟურნალი. „გრადონაჩალნიკმა" ნება დართო ამ დღეს კრების გამართვაზე და ჟურნალის გამოცემაზე, რამაც ძალიან გააკვირვა მშრომელი ქალები. დაიწყო მზადება. გარყვნილმა მეფის მთავრობამ განზრახ მისცა ნებართვა, რათა ხელთ ეგდო დასატუსაღებლად აქტიურათ მომუშავე ქალები და ეს ასეც მოხდა. საერთაშორისო დღის ერთი დღით ადრე დააპატიმრეს სარედაქციო კოლეგია, რომელიც ამზადებდა ჟურნალის გამოცემას და მრავალი აქტიურად მომუშავე მუშა-ქალი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პარტიულ ამხანაგებმა ამ დღისათვის მაინც მოახერხეს სპეციალურ ჟურნალის გამოცემა და მოაწყვეს ზოგიერთ რაიონებში მშრომელ ქალთა კრებები და დემონსტრაციები, რაც მეფის პოლიციამ მათრახებით დაშალა.

8. მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის წლებში 1915 და 16 წ. მშრომელ ქალთა დღე თითქმის არ ჩატარებულა. ინტერნაციონალისტების ცდას, რომ ეს დღე გადაქცეულიყო ყაჩაღურ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციათ, წინ აღუდგენ გერმანიის და სხვა სახელმწიფოების სოციალ-გამცემლები.

9. 1917 წ. 8 მარტი გახდა უდიდეს ისტორიულ დღეთ რუსეთის და საერთაშორისო პროლეტარიატის კაპიტალთან ბრძოლაში.

23 თებერვლიდან იწყება (ახალი სტილით 8 მარტიდან) რუსეთის დიდი რევოლუცია. მაშინ აუტანელი მძიმე იყო მუშა ქალთა მდგომარეობა რუსეთში: ფაბრიკასა და ქარხნებში შრომის საკატორღო პირობები, 12—14 საათიანი სამუშაო დღე, უმნიშვნელო მცირე შრომის ხელფასი, საფაბრიკო-საქარხნო ადმინისტრაციის მკაცრი თვითნებობა და მშრომელ ქალთა პოლიტიკური უუფლებობა ხდიდა მათ ნამდვილ მონებათ. კიდევ უფრო მძიმე გახდა მშრომელ ქალთა მდგომარეობა მაშინ, როდესაც დაიწყო ყაჩაღური ომი.

დაუსრულებელი ომით, სიმშილობით და უუფლებლობით გაწამებული ლენინგრადის მუშა ქალები 23 თებერვალს (ახ. სტ. 8 მარტს) გამოვიდენ ქუჩებში წითელი დროშებით და ლოზუნგებით: „ძირს ომი", „დაგვიბრუნეთ სანგრებიდან ჩვენი ქმრები და შვილები", „მოგვეცით პური და ზავი". ამ გაწამებულ მუშა ქალების რიგებს შეუერთდენ მუშა მამაკაცები და ჯარის კაცები და შეერთებული რიგებით წავიდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და სამუდამოთ დაამხეს საზიზღარი მეფის ტახტი.

10. საბჭოთა რუსეთში მშრომელ ქალთა დღე 1918—19 წ. წ., როდესაც მშრომელი ქალები სამოქალაქო ომის ხანაში, თავის გულით იცავდენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, ჩატარდა წითელი ფრონტის განმტკიცების და მსოფლიო ბურჟუაზიისაგან შემოტევის მოგერიების ლოზუნგით.

1920 წ. „ქალთა დღის" ლოზუნგი იყო მოწოდება მთელი ქვეყნიერობის მშრომელ ქალების მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალის გარშემო გასაერთიანებლათ და მთელ ქვეყნიერობაზე ბურჟუაზიისა და კაპიტალის ბატონობის დასამხობათ.

რუსეთში 1920—21 წ. წ. ლოზუნგს შეადგენდა უსისხლო ფრონტზე მშრომელ ქალთა გაერთიანება სახალხო მეურნეობისა და ტრანსპორტის აღსადგენათ. ნახშირის დამუშავება, პურის მოწევა და 22 წელს ვოლგის დამშეულთა დახმარება.

11. საქართველოს მშრომელ ქალებს მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ მიეცათ შესაძლებლობა ედღესასწაულათ თავისი საერთაშორისო დღესასწაული. 1921 წელს ეს დღესასწაული კერძო ხასიათს ატარებდა, მხოლოდ 22 წელს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება სამუდამოთ განმტკიცდა ამიერ კავკასიაში, დიდი ზეიმით და ფართედ იქმნა გადახდილი მთელ საქართველოში, როგორც ტფილისში, ისე მაზრებში ეს დღე ეწყობოდა: საზეიმო სხდომები, გრანდიოზული მიტინგები და ხდებოდა ერთი დღის შრომის ხელფასის გადარიცხვა ვოლგის დამშეულთა სასარგებლოთ. ზოგიერთ ადგილას ამ დღის აღსანიშნავათ გაიხსნა საბავშო სახლები და არტელები.

12. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მშრომელ და გლეხს ქალებს მისცა ყოველგვარი უფლება. ისინი სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რაც მამაკაცებს აქვთ. პარტიის ამოცანას შეადგენს შეაგნებინოს იმათ ამ უფლებით სარგებლობა და მიიზიდოს ისინი ახალ ცხოვრების აღმშენებლობაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ გახსნა მთელი რიგი დაწესებულებები: წერა-კითხვის უცოდინარობის სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, კლუბები, კურსები და ბიბლიოთეკები იმ მიზნით, რომ მისცეს ქალებს აუცილებელი ცოდნა, რათა აღმოფხვრილ იქნეს მათში სარწმუნოებრივი ცრუ-მორწმუნოებანი და ზნე-ჩვეულებანი. საქართველოს მშრომელ ქალებისათვის 1923 წლის 8 მარტის დღე იყო კულტურულ განმანათლებელ მუშაობის გაძლიერების დღე.

და ეხლა, როდესაც ჩვენ წარსულ წელს გაწეულ მუშაობას ჯამს უკეთებთ, თამამად შეიძლება ითქვას რომ კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დავალება ნაწილობრივად შესრულებულია. ჩვენი მუშაობის მესამე წელს ჩვენ გვყავს არა 800 დელეგატი ქალი, არამედ 2.200. დელეგატთა კრებების მუშაობამ მიიღო გეგმაშეწონილი და გაღრმავებული ხასიათი. ქალთა განყოფილების გარშემო 1924 წელს შემოკრებილია 16.000 მუშა და გლეხის ქალი და მუშების ცოლები (დიასახლისები). პარტიულ საბჭოთა და სხვა ყრილობებსა და კონფერენციებზე მონაწილეობა მიიღო 1000 ქალმა. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო და პოლიტგანათლების სკოლებში გადის ათეული და ასეული ქალი. (მიმდინარე წელს გატარდა 800-900 ქალი, პარტ-შკოლა გაათავა 46 ქალმა, საბჭოებსა და აღმასკომებში ჩაბმულია 604 ქალი). მშობიარობისა და ბავშვთა დაცვის დარგში საბჭოთა ხელისუფლება ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, როგორიცაა საბავშვო დაწესებულებების გახსნა, მაგალითად ბაგების, კონსულტაციის, საბავშვო ბაღების, საბავშვო სახლების და სხვა. ამ ჟამად საბავშვო სახლებში მუშებისა და გლეხების 5000 უპატრონო ბავშვს ზრდიან. აგრეთვე მიღებულია ზომები შემდეგში ბავშვთა დაწესებულებების ქსელის გასაფართოებლად იხსნებოდა ახალი არტელები უმუშევარ ქალებისათვის და უმჯობესდებოდა უკვე არსებულ არტელთა და სახელოსნოების მდგომარეობა. გაიხსნა დროებით საცხოვრებელი სახლი, სადაც წლის განმავლობაში ასობით ქალი გატარდა.

13. საქართველოს მშრომელი ქალები გაუერთიანდენ ამიერ-კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის და საბჭოთა რუსეთის მშრომელებს ერთ ძმურ მჭიდრო კავშირში.

ს. ს. რ. კ. მოსალოდნელ საფრთხის გამო, რაც გამოიხატა ფრანგ მტაცებელ იმპერიალისტების საქციელში (რურის ამბები), მშრომელმა ქალებმა თავის საერთაშორისო დღე 1923 წ. იდღესასწაულეს ლოზუნგით: „მთლიანი მუშათა ფრონტი მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ და სახალხო ბრძოლისათვის".

საბჭოთა ხელისუფლების მე 7 წლის თავზე, როდესაც უკვე აღარ გვყავს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხ. ლენინი ქალთა საერთაშორისო დღე უნდა ჩატარებულ იქნას ლოზუნგით: „მშრომელთა მასების შემჭიდროება პროლეტარული რევოლუციის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიის გარშემო და ილიჩის აღთქმების ცხოვრებაში გატარება.

ამხ. ლენინის ერთი უმთავრესი აღთქმათაგანი—ეს ქალაქის სოფელთან დაკავშირებაა.

ერთ უმთავრეს იარაღს, რომლის საშუალებითაც შეიძლება ქალაქის სოფელთან სამეურნეო ძაფებით დაკავშირება, რომელიც პრაქტიკულად ანხორციელებს ქალაქის სოფელთან კავშირს, ერეკება სოფლიდან მევახშეებს, ებრძვის ჩარჩ-მყიდველებს, წარმოადგენს მუშებისა, მუშა ქალების, გლეხების და გლეხ-ქალთა ორგანიზაციულად გაერთიანება კოოპერაციაში.

კოოპერაციის გაძლიერებაში ყველაზე უფრო მეტად დაინტერესებული არიან მუშა და გლეხი ქალები. კოოპერაციამ უნდა აწარმოოს ბრძოლა არა მარტო მევახშეებთან, არამედ სასადილოების, სამრეცხლოების, საბავშვო სახლების, საბავშვო ბაღების და სხვათა მოწყობით წვრილ შინაურ მეურნეობის წინააღმდეგაც, რაც ქალებს დიდ დროს ართმევს, კეტავს ოჯახში, აჩლუნგებს და ამცირებს მათ.

ლენინი აღარ გვყავს, მაგრამ მის მიერ შექმნილი პარტია, ყოველდღე იზრდება და ძლიერდება.

პროლეტარიატი თავის რიგებიდან აგზავნის საუკეთესო ამხანაგებს კომუნისტურ პარტიაში. ამძლავრებს და ამაგრებს მებრძოლ ავანგარდს.

პროლეტარო ქალებო, შედით კომპარტიაში, გაამაგრეთ ს. ს. რ. კ., რომელიც ნათელ შარავანდედათ ბრწყინავს საერთაშორისო პროლეტარიატისათვის.

1. **გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს!**
2. **გაუმარჯოს მებრძოლ მუშა და გლეხ ქალებს!**
3. გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა ერთიანობას!
4. გაუმარჯოს მთელი ქვეყნის კომუნისტურ პარტიას, რომელიც აწარმოებს ბრძოლას კაპიტალისტურ მსოფლიოსთან.
5. გაუმარჯოს მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღეს, რომელიც არის გამამტკიცებელი მშრომელთა ბრძოლის და სოლიდარობის მთელ მსოფლიოში.

ს. კ. ც. კ. ქალთა განყოფილება.

წარმოება-დაწესებულებებთან არსებულ კულტშეფობის კომისიებს

ძვ. ამხანაგებო! 8 მარტს, მშრომელ მუშა და გლეხ ქალთა სოლიდარობის დღეს, როდესაც საჭიროა ფართე პოლიტიკური და კულტურული მუშაობის ჩატარება როგორც მუშა, ისე გლეხ ქალთა შორის, კულტშეფობის კომისიები ენერგიულად უნდა დაეხმარონ ქალთა ორგანიზაციებს, რომლნიც სპეციალურად აწარმოებენ მუშაობას მუშა და გლეხ ქალებს შორის.

ამ დღეს, 8 მარტს, ყველა კულტშეფობის კომისიები მიდიან თავის საშეფო სოფელში და იქ აწყობენ კრებებს, მიტინგებს გლეხ-ქალთა ფართე მასების მონაწილეობით, რომლებზედაც უხსნიან უკანასკნელებს მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის—„8 მარტის" მნიშვნელობას.

ყველა კულტშეფობის კომისიებმა კარგად უნდა შეითვისონ და მუდამ ახსოვდეთ ჩვენი დიდი მასწავლებლის და ხელმძღვანელის ამხ. ლენინის სიტყვები: საბჭოთა ხელისუფლების საქმის მიყვანა ბოლომდე შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაწილეობას მიიღებენ მუშა და გლეხ ქალთა მილიონები".

ყველა კულტშეფობის კომისიებმა, ატარებენ რა ისინი ცხოვრებაში ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის ამხ. ლენინის დიად ანდერძს ქალაქისა და სოფლის ერთმანეთთან დაკავშირების სფეროში. ამ დღეს, 8 მარტს, უნდა მიმართონ თავის მუშაობა იმ მხრით, რათა ჩააბან გლეხ-ქალთა ფართე მასები საბჭოთა, კოოპერატიულ, კულტურულ-საგანმანათლებელო და სხვ. მუშაობაში.

8 მარტს კულტშეფობის კომისიებმა უნდა წაიღონ თან თავის საშეფო სოფელში საჭირო სააგიტაციო და საპროპაგანდო ლიტერატურა. კულტშეფობის კომისიებმა უნდა მიიღონ ზომები ს. კ. პ. ც. კ. ქალთა განყოფილების ჟურნალი „ჩვენი გზის" გასავრცელებლათ გლეხ-ქალთა წრეებში.

მიტინგებზე და კრებებზე კულტშეფობის კომისიები სვამენ საკითხებს ქალთა ჩაბმის შესახებ—უმთავრესად მოზარდ ქალების, სკოლებში, სხვადასხვა კურსებზე, საბჭოებში, კოოპერაციაში, დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეში, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებში, ახალკომკავშირში და სხ.

კულტშეფობის კომისიებმა უნდა მიიღონ ყოველივე ზომები, რომ არ დარჩეს არც ერთი გლეხი ქალი, რომელმაც არ გაიცნოს და არ შეიგნოს 8 მარტის დიადი მნიშვნელობა, ეს დღე პოპულიარული და ძვირფასი უნდა შეიქნეს ყველა გლეხ ქალისათვის.

ს. კ. პ. ც. კ. არსებული ცენტრალური კულტშეფობის ბიურო დარწმუნებულია, რომ ყველა კულტშეფობის კომისიები მთელი თავის ენერგიით და ყოველგვარი საჭირო ზომებით დაეხმარებიან კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას მუშა და გლეხ ქალთა ფართო ფენების პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდაში და მით შეძლებას მისცემენ ქალთა ორგანიზაციებს წარმატებით დაამთავრონ თავისი საქმე.

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტ. არსებული ცენტრალური კულტშეფობის ბიურო.

ბულგარეთი და სამხრეთ-სლავია

ომისათვის ემზადებიან.

ვენა. 1 მარტი. უცხოელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ნინჩიჩმა განაცხადა, რომ მაკედონელების ბელადმა ალექსანდროვმა თავი მოუყარა ბულგარეთის საზღვარზე კომიტაჯების ათ რაზმს და განაგრძობს მოხალისეთა შეკრებას ბულგარეთის მთავრობის და სოფიის ქალაქის თვითმართველობის დახმარებით, რომელმაც დიდძალი ფულები გადასცა ალექსანდროვს.

ბულგარეთის პრესა თავის მხრივ შიშს გამოსთქვამს სამხრეთ-სლავიის კამპანიის გამო. დემოკრატების ორგანო „სგოვორ" სთხოვს ნაციათა ლიგას გამოარკვიოს სამხრეთ-სლავიის მზადების მიზეზი.

სხვადასხვა ამბები

პოლონეთი

ჟანდარმების თვითნებობის მსხვერპლის დასაფლავება.

მარშავა. 1 მარტ. ლვოვში დაასაფლავეს პოლიტიკური პატიმარი ბესსარაბოვა, რომელიც ციხეში გარდაიცვალა. ბესსარაბოვას გვამზე, რომელიც ხელახლა გასინჯეს სასაფლაოზე, აუარებელი ჭრილობები. რამოდენიმე ათასი უკრაინელი, რომელიც მონაწილეობას იღებდენ სამგლოვიარო პროცესიაში, სასაფლაოდან გამართენ ქალაქში. პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები და დაატუსაღა 16 კაცი.

ფიქრობენ, რომ ბესსარაბოვა გარდაიცვალა წამების დროს, რის შემდეგაც ჟანდარმებმა შეთხზეს ცნობა მისი თვითმკვლელობის შესახებ.

შვეცია.

სკანდინავიის კონფერენცია.

სტოკჰოლმი. 1 მარტი. გაიხსნა სკანდინავიის კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილი არიან შვეცია, ნორვეგია, დანია და ფინეთი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი.

მოსკოვი. 2 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა მიმართა საკავშირო რესპუბლიკების ცაკებს აღნიშნონ მუშა-ქალის საერთაშორისო დღე 8 მარტი ლენინის შემდეგი ლოზუნგის განსახორციელებლად ფართო ღონისძიებების მიღებით: „საბჭოთა ხელისუფლების საქმე დაგვირგვინდება მაშინ, როცა მასში მონაწილეობას მიიღებენ არა ასეული, არამედ მილიონიანი მუშა-ქალები და გლეხი-ქალები". ცაკის პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა გატარებულ იქნას ღონისძიებები მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ყოფა-ცხოვრების ქალის შრომის პირობების გასაუმჯობესებლად და მათ კულტურულ დონეს ასაწევად.

სრულიად რუსეთის აღწერა.

მოსკოვი. 2 მარტი. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოახდინოს სრულიად რუსეთის აღწერა 1925 წელს.

ლენინის ხსოვნისათვის

მასიური ლტოლვა კომპარტიისაკენ.

მოსკოვი. 2 მარტი. გრძელდება განცხადებების შემოტანა რუსეთის კომპარტიაში შესვლის შესახებ: ნოვო-ნიკოლაევსკში—4.326, ეკატერინოსლავში—6.000, ნოვგოროდში 2.000. პენზაში—800, მოსკოვში შევიდა ახკომკავშირში 4 186 კ. ბაქოში—849, გომელში—600 მუშა.

ფულის რეფორმა

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება.

მოსკოვი. 3 მარტი. შრომის და თავდაცვის საბჭოს ა. წ. 29 თებერვლის დადგენილების მე-2 მუხლის განსავითარებლად სამუშაო ხელფასის ოქროს ვალიუტაზე გადატანის შესახებ, საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა:

კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით საქონლის მანეთის მტკიცე ვალიუტაზე გადაყვანის დროს, დაწესებულ იქნეს პირველი გასტუმრებისათვის მარტში შემდეგი მტკიცე პარიტეტები: პირველი სარტყელისათვის—ერთი საქონლის მანეთი უდრის 1 მან. 50 კაპ. მტკიცე ვალიუტით. მეორე სარტყელისათვის—ერთი საქონლის მანეთი უდრის 1 მან. 30 კაპ. მტკიცე ვალიუტით. მესამე სარტყელისათვის—ერთი საქონლის მანეთი უდრის 1 მ. მტკიცე ვალიუტით.

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე **ლ. კამენევი.**

მდივანი: **ლ. ფოტიევა.**

მოსკოვი—კრემლი, 1924 წ. 1 მარტი.

დისკუსია

ცეკავშირის და წარმოკავშირის ურთიერთ დამოკიდებულების გარშემო

რედაქცია, აქვეყნებთ რა ორივე მიმდინარეობის წარმომადგენელთა წერილებს ზემოთ აღნიშნულ საკითხზე, ჩვენ წინადადებას ვაძლევთ კოოპერაციაში მომუშავე სხვა ამხანაგებსაც გამოსთქვან თავიანთი აზრი.

ორი კოოპერატიული ცენტრი საქართველოში

მთელი უთანხმოება ორი არსებული კოოპერატიულ ცენტრის—„ცეკავშირის“ და „წარმოკავშირის“—შორის შეეხება იმას, რომ გადაჭრილი იქნეს საკითხი კოოპერატიულ აღმშენებლობის გარკვეულ სისტემის შემოღებისა საქართველოში.

ძველი კოოპერატორები, მიუხედავად იმისა, მუშაობენ ისინი „ცეკავშირში“ თუ არა, ამტკიცებენ, რომ საჭიროა შექმნილ იქნას ყველა სახის კოოპერაციისათვის მთლიანი ხელმძღვანელი ცენტრი, რომელსაც შტოები ექნება ადგილობრივ.

წარმოკავშირის წარმომადგენელნი კი საჭიროდ და სასარგებლოდ სთვლიან, რომ დატოვებულ იქნას 2 კოოპერატიული ცენტრი.

იმის დასამტკიცებლად, რომ საჭირო ცენტრში ერთის ორგანოს შექმნა, საკმარისია გავიხსენოთ, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია საქართველოში ცეკავშირის სახით არასოდეს არ ასრულებდა განსაკუთრებით სამომხმარებლო ფუნქციებს. სამომხმარებლო კოოპერატივი სოფელში არა მარტო ანაწილებს, არამედ ასაღებს კიდეც ადგილობრივ მეურნეობის პროდუქტებს. სოფლის მწარმოებელი, როგორც კოოპერატივის წევრი, თავის გამგეობისაგან მოითხოვს არა მარტო საქალაქო მრეწველობის პროდუქტების მიწოდებას, არამედ სოფლის ნაწარმოებთა გაყიდვასაც. იმ დროს, როდესაც ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ჩამოქვეითებულია, ზედმეტია ერთდაიმავე რაიონებში რამდენიმე კოოპერატიულ საზოგადოების შექმნა. აქედან ცხადია, რომ ერთმა და იმავე კოოპერატივმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნილება, რომელსაც მას გლეხი უდგენს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ჩვენ ძალაუნებურად გვიხდება სრული კოოპერაციის ინტეგრალურათ აშენების გზით.

წარმოკავშირი, რომლის წარმომადგენელნიც ინტეგრალის წინააღმდეგ არიან, ფაქტიურად ამ ინტეგრალს ანხორციელებს. ის არა მარტო ასაღებს სასოფლო მეურნეობის პროდუქტებს, არამედ აწოდებს კიდეც სოფელს საქალაქო მრეწველობის პროდუქტებს. ეს დიდად დამახასიათებელი მოვლენაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცხოვრებაში, რომელსაც პრაქტიკაში ხელი ვერ აუღია ინტეგრალიზმზე, ვინაიდან ამას მოითხოვს ცხოვრების სინამდვილე.

განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ თითქმის არაფერი გვაქვს საკამათო?

განა ეს იმას არ ამტკიცებს, რომ წარმოკავშირს სურს ხელახლა შეასრულოს ის უზარმაზარი სამუშაო, რომელიც მთელ რიგ წლების განმავლობაში უკვე შესრულებულა კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის ერთად-ერთმა ძლიერმა აპარატმა? და განა ეს ხელახლა არ დააბრუნებს მას იმ მდგომარეობაში, რომელშიაც დღეს ცეკავშირი იმყოფება? რა საჭიროა ეს პარალელური მუშაობა, ვისთვის მოაქვს მას სარგებლობა?

მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან, რომ ცეკავშირისთვის სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გასაღება შეადგენს ფულის მოგების საშუალებას, ხოლო სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრისათვის კი წარმოადგენს ერთს საშუალებათაგანს სოფლის წარმოების ასაღორძინებლადო.

თავისთავად ცხადია, რომ წესიერად დაყენებული საქმე ადგილობრივ ნაწარმოებთა გასაღებისა ობიექტიურად აიძულებს გლეხს განავითაროს სასოფლო სამეურნეო კულტურის ესა თუ ის დარგი. მეთამბაქოობის ნაწარმოებთა გასაღების საქმის ცუდად დაყენების მიზეზით, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი, საქართველოში დაღუპვის გზამდე მივიდა სასოფლო მეურნეობის ეს დარგი. გლეხებმა სამეგრელოში გაჩეხვა დაიწყეს დაფნის ხეებისა იმის გამო, რომ რუსეთის ბაზართან კავშირი გაწყვეტილი იყო. ასე რომ ამ მხრით როგორც წარმოკავშირი, ისე ცეკავშირი ერთსა და იმავე პირობებში იმყოფებიან რაც შეეხება მოგებას, ამაში ცეკავშირი ყველაზე ნაკლებ არის დაინტერესებული. ამის დამამტკიცებელი ფაქტები უკვე არის. შარშანდელ სასოფლო-სამეურნეო წელში ცეკავშირმა მოახერხა ერთ მილიონ ფუთამდე სიმინდის გატანა საქართველოდან; ამასთან ეს ოპერაცია შესრულდა მან წმინდა კოოპერატიულ საფუძველზე: გლეხები იღებენ სიმინდის საბაზრო ღირებულების მთელს ჯამს საორგანიზაციო ხარჯების გამოკლებით. სიმინდის შეგროვება სწარმოებდა სწორედ იმ დროს, როდესაც მისი ფასი მეტად დაწეული იყო (15 კ. ფუთი). ეს ოპერაცია იმდენად მოხერხებით იქნა შესრულებული, რომ გლეხებმა მიიღეს 50 კაპეიკზე მეტი. აბრეშუმის პარკის რეალიზაცია ამავე პირობებში სწარმოებს. ფაქტი მეაბრეშუმეობის განვითარებისა საქართველოში იმას მოწმობს, რომ ცეკავშირი მოგებას კი არ დაეძებს, არამედ მას აინტერესებს, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ წარმოკავშირისა, სასოფლო მეურნეობის განვითარება.

სად არის იმის საბუთი, რომ ცეკავშირი ვითომ ისეთი სამომხმარებლო ორგანიზაციაა, რომელსაც არ აინტერესებს სასოფლო მეურნეობის განვითარება?

და ბოლოს ჩვენი კოოპერაცია (ცეკავშირის სახით, რომელიც კოოპერატიული წესით ამზადებს მატყლს, სიმინდს, აბრეშუმის პარკს, დაფნის ფოთოლს, თხილს და სხვას, არ შეიძლება დაინტერესებული იყოს იმაში, რომ ეს პროდუქტები დაიაფოს მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, ვინაიდან ჩვენს მომხმარებელთ ეს პროდუქტები არ ესაჭიროებათ. ეს პროდუქტები როგორც ერთს, ისე მეორე კოოპერატიულ ორგანოებს საქართველოდან გააქვთ დიდი პარტიობით.

მეორე მხრით ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ საზოგადოება „მწყემსი“ იმიტომ გამოვიდა წარმოკავშირის შემადგენლობიდან, რომ ეხლად წოდებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი მეტად დიდს მოგებას იღებს მეცხვარეთაგან. ადგილობრივ წვრილ კოოპერატივთა დუქნებში წარმოკავშირმა დაჰკარგა ძლიერი ორგანიზაცია „მწყემსი“. „ბირლიკის“ საზოგადოების წევრნი—მეცხვარენი თხოულობენ განთავისუფლებას წარმოკავშირის მეურნეობისაგან, რომელიც მათ საქონელს აწოდებს 100 მდე პროცენტით ფასის აწევით.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ უკეთესია მოვაწყოთ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები ადგილობრივ წარმოების იმ დარგებისათვის, როგორიც არის მეღვინეობა, მეთამბაქოება, მეცხვარეობა და მებამბეობა. ყველა ამ დარგისთვის შექმნილ უნდა იქნას დამოუკიდებელი კოოპერატივი, ხოლო საჭირო არ არის მათთვის საგანგებო ცენტრის შექმნა კოოპერაციის ცენტრად უნდა იყოს ერთი ორგანიზაცია და არა ორი. ასეთ კოოპერატივებს უნდა მიეცეთ რუსეთის ბაზარზე თავისუფლად გასვლის უფლება თანახმად ცენტრთან დადებულ ხელშეკრულებისა. ეს საშუალებას მისცემს მათ დაიცვან თავიანთი წევრების ინტერესები იქ კი, სადაც არ მისდევენ უსათუოდ რომელიმე კულტურას (აგრეთვე იქ, სადაც არ სჭარბობს სასოფლო მეურნეობის რომელიმე დარგი), საჭირო არ არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნა.

ნუ თუ ცხადი არ არის, რომ ჩვენი სინამდვილე სწორედ იმის წინააღმდეგ მიდის, რასაც ინტეგრალის მოწინააღმდეგენი თხოულობენ.

შეუძლებელია, ყოველ ეკონომიურ რაიონში შეიქმნას რამოდენიმე კოოპერატივი. მაშინ ხომ სოფელი ვერ შესძლებს გაისტუმროს სასოფლო-სამეურნეო, სამომხმარებლო და საკრედიტო კოოპერატივთა შტატების შესანახი ხარჯები? გლეხები ძლივს სთავდებიან ერთი ისეთი კოოპერატივის შექმნას, რომელიც შეასრულებს ყველა სამს ფუნქციას. და ბოლოს ჩვენ არ გვყავან ძალები, არ გვყავან გამოცდილი მუშაკნი, რომელთაც შეეძლოთ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობა.

ერთ კოოპერატიული ცენტრის შექმნას, განსაკუთრებით საქართველოში, გვიკარნახებს პოლიტიკური მოსაზრებანიც. ვფიქრობ საჭირო არ არის შექმნა და განმტკიცება მწარმოებელთა ორგანიზაციებისა ისეთი საფუძველით, როგორიც აქვთ „ქართლის“ და „ხორბალს“. სამომხმარებლო ფუნქციების შესრულების დარგში ჩვენი კოოპერაცია იმყოფება მომხმარებელთა, უმთავრესად მუშათა გავლენის ქვეშ. მწარმოებელთა ორგანიზაცია წარმოკავშირის სახით თავს აღწევს მუშათა კლასის გავლენას, რაიც საბჭოთა ხელისუფლების ინტერესს არ შეადგენს.

ამის გამო და კოოპერაციის შემდეგი განვითარების მიზნით ჩვენ ვასახელებთ შემდეგ ზომებს:

1 შექმნილ იქნეს საქართველოს მასშტაბით ერთი კოოპერატიული ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შევა ყველა კოოპერატივი, რასაკვირველია, ნებაყოფლობის საფუძველზე.

2 სასოფლო მეურნეობის ყველა დარგებიდან გამოყოფილ იქნას მეცხვარეობა, მეთამბაქოება, მეღვინეობა და მეაბრეშუმეობა და თვითეულ ამ დარგისათვის შექმნილ იქნეს კოოპერატივი საგანგებო დანიშნულებით.

3. ეს კოოპერატივები იმუშავებენ კოოპერატიულ ცენტრთან კონტაქტით, თანახმად დადებულ ხელშეკრულებისა.

4. გაძლიერებულ იქნეს სოფლის კოოპერატივთა აპარატი ადგილობრივ ნაწარმოებთა გასაღებისათვის.

5. შექმნილ იქნეს მათთან საგრონომიო განყოფილება აგრო-კულტურულ მუშაობის საწარმოებლად.

ა. ერქომიშვილი.

ცეკავშირი და წარმოკავშირი

(„კომუნისტი“-ს № 50 ში დაბეჭდილი წერილის გამო)

„კომუნისტი“-ს № 50-ში მოთავსებულია წერილი N-ის, ცეკავშირისა და წარმოკავშირის შესახებ.

ჯერ ჩვენ შევჩერდეთ იმაზე, თუ რამდენათ მიზანშეწონილია დღევანდელ პირობებში სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის მოსპობა და მისი ფუნქციების ცეკავშირზე გადაცემა.

ცეკავშირმა რომ თავის თავზე აიღოს საქართველოს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელობა, მას უნდა ჰქონდეს მოწყობილი და სათანადოთ დაყენებული მისი პირდაპირი საქმე, სამომხმარებლო კოოპერაცია. მაგრამ ეს იმდენად რთული საქმეა, რომ ჯერ-ჯერობით აქის სათანადოთ მოწყობა ვერ მოხერხდება. და აქვს ცეკავშირს მორალური უფლება მოჰკიდოს მეორე დიდ საქმეს ხელი, როდესაც პირველი ჯერ კიდევ ჩანასახს წარმოადგენს? მე გადაჭრით ვიტყოდი, რომ არა. შემდეგ. აქვს ცეკავშირს სათანადო აპარატი, რომელიც უხელმძღვანელებს საქართველოს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას თუ არა? ამაზედ ჩვენ მოვუსმინოთ წერილის ავტორს, N-ს, ის ჯერ სწერს „მას (ე. ი. ცეკავშირს) აქვს სამისო აპარატიც უკვე მოწყობილი“-ო (თუ რამდენათ ეს სინამდვილეს შეესაბამება ამაზედ ქვევით). შემდეგ სამი სტრიქონის ქვევით დასძენს: „მის აპარატს ბევრი ნაკლი აქვს, რომ ცეკავშირი ხშირად ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს“-ო (ხაზგასმულია ჩემ მიერ ვ. ც.) აქ ავტორი სინამდვილეს ვერ უარყოფს და ამაში არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მას. ცეკავშირი „ვერ ართმევს თავს“ იმ საქმეს, რომელიც მისი პირდაპირი მოვალეობას შეადგენს. ცეკავშირის აპარატი ჯერ კიდევ დაუთავრებელია, მას გადასინჯვა, ძირიან-ფესვიანად გადახალისება უნდა. ცეკავშირმა საერთოდ შექმნილი პირობებით და სხვადასხვა მიზეზებით ვერ შესძლო მომხმარებელი გლეხის დაკმაყოფილება, ვერ მიაწოდა მას პირველსაჭიროების საგნები. მიზეზები აუცილებლად გამოინახება, მაგრამ ფაქტი ფაქტათ რჩება.

ეხლა შევეხოთ, თუ რამდენათ მოწყობილია ცეკავშირის სასოფლო სამეურნეო განყოფილება და ავტორის სიტყვით რამდენათ ის „ხელმძღვანელობს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებს“. ჯერ აღსანიშნავია ის, რომ ეს განყოფილება დაახლოებით 6 თვეა, რაც დააარსა ცეკავშირმა მას აქამდე არ ჰყოლია ხელმძღვანელი გარდა ერთი უინიციატივო აგრონომისა, რომელმაც ამ საქმის ვერც თავი მოაბა და ვერც ბოლო. საქმე ელოდა გამგეობის წევრს, მმართველ ხელს ამ დარგში. მაგრამ ისიც სხვადასხვა მიზეზების გამო ესეც არ მოხდა. ორი თვის წინედ, როდესაც ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობამ ახალი გამგეობა აირჩია, მაშინ ამ დარგისათვის სათანადო გამგეობის წევრი მოინახა, მაგრამ ისიც ვერ შეუდგა მუშაობას ვიმეორებ, რომ ამ განყოფილებას ფაქტიურად დღემდე გამგე არ ჰყოლია. მაგრამ მაინც დაისმება კითხვა. ნუ თუ არაფერი გაუკეთებია ამ განყოფილების თავისი ნახევარი წლის არსებობაში? მე ვიტყვი მოკლეთ რაში გამოიხატა მისი მუშაობა.

საორგანიზაციო დარგის ინსტრუქტორების მიერ რამოდენიმე პარალელური ორგანიზაციის დაარსებაში და საერთო საქმისათვის არა სასარგებლო მუშაობაში. აი ის, რაც გააკეთა ცეკავშირის სასოფლო სამეურნეო განყოფილებამ დღიდან მისი დაარსებისა რაც შეეხება ცეკავშირის სახის კოოპერატიულ დარგებს, როგორიცაა საკრედიტო და სხვა, ამაზედ ლაპარაკი ზედმეტათ მიმაჩნია, ვინაიდან რუსული თქმულების არ იყოს, ისინი არსებობენ без году неделя. ასე რომ მათ ჯერ არაფერი თვალსაჩინო არ გაუკეთებიათ. ისინი მხოლოდ ორგანიზაციულ სტადიაში იმყოფებიან. ამაზე შევჩერდით იმდენად, რამდენადაც წერილის ავტორს ჰქონდა ის წარმოდგენილი აღნიშნულათ.

ეხლა შევეხოთ მთავარს, რითაც „ინტეგრალისტები“ ასაბუთებენ „ცეკავშირის“ და „წარმოკავშირის“ გაერთიანების აუცილებლობას. ეს ის არის, რომ გლეხი მომხმარებელიცაა და მწარმოებელიც, ორი აპარატის შესანახი ხარჯი აწვება საქონელს და სხვა. მე შევეხებოდი ამ საკითხის არსებითად და შევეკითხებოდი „ინტეგრალისტებს“, რატომ ეს საკითხი არ დაისვა რუსეთში? რატომ არსებობს იქ „ცენტროსოიუზი“ და „სელსკოსოიუზი“. ნუ თუ რუსეთის ამხანაგები ვერ მიხვდნენ, რომ საჭიროა ამ ორ ორგანიზაციის გაერთიანება. (რუსეთის გაზ. „Экономическая жизнь“-ში გამოქვეყნებული ორი ცნობა იმას შესახებ, რომ რომელიღაც „ეკოსო“ დაადგინა გაერთიანება სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრთან, ჩვენ კიდევ საბაბს არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქ, ჩვენშიც საჭიროა გაერთიანება. საქართველოს კოოპერაციამ ერთი წელიც, არაა რომ მუშაობა დაიწყო და რუსეთისა კი ითვლება რამდენიმე წელი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ასე რომ პირობები და მდგომარეობა სხვა დასხვა გვაქვს. ნუ თუ „ცენტროსოიუზს“ და „სელსკოსოიუზს“ შორის არ იბადება ასეთივე კითხვები, როგორიც არის თუ გნებავთ დღევანდელი ჩვენი სადისკუსიო საგანი აშკარაა, რომ კოოპერატიულ მუშაობაში იქ ყოფილა ერთმანეთთან „შეჯახება“, მაგრამ ერთხელაც არ მომხდარა, რომ „ცენტროსოიუზს“ ოდესმე დაესვას საკითხი „სელსკოსოიუზის“ არსებობაზე, ან წინააღმდეგ პირიქით, ყოველ ასეთ კითხვებს ორივე ორგანიზაციები სწყვეტენ შეთანხმებულად, საქმის სასარგებლოდ და არავითარ პარალელიზმს არ აქვს იქ ადგილი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ცენტროსოიუზი“ მილიონი ფუთობით ამზადებს ხორბალს და ნედლეულობას, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ის მას წამოყენებდეს საბუთად „სელსკოსოიუზის“ დასაშლელად. „ინტეგრალისტები“ გაიძახიან ჩვენ დებულებას ვამტკიცებთ იმით, რომ ცეკავშირი ამზადებს სიმინდს, აბრეშუმის პარკს და თხილსო. ნუ თუ ეს შეიძლება გამოყენებული იქნას არგუმენტათ თუ ზევით მოყვანილ „ცენტროსოიუზის“ მდგომარეობას მივიღებთ მხედველობაში.

შტატზედ და მმართველ აპარატზე თუ ვილაპარაკებთ, რატომ „ინტეგრალისტები“ არ სვამენ საკითხს „ვერკოპის“ მთლიან მუშათა კოოპერატივის და „[illegible]“, ქართული ლაშქრის სამხედრო კოოპერატივს და სხვა მრავალ კოოპერატიულ ორგანიზაციების თავისი აპარატთან გაერთიანებაზე. ესენიც ხომ სამომხმარებლო ორგანიზაციებია და უფრო მონათესავე ცეკავშირისა. მაშ დავსვათ საკითხი ყველა კოოპერატიული ორგანიზაციების აპარატების გაერთიანების შესახებ. ქართველი გლეხს არაფერი ისეთი სპეციფიკური არა აქვს, რაც რუსეთის გლეხს არ ჰქონდეს, მით უმეტეს ეხლა შექმნილი ეკონომიური პირობებმა ორივე ერთ და იმავე მდგომარეობაში ჩააყენა რაც შეეხება ტერიტორიის სიდიდეს ამაზედ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ცეკავშირმა ვერ შესძლო საქართველოს პატარა ტერიტორიაზე მოქმედ სამომხმარებლო აპარატის შექმნა და სამომხმარებლო საგნების მიწოდება. მაშ რაში მდგომარეობს საქმის ვითარება, რატომ ისმება ასე საკითხი: ან ის, ან მეორე საქმიანობაში, რომ დღიდან კოოპერაციის გამოცოცხლებისა ჩვენში (რაც სულ ერთი წელი და დაიწყო) ერთი ცდაც არ ყოფილა არც ერთი არც მეორე ორგანიზაციიდან, საკითხი შეთანხმებულად გადაეწყვიტათ მთლიანი გეგმით მუშაობის თავ თავიანთ დარგებში. შეთანხმებული მუშაობა აი როგორ უნდა დაისვას საკითხი დისკუსიის დროს. საჭიროა ორივე ორგანიზაციების ფუნქციების გადასინჯვა და შეთანხმებულად მუშაობა, რაც მოსპობს ყოველგვარ პარალელიზმს და გაუგებრობას.

შეიძლება თუ არა ეს? შეიძლება თუ არა იარსებოს ორივე ორგანიზაციამ, და ნუ თუ არ გამოიწვევს მათი არსებობა „ზედმეტ დაწესებულების შექმნას“ და „მუშაკების დაბანდვას“? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა. მხოლოდ საჭიროა ორივე ორგანიზაციის მოქმედების საკითხის განსაზღვრა. „ცეკავშირის“ და „წარმოკავშირის“ სახელწოდებას სრულიად მნიშვნელობა არა აქვს მხოლოდ ჩვენ გვაინტერესებს საქმის წინ წაწევა. ამისათვის საჭიროა ყოველივე საერთო საკითხის გადაჭრის დროს ორივე ორგანოს წარმომადგენელნი ერთად იყვნენ და შეთანხმებულად სწყვეტდნენ აქაც ცენტრში, და არა ადგილობრივ, სოფლად, სადაც ბრძოლა ღებულობს სულ სხვა, არასასურველს ხასიათს და სცემს საერთოდ კოოპერაციის ავტორიტეტს გლეხობის თვალში. ამას მე დაუმატებდი, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლა სასარგებლოა არა ამ ორ ორგანიზაციისათვის მარტო, ძლიან სასარგებლო იქნებოდა, თუ მოვიწვევდით პერიოდულად თათბირს საქართველოს ტერიტორიაზედ მოქმედ ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებისას, საერთო საჭიროებო კითხვების გასარჩევათ ასეთი ორგანოები კი არის საქართველოში: ცეკავშირი, წარმოკავშირი, ტფილისის მუშკოპი „[illegible]“, „ზაკოოპი“ თუმცა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციაა, მაგრამ საჭიროა ერთად მუშაობა, ვინაიდან უკანასკნელის მოღვაწეობის დიდი ნაწილი ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე ზეთის კავშირი, რომელთანაც დღემდე არავითარი კავშირი არ არის. „ვოენკოოპ“, კავკასიის წითელ-დროშიანი ლაშქრის კოოპერატივი და სხვები. ვგონებ კითხვას,—სასარგებლო იქნება ასეთი თათბირების მოწვევა თუ არა? ცხადია, რომ ეს სასარგებლოა. აქ შეიძლება აღიძრას ისეთი კითხვები, რომელნიც ყველა ორგანიზაციებს აინტერესებთ და საერთო იმის გამო ნაკლებობის გამო მიჩქმალულია. აგრეთვე ასეთი თათბირები ააცდენს კოოპერაციას პარალელურ მუშაობას.

აქედან მე ის დასკვნა გამომყავს, რომ საკითხი N-ის მიერ არ არის დასმული სწორად ის ოდნავადაც არ სწყვეტს საკითხს. ის აზრი, რომ ორი ერთმანეთის გვერდით არსებული დაწესებულების ქიშპობა, კონკურენცია დასცემს მათ პრესტიჟს და საქმესაც არევ-დარევს“-ო მართალი არ არის. ორი დაწესებულების არსებობა კი არ იწვევს „ქიშპობას“ და „არევ-დარევას“, არამედ საერთო ენის გამოუნახველობა, ფუნქციების გაურკვევლობა და ერთი მეორის საქმეში ჩარევა.

ჩვენ ვფიქრობთ, გამეორებით როგორც ზევით, სხვა ორგანიზაციების მოვლენებს დავაკავშიროთ ისინი საქმიან მუშაობაში და მივსცეთ მათ გეგმა საკითხის გადაჭრა ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან კოოპერაცია მიწვეულია დიდი საქმის გასაკეთებლად.

საბოლოოდ დავსძენ შემდეგს N-ის აზრი „წარმოკავშირის“ გაუქმებაზე ყოვლადშეუძლებელი მიუღებელია და არაფრით არ არის დასაბუთებული. დღევანდელი ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა უეჭველად გვიკარნახებს, რომ სასოფლო სამეურნეო წარმოების ამაღორძინებელმა ორგანიზაციამ უნდა იარსებოს.

ვლ. ცხვარელი.

ერთი თუ ორივე

საქართველოს კოოპერატიულ მოძრაობაში წამოიჭრა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის საკითხი საქართველოში ორი კოოპერატიული ცენტრის არსებობისა. ამ საკითხის გარშემო დღეს გამწვავებული კამათია და ვისაც კი აინტერესებს საქართველოს კოოპერაციის ბედ-იღბალი გულწრფელად და გონივრულად უნდა გასცეს მას პასუხი.

საქართველოში კოოპერატიული მოძრაობა ღებულობს ზოგიერთ შემთხვევაში განსაკუთრებულ ხასიათს და ამიტომ საჭიროა ამ მხრივ ალღოს აღება, რომ ესა თუ ის საკითხი უფრო მიზანშეწონილად იქნეს გადაჭრილი.

რაშია საქმე, რის გარშემოა კამათი? საქმე იმაშია, რომ ერთსა და იმავე ტერიტორიაზედ ერთსა და იმავე ობიექტის გარშემო ერთსა და იმავე მიზნით (უფრო სწორედ რომ ვსთქვათ ერთის მიზნის მთლიანად შეადგენს მეორეს მიზნის ნაწილს) არსებობს ორი კოოპერატიული კავშირი და იქნება ორი ცენტრი. აი აქ ისმება საკითხი: დასაშვებია არის საქართველოს დღევანდელ პირობებში ორი კოოპერატიული ცენტრის არსებობა?

მე მგონია აქ ორნაირი პასუხი არ შეიძლება. შეუძლებელია ორი კოოპერატიული კავშირის — ორი ცენტრის არსებობა ერთსა და იმავე მიზნით ერთსა და იმავე სამოქმედო ასპარეზზე. ეს ნათელი და უდაო უნდა იყოს ყველა ამ დარგში მომუშავე პირთათვის, განსაკუთრებით დღეს, როდესაც არავითარი კონკურენციის დადებით მხარეზე ლაპარაკი არ შეიძლება მაშასადამე, საკითხს უნდა მივუდგეთ მეორე მხრივ დასაშვები იქნება რომ ის ფუნქციები, რომლებიც აღებული აქვს წარმოკავშირს და შეადგენს მის საკუთარ მიზნებს გახდეს მის მონოპოლიათ და ცეკავშირმა ხელი აიღოს მსგავს ოპერაციების წარმოებაზე? ეს, რა თქმა უნდა, უფრო დასაშვებია, ვინემ ცეკავშირმაც და წარმოკავშირმაც აწარმოვონ ერთი და იგივე ოპერაციები, შექმნან ორი ცენტრი და ქიშპობისა და მტრობის მსხვერპლი გახდენ ორთავენი.

ჩვენ ვიცით, რომ ცეკავშირი საქართველოში ერთ უდიდეს ეკონომიურ დაწესებულებას წარმოადგენს. მისი ორგანიზაციული ქსელი მოფენილია საქართველოს ქალაქებში და სოფლებში. ამ მხრივ ცეკავშირს პირველი ადგილი უჭირავს საქართველოში. ის აერთებს მომხმარებელ საზოგადოებებს, მწარმოებელთა და საკრედიტო ამხანაგობებს; მას მთელი განყოფილება აქვს სასოფლო-სამეურნეო საქმეებისთვის, რამოდენიმე ათეული ინსტრუქტორებით და აი ასეთი ორგანიზაციის ოპერაციების შეზღუდვა ყოვლად უაზროა და უტაქტო იქნებოდა.

ჩვენ უნდა მივაქციოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას ყურადღება დღეს საერთოდ საბჭოთა კავშირი და კერძოდ საქართველოც განიცდის საზოგადო კრიზისს, ნაღდი თანხის უქონლობის გამო და აი ამ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ერთი და იგივე ორგანიზაცია არის ერთსა და იმავე დროს მიმწოდებელიც და შემკრებიც სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებისა აქედან გამომდინარეობს აგრეთვე აპარატის სიიაფე, რასაც ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ ნაკლებად ლაპარაკი შეიძლება. სუსტ მხარეების მხილება ესაჭიროება, მაგრამ ორი კოოპერატიული ცენტრის შექმნა შეუძლებელია. ცეკავშირისათვის იმ ოპერაციების აკრძალვა, რაც წარმოკავშირს მიზნად დაუსახავს დანაშაული იქნება. ისეთი სამეურნეო ამხანაგობები როგორიც არის „მწყემსი“ „ქართლი“ და სხვა სრულიად არ საჭიროებს ერთმანეთთან დაკავშირებას თვითეულ მათგანს მეტი საერთო აქვს ცეკავშირთან ვინემ ერთმანეთთან. ამიტომ გაცილებით უმჯობესი იქნება ეს ამხანაგობები ცალცალკე მაგრამ როგორც ერთი მთელი შედიოდნენ ცეკავშირში.

დასკვნა:

1. ორი კოოპერატიული ცენტრის არსებობა ერთსა და იმავე სამოქმედო ასპარეზზე ერთი და იმავე მიზნისათვის დღევანდელ პირობებში დაუშვებელია.

2 მიზანშეწონილი იქნება საერთოთ საქართველოში როგორც წვრილ სამეურნეო ქვეყანაში და განსაკუთრებით დღევანდელს პირობებში, საბრუნავი კაპიტალის სისუსტის დროს, მომხმარებელი კოოპერატივები, საკრედიტო და სასოფლო სამეურნეო ამხანაგობები შექმნიდნენ ერთ ცენტრს.

3 ისეთი დიდი სამეურნეო ამხანაგობები როგორც არიან „მწყემსი“ „ქართლი“ და მეღვინეთა საზოგადოებები უნდა შედიოდნენ ცეკავშირში, როგორც ერთი მთლიანი სამეურნეო დარგი.

ზ. ი.

ინგლისის ახალი მთავრობა

ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ ბოლო დროს მეტად მნიშვნელოვანი აქტი მოხდა; მუშათა პარტიამ პარლამენტარულის წესით აიღო ხელში პოლიტიკური ძალა-უფლება და შეადგინა თავისი მთავრობა.

მუშათა მთავრობა პირველი არ არის ევროპისათვის: გერმანიის 1918 წლის რევოლუციის წყალობით პოლიტიკურ ცხოვრების სათავეში მოექცა გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რომლის პროგრამა და ტაქტიკა უფრო რადიკალური იყო ვინემ ინგლისის მუშათა პარტიის. მაგრამ „ყოვლად ძლიერმა კაპიტალმა“ სასტიკი დამარცხება აგემა სოციალ-დემოკრატიას თავის სამეფოში და დღეს ზომიერი ფაშისტები, რომელთაც სახელმწიფო ძალა-უფლება უჭირავთ ხელთ გერმანიაში, სამარცხვინოდ ერეკებიან სოციალ დემოკრატებს სახელმწიფო დაწესებულებებიდან. ეს ასე მოხდება ყველგან, სადაც კაპიტალიზმის ეკონომიური სტრუქტურა ძალაში რჩება და სადაც ეკონომიური ბატონობა ხელთუპყრია ბურჟუაზიულ კლასს. პარლამენტარიზმი ასეთს პირობებში მხოლოდ შირმა არის, საფარი კაპიტალისტური კლასის ნებისყოფისა და ინტერესების დასაცავად.

ინგლისში მუშათა პარტია არ მოსულა პოლიტიკურ ცხოვრების სათავეში რევოლიუციონურ გზებისა და საშუალებებით, როგორც იყო გერმანიაში. ინგლისის მუშათა პარტიას მართველობის საქმე ერგო ზოგიერთ პარტიულ-პოლიტიკურ კომბინაციების წყალობით, რომელიც [illegible] არის საერთაშორისო [illegible] ლიბერალურ ურთიერთობებს [illegible] სხვათაორისა ამ კომბინაციებს ვერ აარიდეს მუშათა [illegible] და გვერდი აუარეს ინგლისის [illegible] ლის ინტერესებს, რომ [illegible] მოულოდნელი დამარცხება [illegible] დოს, როგორადაც [illegible] ხოს.

ინგლისი მსოფლიო ისტორიაში ცნობილია, როგორც წმინდა პარლამენტარიზმისა და ლიბერალიზმის სახელმწიფო.

გარკვეულ, ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პარტიებს აქ თითქმის 2 საუკუნეზე მეტი ხნის წარსული აქვს. ლიბერალები და კონსერვატორები დიდი ხნია თამაშობენ გადამწყვეტ როლს ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ორი პარტია გამოხატავდა და დღესაც გამოხატავს ინგლისის გაბატონებულ კლასებისა და სოციალური წრეების პოლიტიკურ ფიზიონომიას. თუ კონსერვატორები უმთავრესად ეყრდნობიან მემამულეებს, სამხედრო კასტას, სამღვდელოებას, ბიუროკრატიას და ნაწილობრივ კაპიტალისტებისა და ბირჟევიკების წრეებს, ლიბერალური პარტიის შემადგენელი სხვადასხვა ჯგუფები გამოხატავენ უმთავრესად კაპიტალისტური კლასის ინტერესებს. ასკვიტისა და გრეის ჯგუფი (დამოუკიდებელი ლიბერალები) იცავენ უმთავრესად საფინანსო მრეწველობის ინტერესებს და ხოლო ლოიდ-ჯორჯის ჯგუფი (ნაციონალ-ლიბერალები). გამომხატველნი არის ახალი ბურჟუაზიის, სამხედრო მრეწველობის და მსხვილი კაპიტალისტური ტრესტების ინტერესების, ფინანსიური წრეების მისწრაფებების. ეს ორი პარტია—ლიბერალები და კონსერვატორები,—აძლევდენ დღემდე ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების ვითარებას ტონსა და შინაარსს. ხან შეთანხმებულად ლიბერალებთან კოალიციური პოლიტიკის საფუძვლებზე, ხან დამოუკიდებლად ინგლისის ბედი უმთავრესად ხელთეპყრო კონსერვატიულ პარტიას.

მუშათა პარტიას შედარებით ლიბერალებთან და კონსერვატორებთან მეტად მცირე ხნის ისტორია აქვს. მე 19 ე საუკუნის და ასრულამდე ინგლისის პარლამენტარულმა ცხოვრებამ არ იცოდა მუშათა პარტიის დამოუკიდებელი არსებობა და მოღვაწეობა. მუშათა პარტია ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი საპარლამენტო ჯგუფი მე-20 ე საუკუნის დასაწყისიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი პირველი და უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფო იყო მთელ დედამიწის ზურგზე ფართო სამრეწველო დარგებით და ბურჟუაზიული წყობილებით განვითარებული, გარკვეული დამთავრებული და ნამდვილი მუშათა პარტიის ჩამოყალიბება ინგლისში მაინც შეუძლებელი შეიქნა. ამ გარემოებას თავისი ისტორიული მიზეზები აქვს.

ინგლისის ბურჟუაზიას შეეძლია ყველაზე მეტად იმაყოს იმ გარემოებით, რომ მან სხვა ქვეყნების კაპიტალისტურ წრეებთან შედარებით ყველაზე უფრო მოხდენილი და მოხერხებული იარაღით შესძლო მუშათა მოძრაობის ჩაკვლა და ფართო რევოლიუციონური მოძრაობის აღმოფხვრა. თანამედროვე ოპორტუნიზმი და შემთანხმებლობა დიდი ხნიდან განმტკიცდა ინგლისის მუშათა კლასში და სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი რევოლიუციონური პროლეტარული პარტიის განუვითარებლობას. მე 19 ე საუკუნის დასაწყისიდან ინგლისის ეკონომიური უპირატესობა და მონოპოლიური მდგომარეობა მთელს მსოფლიოში უკვე ფაქტის საქმე იყო. ინგლისის მონოპოლიური მდგომარეობის დამახასიათებელი მომენტები იყო ფართო კოლონიალური სამფლობელოები და მსოფლიო ბაზარზე ბატონობა. ორივე ეს ფაქტორი ინგლისის ბურჟუაზიას უდიდეს შემოსავლის წყაროს უხსნიდა და აძლევდა მას საშუალებას პირდაპირ მოეყიდა მეტროპოლიის მუშათა წრეების ზედა ფენები დიდი გასამრჯელოს გაცემით და ლიბერალური დამოკიდებულებით ამგვარად კოლონიებიდან მიღებული ზედმეტი მოგებით ინგლისის ბურჟუაზიამ მოხდენილად მოიყიდა თავისი მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი, დააინტერესა ისინი ეკონომიურად ინგლისის ბურჟუაზიის მსოფლიო ბატონობაში და ამგვარად გაამრავლა მათში ოპორტუნიზმი და შემთანხმებლობა ეს ეკონომიური მიზეზი იყო უმთავრესი ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო ინგლისის მუშათა მოძრაობის გალიბერალებას, გაკოტრებას ჩარტისტული მოძრაობის შემდეგ.

ეს გარემოება არ გამოპარვიათ თანამედროვე კომუნიზმის მამამთავრებს—კ. მარქსა და ფრ. ენგელს, რომელნიც გამოცდილი ექიმების მსგავსად უსინჯავდენ განსაკუთრებით ინგლისის პროლეტარიატს მაჯისცემას, რადგან მარქსი და ენგელსი ინგლისის პროლეტარიატის გამარჯვებაში ხედავდენ მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვების შანსებს. ინგლისის პროლეტარიატის მდგომარეობის შესწავლამ ეს ორი დიდი რევოლიუციონერი მეტად სამწუხარო დასკვნამდე მიიყვანა. ენგელსი 1858 წ. სწერდა მარქსს: „ინგლისის პროლეტარიატი ფაქტიურად სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიულდება, ისე, რომ ამ ყველა ერთან შედარებით ძლიერ ბურჟუაზიას, ეტყობა, სურს ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანოს, რომ ჰყავდეს ბურჟუაზიასთან გარდა ბურჟუაზიული არისტოკრატია და ბურჟუაზიული პროლეტარიატი. რასაკვირველია, ეს ერთგვარად შესაძლებელია იმ ერისთვის, რომელიც მთელი მსოფლიოს ექსპლოატაციას ეწევა“. 1881 წ. იგივე ენგელსი ლაპარაკობს ინგლისის „უმწეო ტრედ-უნიონების“ შესახებ, რომლებიც „ნებას აძლევენ მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ იმ პირებს, რომელნიც ბურჟუაზიისაგან მოსყიდულნი არიან, ან ყოველშემთხვევაში მისგან ჯამაგირს იღებენ“. 1882 წ. ენგელსი კაუცკის სწერდა: „თქვენ მეკითხებით, რას ფიქრობენ ინგლისის მუშები კოლონიალურ პოლიტიკაზე. ჰფიქრობენ იმავე, რასაც პოლიტიკაზე საზოგადოთ. აქ არ არსებობს მუშათა პარტია, არიან მხოლოდ კონსერვატორები და ლიბერალ-რადიკალები, ხოლო მუშები ძლიერ გულდამშვიდებით სარგებლობენ მათთან ერთად ინგლისის კოლონიალური პოლიტიკით და ინგლისის მონოპოლიური მდგომარეობით მსოფლიო ბაზარზე“ (იხ. ნ. ლენინის: „იმპერიალიზმი“ გვ 21)

ენგელსის ეს წერილები საუცხოვოდ გვიხსნის არა მარტო ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობას და მათს წრეებში გამეფებულ ოპორტუნისტულ აზროვნებას, არამედ საზოგადოთ ოპორტუნიზმის წარმოშობის მთავარ ეკონომიურ მიზეზებს ევროპის ბურჟუაზიამ შესძლო მოეყიდა განსაკუთრებით მუშათა კლასის ზედა ფენები კოლონიებიდან მიღებული დიდძალი მოგებით და ამგვარი სახით ხელი შეუწყო პროლეტარიატის ოჯახში წვრილ ბურჟუაზიული აზროვნების, ოპორტუნიზმის და ყოველგვარ სახის მენშევიკური პოლიტიკის გამეფებას. ამ პოლიტიკას ახასიათებს ბურჟუაზიის წინაშე ქედის მოხრა და პასიური რადიკალობა: სიტყვით სოციალიზმის თაყვანისცემა, ხოლო პრაქტიკაზე ბურჟუაზიის საქმის კეთება, მათი ინტერესების დაცვა.

სწორედ ენგელსის მიერ აღნიშნულმა მიზეზებმა მოჰკლა მუშათა დამოუკიდებელი მოძრაობა ინგლისში ჩარტისტული მოძრაობის შემდეგ. მუშათა წრეების წარმომადგენლებმა მჭიდრო კავშირი გააბეს ბურჟუაზიის პარტიებთან და მათ პოლიტიკას ატარებდენ პროლეტარიატის ოჯახში. ინგლისის პარლამენტი გადაიქცა ბურჟუაზიის ბატონობის ბუდეთ. 1874 წლიდან იქ იყვნენ პროფკავშირების წარმომადგენელნი, მაგრამ ისინი არ წარმოადგენდენ მუშათა კლასს, არამედ შეადგენდენ ამა თუ იმ ბურჟუაზიულ პარტიის წევრს. 1899 წელს დაიბადა აზრი „დამოუკიდებელი“ პარტიის სახით წარდგომა პარლამენტში, შესდგა „მუშათა წარმომადგენლების კომიტეტი“ 1900 წელს პროფკავშირებს და სოციალისტური პარტიებს კოალიციამ არჩევნების დროს წამოაყენა 15 კანდიდატის სია, საიდანაც გავიდა მხოლოდ ორი. 1906 წ. არჩევნებში გაყვანილი იქნა 29 კანდიდატი და „მუშათა წარმომადგენლების კომიტეტმა“ მიიღო „მუშათა პარტია“ სახელწოდება (იხ „კომინტერნის ყოველწლიური“ 595).

მუშათა პარტია არ არის პარტია ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით: ეს არის კავშირი პროფკავშირების ორგანიზაციებისა და სოციალისტური პარტიების;*) ის, რაც აერთებს ამ ჯგუფებს, გამოიხატება მათს სოციალურს ბაზაში და წვრილ ბურჟუაზიულ რეფორმიზმში ეს გარემოება მათ საშუალებას აძლევდა და დღესაც აძლევს მჭიდრო კავშირი გააბან ლიბერალურ პარტიასთან 1906 წლიდან მუშათა პარტიის უმთავრესად ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელი მუშათა პარტია რამზეი მაკდონალდის მეთაურობით. ომის დასაწყისიდან დამოუკიდებელი მუშათა პარტია გამოვიდა ომის წინააღმდეგ და მხარი არ დაუჭირა თავდაცვას, ამიტომ მისი გავლენა დაეცა მუშათა პარტიაში, სამაგიეროთ სხვადასხვა ჯგუფის პაციფისტებმა მოიყარეს თავი მის გარშემო, მაგრამ ვერავითარი როლი ვერ ითამაშეს ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რაც შეეხება მუშათა პარტიას, მისი წევრების დიდი უმრავლესობა დასდგა თავდაცვის ნიადაგზე და ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მთავრობას ომის წარმოების საქმეში: მუშათა პარტია შევიდა კოალიციონურ მთავრობაში და სამინისტრო პორტფელებიც დაიჭირეს როგორც ვიცით საერთაშორისო ომმა მთელი მეორე ინტერნაციონალის პარტიები ჩაბა, მცირედების გამონაკლისით, ომის ფერხულში და გაამეფა მათ წრეებში სოციალ იმპერიალიზმის იდეოლოგია. ინგლისის მუშათა პარტიამ ამ მხრივაც თავისი წვლილი გაიღო და უხვი დახმარება აღმოუჩინა ბურჟუაზიის. მუშათა პარტია ფართო პროგრესიული პროგრამით უქადდა გზა კვალს მშრომელ მასას; იგი უმტკიცებდა ხალხს, რომ ეს არის უკანასკნელი ომი, რასაც მოჰყვება ერთა თვითგამორკვევის განხორციელება და მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიური რეფორმები, მშრომელთა მატერიალური გაძლიერება.

ფაქტიურად ომმა მუშათა კლასს, რომელმაც ამდენი მსხვერპლი გაიღო მუშათა პარტიის ბელადების მოტყუებით, გაღატაკებული დასტოვა. ომს შედეგად მოჰყვა უმუშევართა რიცხვის გადიდება და ხალხის ეკონომიური დაცემა; თავისუფლების ნაცვლად მთელს მსოფლიოში გამეფდა არნახული სამხედრო ვაკხანალია; გამარჯვებული იმპერიალიზმი შეუდგა ბრძოლის ველზე დამარცხებული მტრის დატუქსვას და უდიდესი კულტურული ერი გერმანია—გადააქცია თავის კოლონიად გაჰყიდა ყოველივე დანაპირები. ინგლისის მუშათა კლასმა ეს ნათლად დაინახა.

ომმა ინგლისისათვის მეტად უხერხული მდგომარეობა შექმნა მეორეს მხრივაც. ომის და რევოლიუციის წყალობით ევროპა დაეცა ეკონომიურად და სამეურნეო ცენტრი ევროპის კონტინენტიდან წყნარ ოკეანის ბასეინისაკენ გადავიდა; ომის პირობებით მეტად ისარგებლა ამერიკამ და ის შექმნა მსოფლიოს უპირველესი კაპიტალისტური სახელმწიფო: მან განამტკიცა ეკონომიური ურთიერთობა სხვა სამეურნეო ცენტრებთან და ამგვარად თითქმის დაიჭირა ინგლისის ადგილი (წყნარ ოკეანის ბასეინში, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში და სხვ). ომს შედეგად მოჰყვა ინგლისის კოლონიების (კანადა, ინდოეთი) ეკონომიური დაწინაურება და სამრეწველო განვითარება. ამან კი თავის მხრივ გამოიწვია ინგლისის ეკონომიური ურთიერთობის შერყევა აღნიშნულ კოლონიებთან: ინგლისის საქონელი ვეღარ პოულობდა გასავალს კოლონიებში, რადგან ომის შემდეგ კოლონიებისავე მრეწველობა აკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებებს; მეორეს მხრივ, კოლონიებში არსებული ნედლი მასალა, რომლითაც უხვად სარგებლობდა ინგლისის მეტროპოლიის მრეწველობა, კოლონიისავე მრეწველობას დასჭირდა და გასატანი ძლიერ მცირე დარჩა. ამ გარემოებამ გამოიწვია სწორედ ინგლისის (მეტროპოლიისა) და კოლონიებს შორის სავაჭრო ურთიერთობის დაცემა ამგვარად ეკონომიურად ინგლისი მეტად დიდი კრიზისის წინაშე დასდგა: კოლონიები მის საქონელს ვეღარ ასაღებდენ, ცენტრალური ევროპა ეკონომიურ ქაოსით იქნა მოცული ვერსალის ზავის წყალობით, რუსეთი კი საერთოდ მოწყვეტილი აღმოჩნდა საერთო ბაზრებისაგან; ასეთს პირობებში მის წინააღმდეგ სასტიკი ეკონომიური შეტევით გამოვიდა ამერიკა, რომლის ეკონომიური წონა მთელს მსოფლიოში ერთობ გაიზარდა.

პოლიტიკურად ომის წყალობით ინგლისი თავისი ჰეგემონიის დაცვის წინაშე დასდგა: ევროპის კონტინენტზე მას ბატონობის წართმევას ემუქრებოდა საფრანგეთის ბურჟუაზია ხოლო მსოფლიო მასშტაბით ასეთივე, ოპერაციებით დამუქრა ამერიკა.

აი ასეთ „მოჯადოებულ წრეში“ მოჰყვა ომის შემდეგ ინგლისი, რომლისგანაც გაბატონებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ ნახეს გამოსავალი და უფრო საშინელ კრიზისს გააღრმავეს თავიანთი უხეში პოლიტიკის წყალობით.

მუშათა კლასი გამოფხიზლდა ეკონომიურმა კრიზისმა, გამეფებულმა უმუშევრობამ მუშათა კლასი გადა

---

*) 1914 წ. მუშათა პარტიის საერთო რიცხვი შეადგენდა 1692 ათასი წევრი; აქედან პროფკავშირების წევრები იყვნენ 1,572 ათასი, ხოლო სოციალისტური პარტიების—33 ათასი. 1918 წ. საერთო რიცხვი—3 013 ათასი, აქედან პროფკავშირების 2.960 ათასი, სოც პარტიების—53 ათასი. 1920 წ. საერთო რიცხვი 4 330 ათასი; პროფკავშირების—4.318 ათასი; პარტიების—42 ათასი. ბ.

საქ. ახკომკავშირის ცეკა

8 მარტს

იწვევს გაფართოებულ პლენუმს

სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება შინა პარტიულ მდგომარეობის შესახებ.
2. პრეზიდიუმის მოხსენება.
3. საგიტ. საპროპაგანდო მუშაობის შესახებ.
4. ს. ა. კ. კ. სამაზრო კონფერენციების შესახებ.
5. კომკავშირის სამხედრო მუშაობა.
6. კომკავშირში მუშა ახალგაზრდობის მიღებისა და კომპარტიაში კომკავშირის წევრების გადარიცხვის შესახებ.
7. სხვა და სხვა.

საქ. ახკომკავშირის ცეკას მდივანი: დევდარიანი.

დღეს, სამშაბათს, 4 მარტს, საღამოს 8 საათზე,
სახელმწიფო ოპერის თეატრში

სეით დევდარიანი

გააკეთებს მოხსენებას ქართულად შემდეგ თემაზე

„საბჭოთა სისტემა და საქართველოს დამოუკიდებლობა"

შინაარსი:

1) როგორ იდგა საკითხი?
2) ქართული მენშევიზმი და საქართველოს სოც.-დემოკრატია
3) რა შეიცვალა და ვინ გამოიცვალა?
4) ეხლანდელი იდეოლოგია საქართველოს სოც.-დემოკრატიის.
   ა) საზღვარგარეთის ბიუროს მიმართვა საქართველოს მუშათა და გლეხთა მიმართ.
   ბ) ნ. ჟორდანიას უკანასკნელი წიგნაკი: „ბრძოლის საკითხები"
   გ) გრ. ლორთქიფანიძის უკანასკნელი წერილი.
   დ) ანდრო ჭიაბრიშვილის წერილი ტროცკისადმი.
   ე) საქართ. სოც. დემ. პარტიის მეორე არალეგალური კონფერენცია.
5) მარქსიზმი და ქართული მენშევიზმი ეროვნულ საკითხში.
6) საერთაშორისო პირობები და საქართველოს დამოუკიდებლობა
7) დამოუკიდებლობის ფორმა და შინაარსი.
8) საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირში.
9) ევროპა და საბჭოთა კავშირი.
10) დემოკრატია და საბჭოთა სისტემა.
11) საბჭოთა სისტემა და მუშათა კლასის დიქტატურა.
12) მეორე და მესამე ინტერნაციონალი.
13) დიქტატურა და დემოკრატიზმი.
14) საქართველოს გზა ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ.
15) ყოფილი მენშევიკების ყრილობა და მენშევიკების ბედი საქართველოში.
16) ჩვენი დამოკიდებულება კომუნისტურ პარტიასთან.
17) რა ურჩევნია საქართველოს?

მოხსენების შემდეგ კამათი.

ბილეთები გაიყიდება თეატრის სალაროში ყოველ დღე 11—3 საათამდე და საღამოს 7 საათიდან.

მთელი შემოსავალი გადაიდება უპატრონო ბავშვთა თავშესაფარისათვის

ფასები 10 და 75 კაპ. 2—2

მენშევიკის განცხადება

ზიზღი მათ ვინც შეგნებულად გვატყუებდა

(გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორს)

გთხოვთ ეს ჩემი წერილი მოათავსოთ თქვენი გაზეთის ერთ-ერთ მახლობელ ნომერში.

გლეხი-მენშევიკის სიტყვა.

1907 წელში მე შევედი სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, სოფ. ჯიხოში (გურია). დარწმუნებული იმაში, რომ თვითმპყრობელობა ხალხის კეთილდღეობის მოსისხლე მტერია, მე სხვებთან ერთად, შეძლებისდაგვარად გულწრფელად და შეუპოვრად ვცდილობდი მის დამხობას იმედები გამართლდა: მოხდა თებერვლის რევოლუცია და თვითმპყრობელობა დაეცა. მას მოჰყვა ოქტომბრის რევოლუცია, რომლის შემდეგაც მე, ჩემი მოწინავე ამხანაგების წყალობით „ვიცნობი" ბოლშევიკებს. დამფუძნებელი კრების გარეკა რუსეთში, საქართველოს „დამოუკიდებლობის" წინააღმდეგობა ბოლშევიკების მხრიდან და სხვა დაგვისურათეს ჩვენ, გლეხობას, როგორც ღალატი რევოლუციისა და თავისუფლებისა და მით ჩაინერგის ჩვენ გულში სიძულვილი ბოლშევიზმისადმი.

ამავე დროს ჩემს გულში იბადება არაჩვეულებრივი გრძნობა რაღაც გაუგებრობისა და სიყვარულისა, მაგრამ შემდეგმა მოვლენებმა საქართველოში ეს გრძნობა დაბურუა ჩემში. გადის ხანი, საქართველო სრულებით ჩემდა მოულოდნელად გასაბჭოვდა ჩვენ გლეხობა გაკვირვებაში მოგვიყვანა იმ გარემოებამ, რომ ბოლშევიკებმა არ გააუპატიურეს ჩვენი ცოლები, არ გაიტაცეს ჩვენი ქონება, არ დაანგრიეს სკოლები და საერთოდ არ გაასწორეს მიწასთან მთელი გურია, როგორც ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზედ გვიქადაგებდნენ ჩვენ მოწინავე ამხანაგები სამუდამოთ სირცხვილი მათ. ზოგს მათგანს კიდევაც სცხვენოდა, რომ მათი სიტყვები არ გამართლდა და თითქოს ეწყინათ, რომ ეს ასე არ მოხდა.

საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ჩვენი მენშევიკური მუშაობა აირ დაირია და თითქოს ჩაქრა ხოლო ორი თვის შემდეგ დაფეთებული და სოროებში მიმალული პირები მოვიდნენ გონს და შეუდგნენ ძველ ხელობას, ხოლო ახალი დროის ჭკუებით: ბოლშევიკები ორ კვირაში გადიან საქართველოდან, ვინაიდან თვით ლენინი ყოფილა საქართველოს გასაბჭოების წინააღმდეგი, „მთელი ევროპა ნ. ჟორდანიას მეთაურობით" მოითხოვს ამას საჭიროა ჩვენც მივეგებოთ ამ მოთხოვნილებას და მოვაწყოთ სოფლად სამისო მიტინგები, როგორც ეს ხდება მთელ საქართველოში.

ამ ჯგუფის მეცადინეობით 1921 წ. მაისში გაიმართა ჩვენს სოფელში საპროტესტო მიტინგი, რომელიც მოეწყო შემდეგნაირად მიტინგის მიზანი იცოდა მცირეოდენმა ჯგუფმა რამოდენიმე საათის კრების წინ ხალხს ეცნობა, რომ შესდგება მენშევიკური კრება, ხოლო ხალხმა არც კი იცოდა თუ რაში იყო საქმე. დარეკეს ზარი. ჩვენ წავედით დანიშნულ ადგილას, სადაც გავიყოლიეთ ხალხი, ხალხი მოიყვანა კრებაზე ცნობის მოყვარეობამ და არა მენშევიკურმა რწმენამ კრება დამთავრდა ორი თუ სამი პიროვნების დაპატიმრებით და მათი ხალხის ლანძღვა-გინებით. ამის შემდეგ მენშევიკური მუშაობა მთლიანად ჩაცხრა ჩვენში.

1923 წ. ივნისის ბოლოთვეში მე, ჩემი კერძო საქმისათვის გავემგზავრე ქ. ტფილისში, იქ ვინახულე სამსონ დობორჯგინიძე, რომელიც ჩვენ გლეხ მენშევიკებს შორის ითვლებოდა დიდ ავტორიტეტათ. მასთან საუბარმა კვლავ გამოაღვიძა ჩემში მენშევიკური რწმენა და სურვილი ამ პარტიაში მუშაობისა. მან მომცა სამი ცალი პროკლამაცია, სათანადო დარიგება ია ჩეკის შედგენის შესახებ და გამოვემგზავრე სოფელში ჩამოსვლის შემდეგ მე მოვნახე სოფელში ჩემი ძველი თანამოაზრეები: 1 ვარლამ გორგაძე, 2 ძმები ბიჭიკო და გაბრიელ მიქელაშვილები, 3. ისაკი ბოლქვაძე, 4. ვასილ ხომერიკი, 5 ილიკო დოლიძე, 6 გიორგი გედევანიძე, 7 დიმიტრი მერმანიშვილი, 8 კოლია ჯიბუტი და 9 გიორგი ქვარცხავა მოველაპარაკეთ და შევადგინეთ იაჩეიკა, რომელშიც შედიოდნენ ჩვენთან ერთად ყველა ზემოდნიშნული პირები.

ჩვენი იაჩეიკის მესაიდუმლე და წინამძღოლი, მასთან ყოველგვარი კრების მომწოდებელი იყო მიხეილ სიხარულიძე სხვათა შორის ის გვეუბნებოდა, რომ ყველა წინადადები, მათ შორის ოსმალეთის სულთანი და მისი ფაშები ჩვენ გვეხმარებიანო

იმავე წლის სექტემბრის მიწურულში ხსენებული სიხარულიძე შემხვდა გზაში და მომცა ერთი პროკლამაცია და წერილი ოზ. სარაიონო დამხმარე კომისიისაგან ვილაც „აფროდიტის" ხელის მოწერით. წერილში მოგვიწოდებდნენ ჩვენ შეგვეგროვებინა ფული დაპატიმრებული ამხ. სასარგებლოდ. შევკრიფეთ თუთხმეტი მილიონი მანეთი სიხარულიძის სიტყვიერი გადმოცემით მე უნდა მიმეტანა ერთი ჩემთვის უცნობი პარტიულ ამხანაგისათვის, რომლის დასახელება აქ არ მსურს და ის მიჩვენებდა „აფროდიტას", რომლისთვისაც მე უნდა გადამეცა დაგროვებული თანხა. ის კი მე მომცემდა ფულს სამსონ დობორჯგინიძის ოჯახობის გადასაცემათ თვითონ იმ დროს დაპატიმრებული იყო.

პირველ ჩამოსვლაზე ის უცნობი ამხ. მე ვერ ვნახე თავის ბინაზე, შემდეგ დროის უქონლობის გამო მე აღარ მიმიტანია ფული მისთვის და ეს თანხა დარჩა ჩემთან იმავე წლის 22 დეკემბერს მე შემთხვევით დამაპატიმრეს ზედ აღმომაჩნდა ზემო ჩვენები პროკლამაცია და წერილი ოზ პოლიტბიურომ წარმიყენა ბრალდება, რომ მე ვარ უჩხოის ორგანიზაციის კოლეგიის წევრი მე რა თქმა უნდა უარი განვაცხადე პოლიტბიურომ მიმაბრძანა საპატიმროში და ჰქონდა რა ჩემზე საკმაო საბუთები დიდად არც იწუხებდა თავს ჩემს დაკითხვაზე და არ ჩქარობდა ჩემი საქმის დაბოლოვებას, საპატიმროში ვკითხულობდი გაზეთებს. გაზეთების გადაშლამ, [illegible], ციხეში და სხვების წერილების წაკითხვამ გამოიწვია ჩემშიაც სურვილი ჩემი წარსული მუშაობის გადაფასებისა. შედეგი ასეთია: თებერვლის რევოლუციამდე მე ვიყავი სოციალისტი, შემდეგ კი ჩემდა შეუცნობლად მოწინავე ამხ. წყალობით გავხდი რევოლუციის მოღალატე მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ეხლაც მრავალია გლეხობაში ჩემსავით გაბრიყვებული. საჭიროა დაფიქრება და ისინიც გაერკვევიან იმ სიყალბეში, რომელშიაც ჩვენ ჩაგვითრიეს მენშევიკებმა. ზიზღი მათ, გაუმარჯოს ჭეშმარიტად მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველ საბჭოთა ხელისუფლებას. გირჩევთ თქვენ ჩემი ყოფილი იაჩეიკის გლეხო ამხანაგებო გადაიკითხოთ გაზეთები. მეც გატყუებდით თქვენ მხოლოდ ჩემდა შეუგნებლად. ზიზღი მათ, ვინც შეგნებულად გვატყუებდა.

ერმოლოზ ივანეს ძე ხინველი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

იაპონია

კორეის მუშურ გლეხურ ორგანიზაციების ყრილობა.

ვლადივოსტოკი. 28 თებერვალი. კორეის ჩრდილოეთის პროვინციებში სწარმოებს საორგანიზაციო მუშაობა სეულში ყრილობის მოსაწვევად ყრილობამ უნდა გააერთიანოს 40 ზე მეტი მუშურ-გლეხური ორგანიზაციები.

სამხრეთ კორეაში განზრახულია 60 ზე მეტი მუშურ-გლეხური ორგანიზაციების გაერთიანება „სამხრეთ კორეის მუშურ-გლეხურ კავშირის" სახელწოდებით

ინდოეთი

გაფიცვა ბომბეიში.

კაბული. 28 თებერვალი გაფიცვა ბომბეიში გრძელდება. გაფიცულებს შეუერთდნენ ბამბის ფაბრიკის მუშები

იყვანა ოპოზიციაში და დაუპირისპირა კაპიტალისტების პოლიტიკას, მუშათა პარტიის ლიდერებიც დაფუთხნენ, მათ შეემჩნათ თავიანთი პრივილეგიურ მდგომარეობის დაკარგვის და ისინიც გაყვნენ მუშათა მოძრაობის საერთო ტალღებს: გამოვიდნენ მთავრობის კოალიციიდან და „შეუდგნენ" ოპოზიციას გამარჯვებას საერთო არჩევნების დროს 1918 წ. მუშათა პარტიამ მიიღო 61 ადგილი; ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ მუშათა პარტიის გავლენა საკმაო სიძლიერით იზრდებოდა ლიბერალებისა და კონსერვატორებისაგან მოტყუებულს მასაში და თანდათან ძლიერდებოდა ოპოზიციონური სული. 1918—20 წლებში ინგლისის მთავრობა დაფარული „წმინდა ხაზებით", დათმობის გზას დაადგა და მუშათა პარტიის ლიდერების საშუალებით მორიგების პოლიტიკას მიმართა. ეს პერიოდი იყო უდიდესი რევოლუციონური ენტუზიაზმის პერიოდი მთელ მსოფლიოში. ევროპის პროლეტარული მასა, რუსეთის დიდი ოქტომბრით წახალისებული, პირდაპირ მიილტვოდა პოლიტიკური ძალა უფლების დასაპყრობლად. გერმანიის რევოლუციონური მოძრაობა, უნგრეთის საბჭოთა ხელისუფლება, ჩეხო სლოვაკიის და იტალიის დიდი მოძრაობანი მნიშვნელოვანი რგოლები იყო ამ საერთო ცეცხლოვანი და რევოლუციონური აღტყინების. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ევროპა ამ პერიოდში პირდაპირ გადაარჩინა რევოლუციონურ ქარიშხალისაგან რეფორმისტულმა პარტიებმა და მათმა გამყიდველურმა პოლიტიკამ

ინგლისის პროლეტარიატიც ამ საერთო მოძრაობის ქარცეცხლში ჩაება, მაგრამ ჰენდერსონისა და ტომასის „გმირულმა" პოლიტიკამ იხსნა ინგლისის ბურჟუაზია საფრთხისაგან. ამ ბელადებმა საკმაოდ დაიმსახურეს კაპიტალისტების ნდობა, როგორც ომის დროს, ისე ომის შემდეგაც.

1920—22 წლები გამოხატავს ინგლისის სამეურნეო ცხოვრების უდიდესს კრიზისს; მასთანვე კაპიტალისტები თავდაცვიდან თავდასხმაზე გადავიდნენ მუშათა კლასის მიმართ: შეამცირეს შრომის ხელფასი, გადიდეს სამუშაო დრო და აგრეთვე დიდძალი რიცხვი უმუშევართა გამოდევნეს ფაბრიკა-ქარხნებიდან. ამ საშუალებით ბურჟუაზია ცდილობდა გაეფართოებინა თავისი შემოსავლის წყარო, რომელიც ძლიერ შეირყა საგარეო ვაჭრობის შემცირების გამო. მაგრამ ასეთმა ზომებმა დიდი აღშფოთება გამოიწვიეს მუშათა წრეებში და მათაც გაფიცვებით უპასუხეს ბურჟუაზიის პოლიტიკას. მუშათა პარტიის ბელადები შეშფოთდნენ და საბრძოლველად გამოსულ პროლეტარულ მასებში დიდი დეზორგანიზაცია შეიტანეს კაპიტალისტების ხათრით; მუშათა კლასმა ვერავითარი ეკონომიური გაუმჯობესება ვერ მიიღო და გათავხედებული კაპიტალი კვლავ ცინიკურად განაგრძობდა მათს ყვლეფას.

ამგვარად მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში მუშათა პარტიამ საკმაოდ დაიმსახურა ბურჟუაზიის ნდობა!

ბურჟუაზია კარგად ხედავს, რომ მუშათა პარტიას არ აცხია არავითარი რევოლუციონური ელფერი, იგი უძლურია რაიმე სოციალისტური პოლიტიკა გაატაროს

თვით გაბატონებულ კლასებსა და მათს პარტიებს შორის მეტად დიდმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი საშინაო და საგარეო საკითხების გარშემო ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის შეუძლებელი შეიქნა შემათანხმებელი ხაზის გამონახვა.

ყოფ. მთავრობის პარტიამ, კონსერვატორებმა ვერ შესძლო ვერც საგარეო და ვერც საშინაო ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიღწევა ამ გარემოებამ გამოიწვია მცხოვრებთა დიდი უკმაყოფილება: წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები და მოხელეები, რომელნიც მხარს უჭერდნენ კონსერვატიულ პარტიას, ამჟამად გადავიდნენ ოპოზიციაში და აქ უკანასკნელი არჩევნების დროს გამარჯვება არგუნეს ლიბერალებსა და მუშათა პარტიას. ამ უკანასკნელებმა პარლამენტში მიიღეს შედარებით კონსერვატორებთან ხმის დიდი უპირატესობა მაგრამ მუშათა პარტია ვერ აიღებდა ხელში ძალაუფლებას, თუ მას არ დაეხმარებოდნენ ლიბერალები, რადგან ძალა მათ არ ჰქონდათ საკმაო [illegible]. ლიბერალებმა უკვე გამოცდილებით იცოდნენ, თუ როგორი პოლიტიკა და პროგრამა სურდათ გაეტარებიათ მუშათა პარტიის ბელადებს: მათ იცოდნენ, რომ მუშათა პარტია არავითარს ისეთს ნაბიჯს არ გადასდგამს, რომელიც საზიანო და დამღუპველი იქნება ბურჟუაზიისათვის, ამიტომ მათ მხარი დაუჭირეს „მუშათა მთავრობის" შედგენას ინგლისში.

ჩვენში არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომელთაც სჯერათ, რომ ინგლისში მართლაც განხორციელდა ნამდვილი მუშათა მთავრობა... რეფორმისტულად მოაზროვნე ელემენტები გვეუბნებიან: აი ხედავთ უსისხლოდ, ურევოლუციოდ, წმინდა პარლამენტარული გზით შესაძლებელი ყოფილა დიდი გაუმჯობესების მიღწევა და მუშათა კლასის გაბატონება. ასეთი პირები ინგლისის მუშათა პარტიის პოლიტიკას და კომპარტიის პოლიტიკას ერთი-მეორეს უპირისპირებენ და უფრო სწორად მიაჩნიათ პირველის გზა.

მაგრამ ასეთ მოკამათეს ხედველობიდან ეპარება მუშათა პარტიის ისტორია და მისი დღევანდელი პოლიტიკა, სამოღვაწეო პროგრამა მუშათა პარტიის გამარჯვებით ინგლისში პოლიტიკურ ცხოვრების სათავეში მოექცა წვრილბურჟუაზიული პარტია, რომელიც მხოლოდ სიტყვით არის სოციალისტური, ხოლო საქმით ორივე ფეხებით სდგას თანამედროვე კაპიტალიზმის საფუძვლებზე [illegible], საკმარისი არის მუშათა პარტიამ რაიმე რადიკალური ნაბიჯი გადასდგას ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ რომ იმავე პარლამენტარულის წესით დაბლა დაუშვას იგი

მუშათა პარტიის გაბატონებას შინაურ ცხოვრებაში მოყვება მხოლოდ დემოკრატიული რეფორმები, ძველი წყობილების „შეკეთება". იგი ვერ განათავისუფლებს მუშათა კლასს მძიმე პირობისაგან და ვერ აუნაზღაურებს მას სრულს შრომის ხელფასს: წარმოების ბატონ-პატრონი და მთელი დოვლათის გამგე კვლავ დარჩება ბურჟუაზია; ინგლისის ბურჟუაზია კვლავ ძველებურად თავის ბატონობაში დასტოვებს 450 მილიონ კოლონიალურ ხალხს და ერებს, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში ათასნაირ შეურაცხყოფასა და დამცირებას განიცდიდნენ ინგლისის მთავრობისაგან

ასეთს პირობებში ინგლისის მუშათა კლასი, რომლის დიდი უმეტესობა, საუბედუროდ, დღეს მუშათა პარტიას მისდევს, ნათლად დაინახავს, რომ მისი ბედი არ შეუძლია ამ პარტიას, რომ მუშათა პირობების გაუმჯობესება შეუძლებელი არის კაპიტალისტურ ბატონობის დროს, რომ ამისათვის საჭიროა თვით კაპიტალისტური ეკონომიის აღმოფხვრა ახალი წყობილების შექმნა. ამ მხრივ მუშათა პარტიის გაბატონებას ინგლისში აუცილებლად მოჰყვება მუშათა კლასის გამოფხიზლება და მათი გარევოლუციონერება; ისინი ნათლად შეიგნებენ, რომ ერთადერთი მხსნელი მუშათა კლასის არის კომპარტია; ამიტომ დღევანდელი მთავრობა მართლაც გადაიქცევა ერთგვარ გარდამავალ ხიდათ ნამდვილი მუშათა მთავრობის გასამტკიცებლად, რომელიც საარჩევნო სისტემებით კი არ იქნება, არამედ მუშური რევოლუციის გზით.

მოხუცი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

სომხეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი.

ერევანი. 29 თებერ. გაიხსნა სომხეთის კომპარტიის ცეკას მორიგი გაფართოებული პლენუმი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრების და სამაზრო კომიტეტების მდივნების თანდასწრებით. დღის წესრიგშია: ცეკას პრეზიდიუმის ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ, პარტიულ და სამეურნეო მშენებლობის საკითხები და მიმდინარე საქმეები პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. აშოტ ოგანისიანი. მეორე სხდომაზე საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. კარამიანმა გააკეთა მოხსენება პარტიულ მშენებლობის საკითხების შესახებ; მომხსენებელი შეეხო შინაპარტიული დემოკრატიის განხორციელების კონკრეტიულ საშუალებებს სომხეთის სინამდვილის პირობებში. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია 5 კაცისაგან, რომელსაც მიენდო რეზოლუციის შემუშავება მოხსენებების გამო და პლენუმისათვის გადაცემა დასამტკიცებლად. მესამე სხდომაზე ამხ. ლუკაშინი გააკეთებს მოხსენებას სამეურნეო აღმშენებლობის შესახებ.

მუშათა ფაკულტეტებში.

ერევანი. 29 თებერ. ერევნის მუშათა ფაკულტეტში იხსნება თურქული ჯგუფი. მუშათა ფაკულტეტის პირველ კურსზე სხვა საგნებს შორის ისწავლება თურქული ენა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

ერევანი. 29 თებერვალი. საბჭოთა რუსეთიდან გამოწერილი მანქანები გასინჯული იქნება ახლო მომავალში სომხეთში მათი გამოსადეგობის გამოსარკვევად. თუ გასინჯვამ დამაკმაყოფილებელი შედეგი მოიტანა, გამოწერილი იქნება მანქანების ახალი პარტია.

მიწისძვრა.

ერევანი. 29 თებერვალი. მეგრში ადგილი ჰქონდა საკმაოდ ხანგრძლივ მიწისძვრას. ზიანი არ ყოფილა.

აზერბეიჯანი.

ბაქოს კავშირი.

ბაქო 29 თებერვალი ბაქოს კავშირი პურს აწვდის ბაქოს განათლების და ჯანმრთელობის განყოფილებათა დაწესებულებებს ენერგიული ზომების გამო, ბაქოს კავშირის სასადილოები არ იძლევიან ზარალს.

ტრამვაი.

ბაქო. 29 თებერვალი. დაიწყო ტრამვაის ხაზის გაყვანა ჩერნოგოროდსკის, ბაილოვსკის, არმენიკენდის და ბელოგოროდსკის რაიონებში. ქალაქის ხაზის ექსპლოატაცია ნორმალურად მიმდინარეობს: ყოველდღიური შემოსავალი უდრის 1,200 ჩერ. მანეთს.

საერთო ჯამი ტრამვაის მუშაობის დაწყებიდან უდრის 22 476 მან ჩერვონეცით მიმოსვლის დაწყებიდან 26 თებერვლამდე გადაყვანილია 308,340 მგზავრი ყოველდღიურად მოძრაობაშია საშუალოდ 10 ვაგონი ტრამვაის ნორმალური მოძრაობის დაცვის მიზნით, განზრახულია სპეციალური კანალიზაციის მოწყობა ქალაქის დასაცავად ნიაღვარიდან

პარტიული ცხოვრება

ქ. სამტრედია

დისკუსიამ შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ, ფართო გამოხმაურება პოვა ჩვენ რაიონშიაც.. ხდებოდა კრებები თითქმის კვირაში ორჯერ, იყო გაცხოველებული კამათი, აზრთა შეხლა შემოხლა აქა თუ იმ საკითხის ირგვლივ ამხანაგები საერთოთ (უმრავლესობა) იმ აზრის იყვნენ, რომ ცირკულიარი ცეკას და საკონტროლო კომისიის მიერ გამოცემული პარტიის სიმტკიცის და შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ მისაღებია, მიზანშეწონილი, ხოლოთ საჭიროა მისი ცხოვრებაში გატარება თანდათანობით მოვლენების მიხედვით, რაც თავდები იქნება ჩვენი პარტიის სიმტკიცის და სოლიდარობის... კომუჯრედების უკანასკნელ გაერთიანებულ კრებაზე (ქალაქის დეპოს, კონდუქტ. და სხვა) გაუკეთეს რა ჯამი დისკუსიას, სცნეს ის ამოწურულათ და მიიღეს შესაფერი რეზოლუცია ცენტრალურ-კომიტეტის ცირკულიარის მიხედვით....

სამტრედიის რაიონი ძლიერ მდიდარი იყო პარტიული ძალებით რევოლუციის პირველ ხანებში, მაგრამ რევოლუციის ინტერესებისათვის ისინი გადაყვანილ იქნენ ზოგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ზოგი რუსეთშიც კი, რისთვისაც პარტიულ მუშაობას დაეჩნია სისუსტე და მოდუნება, ამისთვის მორიგ პარტკრებაზე გადაწყდა პარტ-სკოლის გახსნა ქალაქის უჯრედთან და კულაშის თემის უჯრედთან.. სადაც მიამაგრეს თითო პასუხისმგებელი ამხანაგი სამეცადინოთ.. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს სკოლა მოგვცემს კარგ მომზადებულ ამხანაგებს, რომლებიც მედგარი დამცველი იქნებიან კომუნიზმის იდეისა.

ხუთშაბათს, 14 თებერვალს პარტკლუბის დარბაზში მოხდა სამი უჯრედის გაერთიანებული კრება.. სადაც საერთაშორისო მდგომარეობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. გამ. ჯანგველიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა, რა უცხო სახელმწიფოების მიერ ჩვენი კავშირის ცნობას, აღიარა საბჭოთა რუსეთის შინაური მდგომარეობის სიმტკიცე და მისი სიმაგრე როგორც საბჭოთა, ისე სამეურნეო დარგებშიაც.. მოხსენება ყურადღებით იქნა მოსმენილი და მიღებული ცნობათ. ელსადგურის მუშაობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. სპ. კიკაჩეიშვილმა, რომელმაც გააცნო კრებას 1923 წ. ის გაცხოველებული აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც აღასრულა [illegible] მცირე თანხებით, რასაკვირველია .. მოხსენება ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლათ.. საერთოთ პარტ მუშაობას დისკუსიის შემდეგ გამოცოცხლება ეტყობა...

ხან კანი.

ტფილისის ქალაქის უპარტიოთა კონფერენცია

28 თებერვალი, მეხუთე დღე.

მუშათა კოოპერატივის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ერისთავი. მუშკოოპის მოქმედების რაიონში, ქალაქ ტფილისის გარდა, ამჟამად შედის მახლობლად მდებარე დაბა-სოფლები, რითაც მუშის გლეხთან კოოპერატიული დაკავშირების პრინციპი სავსებით განხორციელებულია თანამშრომელთა რიცხვის შემცირებით და წარმოების ნაყოფიერების გადიდებით მიღწეულია მეურნეობის რაციონალურ ნიადაგზე დაყენება. აქტიურ წევრთა რიცხვი 1922 წლის 1 სექტემბრიდან 1924 წლის 1 იანვრამდე 361 დან 12,388 კაცამდე გაიზარდა, რომელთა საპაიო შენატანი გამოიხატება 8 000 ოქროს მანეთში. საქონელი მუშკოოპში იყიდება, ძალიან იშვიათი გამონაკლის გარდა, 20 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე ბაზარზე მუშკოოპის წარმოებითი მოქმედება ყველაზე უფრო თვალსაჩინოა პურის ცხობის და რძის ნაწარმოების დარგში. თუ წინეთ პური ცხვებოდა დღეში 120 ფუთი, ახლა დღეში 1100 ფუთი ცხვება. რძე და მისი ნაწარმოები თუ წინეთ ას ფუთობით იანგარიშებოდა, ეხლა ის მზადდება ათას ფუთობით საკუთარი ან იჯარით აღებულ ჯოგებიდან და მამულებიდან.

1922 წ. 12 ოქტომბერს გახსნილ იქნა საბანკო განყოფილება, რომელიც ხელს უწყობს ერთის მხრივ მუშაობის ფულის რეალურ ფასის შენარჩუნებას და მეორეს მხრივ უწევს დახმარებას მუშკოოპს.

ამხ. მიქაძემ გააკეთა მოხსენება შრომის კომისარიატის მოქმედების შესახებ შეეხო რა შრომის კომისარიატის სხვადასხვა დარგებს, ამხ მიქაძემ აღნიშნა, რომ ამჟამად შრომის ბირჟაზე თუმცა არის 13.000 კაცი უმუშევარი, რაც თითქოს დიდი რიცხვი არის, მაგრამ რამდენად ამ უმუშევრებს შორის ვერ შეხვდებით კვალიფიციურ მუშებს და ისინი შედგებიან მხოლოდ გონებით მუშაკთაგან, იმდენად ეს უმუშევრობა არ წარმოადგენს საშიშ მოვლენას.

ზემოაღნიშნულ რიცხვში 7 000 კაცი კავშირის წევრები არიან უმუშევრობის სიმძაფრის გასანელებლად კომისარიატი ღებს სხვადასხვა ზომებს, მაგრამ, უმუშევართა სოციალური მდგომარეობის გამო, ეს ბრძოლა ძალიან ძნელია და მცირე ნაყოფსაც იძლევა.

მუშკორი ნ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში

(4 მარტი)

[illegible]	475	მილ
ფ. სტერლინგ. ეფექ.	4 846	„
„ ჩეკები	— 4 085	„
დოლარი ეფექ.	— 1030	„
„ ჩეკები	- 950	„
ოსმ. ქაღ. ლირა	— 687	„
იტალიური ლირა	— 48	„
ფრანგული ფრანკი	— 42	„
საბჭ. ფულის ნიშნები	— 15	„

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი სახაზინო კომისიისა.

(4 მარტი)

1 ოქროს მანეთი	475 000	ათ.
1 საბანკო ჩერვ. მან.	380 000	„
1 ჩერვ. მან. ხურდა	340 000	„

მუშკოოპის ფასები.

(4 მარტი)

პური 1 ხარ.—35000 ათასი, პური 2 ხარ.—27,000 ათასი, ძროხის ხორცი—130,000 ათასი, ღორის ხორცი 130000 ათ. შაქარი რაფინადი 176 000 ათ., ფხვნილი შაქარი—127,500 ათ., კარტოფილი 9,000

ტფილისის ბაზრის ფასები.

(4 მარტი)

პური 1 ხ.—55000 ათ., პური 2 ხარ.—30000, ძროხის ხორცი 160.000 ათ. ღორის ხორცი 160.000 ათ., შაქარი რაფინ. 180 000 ათ., შაქარი ფხვნილი 130,000 ათ., კარტოფილი 15—20 ათ.

ბირჟის მიწოდება.

მ ვთული მარტენის, კონიაკი (ძველი), ოდესის ქარხნების სასწორები და მეტრიული გირები, „ცენტროსოიუზ"-ის ჩაი; ცეილონის და ჩინეთის ჩაი, ყავა „მოკკო", განჯის შაბი, იტალიური გოგირდი ფხვნილი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია, „ურალმეტ"-ის პროდუქცია, შვეიცარული ყველი, კაუსტიური სოდა, რუს მანუფაქტურა, კვებრახოს ექსტრაქტი, ბოროალი და პერიული, ტყავის ღვედები, ქიმიური ნაწარმოები, საშენებელი ლურსმნები, ფანჯრის მინა, ასანთი რუსული, სახ. მეურნ. საიჯ. საპნის და საფეიქრო ტრესტის ნაწარმოები (საპონი 1 ხარ და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, ცხვრის მატყლი (გარეცხილი), კინაქინა, ჰიგროსკოპიული ბამბა, ფენქები, გაზეთის ქაღალდი, ტომრები, ნიშადური, შაბიამანი, კარტოფილის ფქვილი, ძირტკბილა, კარდონი, ადგილობრივი ხორბალი, განჯის წითელი ღვინო.

ბირჟის მოთხოვნილება

რუს მანუფაქტურა, შაბიამანი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, ქვა-მარილი ნახიჩევანი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, სალამასი, მზესუმზირას ზეთი, ყუბანის ფქვილი 1 ხარ. და საკანდიტერო, ასანთი რუს., გოგირდი, ხედლი ტყავეულობა, პორტლანდის ცემენტი, თუჯის და რკინის ნატეხი.

ოფიციალური ნარიხები.

შაქარი რაფინადი (ნატეხი) „სახაროტრესტ"-ის პრეისკურანტის ფასებში, ფრანკო ერევანი.

ტყავი დედები—კრომანი—შავი ვიზლოვის აზოგ დების პრეისკურანტის ფასებში—სულ 18194 მ. 40 კ თანხისა, ფრანკო—გამყიდველის საწყობი.

რუს. მანუფაქტურა—პრეისკურანტის ფასებში—სულ 11991 მ 77 კ. ფრანკო—სახელ. ბანკის საწყობი

შაქარი რაფინადი (ნატეხი)—13 მ. 55 კ. ფრანკო „სახაროტრესტ"-ის საწყობი.

საქონლის ბაზრის მდგომარეობა.

საქონლის სხვადასხვა ბაზრებს შესამჩნევი ცვლილება არ ეტყობა.

ვალუტის ბაზრის მდგომარეობა.

ჩერვონცების კურსი კვლავ მატულობს. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ფრანკი, რომელიც რამდენიმე დღის წინად იტალიურ ლირაზე დაბლა დაეცა, ამჟამად გაუსწორდა იტალიურ ლირას.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(4 მარტი)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 ჩ.—	4.750.000	56 ჩ.—	266.000.000
2 ჩ.—	9.500.000	57 ჩ.—	270.750.000
3 ჩ.—	14.250.000	58 ჩ.—	275.500.000
4 ჩ.—	19.000.000	59 ჩ.—	280.250.000
5 ჩ.—	23.750.000	60 ჩ.—	285.000.000
6 ჩ.—	28.500.000	61 ჩ.—	289.750.000
7 ჩ.—	33.250.000	62 ჩ.—	294.500.000
8 ჩ.—	38.000.000	63 ჩ.—	299.250.000
9 ჩ.—	42.750.000	64 ჩ.—	304.000.000
10 ჩ.—	47.500.000	65 ჩ.—	308.750.000
11 ჩ.—	52.250.000	66 ჩ.—	313.500.000
12 ჩ.—	57.000.000	67 ჩ.—	318.250.000
13 ჩ.—	61.750.000	68 ჩ.—	323.000.000
14 ჩ.—	66.500.000	69 ჩ.—	327.750.000
15 ჩ.—	71.250.000	70 ჩ.—	332.500.000
16 ჩ.—	76.000.000	71 ჩ.—	337.250.000
17 ჩ.—	80.750.000	72 ჩ.—	342.000.000
18 ჩ.—	85.500.000	73 ჩ.—	346.750.000
19 ჩ.—	90.250.000	74 ჩ.—	351.500.000
20 ჩ.—	95.000.000	75 ჩ.—	356.250.000
21 ჩ.—	99.750.000	76 ჩ.—	361.000.000
22 ჩ.—	104.500.000	77 ჩ.—	365.750.000
23 ჩ.—	109.250.000	78 ჩ.—	370.500.000
24 ჩ.—	114.000.000	79 ჩ.—	375.250.000
25 ჩ.—	118.750.000	80 ჩ.—	380.000.000
26 ჩ.—	123.500.000	81 ჩ.—	384.750.000
27 ჩ.—	128.250.000	82 ჩ.—	389.500.000
28 ჩ.—	133.000.000	83 ჩ.—	394.250.000
29 ჩ.—	137.750.000	84 ჩ.—	399.000.000
30 ჩ.—	142.500.000	85 ჩ.—	403.750.000
31 ჩ.—	147.250.000	86 ჩ.—	408.500.000
32 ჩ.—	152.000.000	87 ჩ.—	413.250.000
33 ჩ.—	156.750.000	88 ჩ.—	418.000.000
34 ჩ.—	161.500.000	89 ჩ.—	422.750.000
35 ჩ.—	166.250.000	90 ჩ.—	427.500.000
36 ჩ.—	171.000.000	91 ჩ.—	432.250.000
37 ჩ.—	175.750.000	92 ჩ.—	437.000.000
38 ჩ.—	180.500.000	93 ჩ.—	441.750.000
39 ჩ.—	185.250.000	94 ჩ.—	446.500.000
40 ჩ.—	190.000.000	95 ჩ.—	451.250.000
41 ჩ.—	194.750.000	96 ჩ.—	456.000.000
42 ჩ.—	199.500.000	97 ჩ.—	460.750.000
43 ჩ.—	204.250.000	98 ჩ.—	465.500.000
44 ჩ.—	209.000.000	99 ჩ.—	470.250.000
45 ჩ.—	213.750.000	1 მ.	475.000.000
46 ჩ.—	218.500.000	2 მ.—	950.000.000
47 ჩ.—	223.250.000	3 მ.—	1.425.000.000
48 ჩ.—	228.000.000	4 მ.—	1.900.000.000
49 ჩ.—	232.750.000	5 მ.—	2.375.000.000
50 ჩ.—	237.500.000	6 მ.—	2.850.000.000
51 ჩ.—	242.250.000	7 მ.—	3.325.000.000
52 ჩ.—	247.000.000	8 მ.—	3.800.000.000
53 ჩ.—	251.750.000	9 მ.—	4.275.000.000
54 ჩ.—	256.500.000	1 ჩერვ.	4.750.000.000
55 ჩ.—	261.250.000		

პროფკავშირებში

ა.-კ. სახალხო კავშირის მუშაკთა მეორე ყრილობა

27 თებერვალს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა ა.-კ. სახალხო კავშირის მეორე ყრილობა.

ყრილობა გახსნა ამხ. ბერძენიშვილმა, რომელმაც ყრილობას წინადადება მისცა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ამხ. ლენინის ხსოვნისათვის. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ყრილობა შეუდგა პრეზიდიუმის არჩევას ყრილობის კომფრაქციის წინადადებით პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ბერძენიშვილი, კუხალიშვილი, ალგუზოვი, ლომაია, ცაბაძე, ჩერვუხინი, ქურული, ალამიროზოვი, ჩიხლაძე, ალექსანდრია და შებუხიაევი.

ყრილობის საპატიო წევრებად არჩეულნი არიან ამხ ამხ. ტროცკი, ლოზოვსკი, ლიუტოვინოვი, ყურულაშვილი, მიხა ცხაკაია, სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, ციასხიკოვი და იაკუბოვი

შემდეგ ყრილობა იღებს დღის წესრიგს და რეგლამენტს ყრილობის დადგენილებათა და ამუშავებლად და თეზისების შესადგენად ყრილობა ირჩევს ოთხ სექციას: საორგანიზაციოს, კულტურულ საგანმანათლებლოს, შრომის და საწარმოო სექციებს.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს სრულიად რუსეთის სახალხო კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელმა ამხ შვარცმა, საბჭოთა კავშირის ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ამხ ათაბეგოვმა, აზერბეიჯანის წარმომადგენელმა იამიდოვმა, საქართველოს წარმომადგენელმა ამხ. ალექსანდრიამ და სომხეთის წარმომადგენელმა ამხ. [illegible]. ტფილისის რაიონის უჯრედების ყრილობას მიესალმა ამხანაგი ფურცელაძე.

ყრილობა ადგენს მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს რუსეთის კომ. პარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტს, სრ. რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს ა.-კ. ბიუროს, სახალხო კავშირის მუშაკთა ცენტრალურ კომიტეტს, ტროცკის, კრუპსკაიას და სტალინს. დეპეშების ტექსტის შედგენა მიენდო სარედაქციო კომისიას.

საერთაშორისო მდგომარეობა.

(ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება)

ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს სახელით, ყრილობას ესალმება ამხ. მამია ორახელაშვილი, რომელიც აკეთებს მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე მომხსენებელი ვრცლად აცნობს ყრილობას საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც მომხსენებლის დახასიათებით დღითი დღე მტკიცდება და ხდება უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტორად. ამავე დროს პარალელურად მომხსენებელი ანალიზს უკეთებს ევროპის ცალკე სახელმწიფოთა სამეურნეო და პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც კლასიური ბრძოლის გამწვავების და ეკონომიური ანარქიის გამო კრიზისს განიცდის. მომხსენებელმა მოხსენების დასასრულ გამოაქვს დასკვნა, რომ შექმნილ საერთაშორისო პირობებში საბჭოთა კავშირის გამარჯვება აუცილებელია

მოხსენების შესახებ რეზოლუციის შედგენა მიენდო პრეზიდიუმს.

მეცნიერება და ტეხნიკა

გიგანტები და კარლიკები

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ვარსკვლავების ნამდვილი სინათლე, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ისინი ერთნაირი მანძილით არიან ჩვენგან დაშორებული. ასტრონომიაში მიღებულია ვარსკვლავის ნამდვილი სინათლის გამოსარკვევად მათი წარმოდგენა (თეორიულად) იმ მანძილზე, რომლის გავლისათვის სხივისათვის საჭიროა 32 წელიწადი, იმ სინათლეს, რომელიც ექნებოდა ვარსკვლავს, რომ ის ამ მანძილზე ყოფილიყო, ეწოდება ამ ვარსკვლავის აბსოლიუტური სინათლე. რომ მზე ამ მანძილით იყოს დაშორებული ჩვენგან, ის ჩვენ ერთ ხამცეცა წერტილად მოგვეჩვენება. შეუძლებელია ყველა ვარსკვლავისათვის აბსოლიუტური სინათლის გამორკვევა, ვინაიდან გაზომვის სიძნელის გამო, ცდებით იციან მხოლოდ რამდენიმე ვარსკვლავის სიშორის მანძილი. მაგრამ ამ ვარსკვლავების აბსოლიუტური სინათლის გამორკვევით შესაძლებელია გავიგოთ: 1) თუ რამდენათ განსხვავდებიან ერთიმეორეთაგან ვარსკვლავები აბსოლიუტური სინათლით და 2) არსებობს თუ არა კავშირი აბსოლიუტურ სინათლესა და მათ სპექტრალურ კლასიფიკაციას შორის.

რომ გამოვიანგარიშოთ ეს და შევადაროთ მიღებული ციფრები, შემდეგ შედეგებს მივიღებთ:

1) A და B კლასების ყველა თეთრი ვარსკვლავები დიდი სინათლის მქონე არიან, დაახლოებით ათ ა ჯერ მეტი სინათლე აქვთ, ვიდრე მზეს; ყველა სუსტ სინათლიანი ვარსკვლავები (რომლებსაც მზესთან შედარებით 1 50, 1 2000 ნაკლები სინათლე აქვთ) წითლები არიან და ეკუთვნიან K და M კლასს. ეს თითქო შეეფერება ვარსკვლავების კლასიფიკაციას, მაგრამ მოულოდნელია შემდეგი შედეგები:

2) არის მრავალი, ძლიერი სინათლის მქონე წითელი ვარსკვლავები, ისინი ეკუთვნიან K და M კლასს, მაგრამ მათ ისეთივე სიძლიერის სინათლე აქვთ, როგორც A და B კლასის ვარსკვლავებს, ზოგჯერ უფრო მეტი.

ამიტომ მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ არსებობენ ძლიერი და სუსტ სინათლიანი ვარსკვლავები.

ამის გამო მეცნიერებამ ძლიერი და სუსტი ვარსკვლავების აღსანიშნავად შემოიღეს ტერმინები: ვარსკვლავი გიგანტი და ვარსკვლავი—კარლიკი.

რომ მივიღოთ საზომათ მზის აბსოლიუტური სინათლე და ვთქვათ, რომ ეს უკანასკნელი უდრის 1, მაშინ, რომლის განგარიშებით, B კლასის ვარსკვლავების აბსოლიუტური სინათლე იქნება—30, A კლასის 50, F—3, C—ცხრა ოთხედი, K—ერთი მეათედი, M ხუთი მეასედი.

მაგალითად ვარსკვლავ ანტარესის აბსოლიუტური სინათლე მზესთან შედარებით (1) 100,000 უდრის.

ეს არის ვარსკვლავი-გიგანტი.

კარლიკ ვარსკვლავის—ბერნარდის „მფრინავი" ვარსკვლავის სინათლე მზესთან შედარებით (1) ერთ ოთხიათასედს უდრის.

ქრონიკა

— **ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაგრძელების საკითხი.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა უკვე დასვა საკითხი ცენტრში ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის დაბა ჩოხატაურამდე გაგრძელების შესახებ და წარადგინა განსახილველით ზოგიერთი წერილობითი მასალები.

— **ქართულ სამხედრო სარედაქციო კოლეგიის** მიერ უახლოვეს მომავალში გამოიცემა ყოველთვიური ჟურნალი სპეციალური სამხედრო და პოლიტიკურ განყოფილებებით.

— **ამიერ-კავკასიის რკინისგზის მუშათა კავშირის პლენუმი** შესდგება არა 15 მარტს, როგორც იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში, არამედ 10 მარტს.

— **საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება** იწვევს თავის პირველ საჯარო კრებას სამშაბათს, 4 მარტს საღ. 6 ნახ. საათზე საქ. მუზეუმის ახალ აუდიტორიაში (კალოუბნის ქ. საკომენდანტოს პირდაპირ) წაკითხულ იქნება დოცენტ. გ. ნიკოლაძის მიერ, მრავალ დიაპოზიტივებით დასურათებული მოხსენება: „პირველი ქართული ექსპედიცია მყინვარწვერზე" შესვლა თავისუფალია.

— **შრომის ბირჟა.** 1 მარტს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—245 უმუშევარი ახლად ჩაეწერა—117, მოთხოვნილება იყო 49, სამუშაოზე გაიგზავნა—56.

— **სოფლებში სახლების დაზღვევის შესახებ.** საქ. ეკონომიურმა საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ა—კ. სახ. კომისართა საბჭოს, რომ სოფლის მცხოვრებნი, სახლების სავალდებულო დაზღვევისაგან განთავისუფლდნენ.

რკინისგზაზე.

— **ახალი ძლიერი ორთქმავლები.** ნავთის ექსპორტის გადიდების გამო ა.—კ. რკინისგზის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე, რათა ა—კ. რკინისგზის განკარგულებაში გადმოგზავნილი იქნას 40 ახალი ძლიერი ორთქმავალი.

— **უბედური შემთხვევა.** 27 თებერვალს მცხეთიდან მომავალ სამარშრუტო მატარებელზე შეხტომის განზრახვის დროს ივანე ლაბაქიძე მოჰყვა მატარებელს ქვეშ, რომელსაც მატარებელმა მოგლიჯა მარცხენა ხელი და მარჯვენა ფეხი.

— **ჯამაგირების მომატება.** ტფ. საფუნო პროფკავშირმა შუამდგომლობა აღძრა რკინისგზის სამმართველოს წინაშე, რათა სახელოსნოების და მძიმე ცეხების მუშებს ჯამაგირი გაუდიდდეს 50 პროც.

შემთხვევები

— **თავის დაჭრა.** 29 თებერვალს, ღამის 10 საათზე ლენინის ქ. № 13, მოქ. კონსტანტინე ნიკიფორეს ძე კოდენკომ 4-ჯერ დანით თავი დაიჭრა სასიკვდილოთ მიზეზი თვითმკვლელობის განზრახვისა, გამოურკვეველია.

— **ცეცხლი.** 29 თებერვალს საღამოს 8 საათზე, ორბელიანის ქ, № 38 მოქ. იოსებ სარქისიანის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— 28 თებერვალს ფალავანდოვის ქ. № 12 გაქურდული იქნა მოქ. ევგენია ულდეროვიჩის ბინა. დაზარალებულს ეჭვი აქვს ანაიდა გაბაიანცისას, რომლის შესაპყრობათ მიღებულია ზომები.

— 28 თებერვალს, საღამოს 5 საათზე სოლოლაკის ქ. № 10 მოქ. თამარა პავლეს ასული ფულაიას ბინიდან მოპარული იქნა სხვადასხვა ნივთები. ღირებულება გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** ავლაბარში, ბაიდარის ქუჩაზედ ღამის 2 საათზედ, მოიპარეს ბოძიდან 2 ელექტრონის ლამფა.

ხელოვნება

— **სოლომონ თაყაძის ლექსების წიგნი.** რედაქციამ მიიღო სოლომონ თაყაძის (ობოლი მუშის) ლექსების წიგნი. წიგნი გამოცემულია ლამაზად და შეიცავს 150 გვერდს და ღირს სამი აბაზი ჩერ.

მოხსენება თეატრზე. დღეს, საღამოს 7 საათზე ხელოვნების სასახლეში პროლეტარულ მწერალთა კავშირის თაოსნობით გაიმართება მეორე მოხსენება ქართული თეატრის შესახებ.

— **დრამატიული წრე.** სახ. ჯანმრთელობის კომისარიატთან მუშა-მოსამსახურეებისაგან დაარსდა ქართული დრამატიული წრე.

— **საბავშო წიგნების გამომცემლობა.** „ჯეჯილი" ყოფილი რედაქტორი ან. წერეთლის ხელმძღვანელობით დაარსდა საბავშო წიგნების გამომცემლობა „ჯეჯილი".

— **საოპერო წარმოდგენა მუშებისათვის.** დღეს, ნაძალადევის თეატრში გაიმართება საოპერო წარმოდგენა მუშებისათვის.

— **ახალი პიესა.** ივ. გომართელმა დასწერა ახალი პიესა: „ისინი არიან".

ზ. ჭიჭინაძის იუბილე ქიათურაში. ზაქარია ჭიჭინაძეს 50 წლის იუბილეს ქიათურაში უმართავენ მარტის დამლევისათვის.

— **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას იუბილე,** კვირას, 9 მარტს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას 35 წლის იუბილე.

დღეს თეატრებში.

— **დრამა.** „გააზნაურებული მდაბიონ".

— **სახ. სახლი.** რუსული წარმოდგენა.

— **კონსერვატორია.** მელშტეინის კონცერტი.

— **ცირკი.** ახალი მრავალფეროვანი პროგრამა.

პროვინციაში

ამხ. პარმენ ცინცაძის წერილის გამო

„კომუნისტის" 19 თებერვლის №-ში მოთავსებულია პარმენ ცინცაძის მიერ ხელმოწერილი წერილი ლანჩხუთის (ოზურგეთის მაზრა) საავადმყოფოს გამგე ექიმ სულაკოვის „მოღვაწეობის" შესახებ.

ჩვენ არ შევდივართ იმის განხილვაში, თუ რამდენათ გათახსირებული პიროვნება არის ექიმი სულაკოვი: ამას გამოარკვევს ის სპეციალური გამოძიება, რომელსაც ამჟამად აწარმოებს ოზურგეთის მაზრის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება. ყოველშემთხვევაში ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ამ შემთხვევაში არ ვენდოთ ამხ. ცინცაძეს. იმედი უნდა გამოვსთქვათ, რომ მის მიერ მოწოდებული ცნობა ლანჩხუთიდან გამართლდება და ექიმი სულაკოვიც სამაგალითოდ დაისჯება, მას თავის ალაგას მიუჩენენ. ეს ასე იქნება. ხოლო მომავლისათვის ჩვენ ვსთხოვთ იმ ამხანაგებს, რომლებიც გულწრფელად ფიქრობენ საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებაზე არა მარტო ცენტრში, არამედ ცალკ-ცალკე მაზრებშიაც, მსგავსი შემთხვევების დროს პირდაპირ მიმართონ სამაზრო ხელისუფლებას, რომელიც გამოარკვევს სასწრაფოდ საქმის მდგომარეობას და მიიღებს სათანადო ზომებს ამა თუ იმ ბოროტმოქმედების ასალაგმავათ. რა თქმა უნდა საჭიროების დროს ყველას აქვს უფლება მიმართოს ცენტრს, მაგრამ ეს მაშინ, როცა სხვა საშუალება და გამოსავალი არა სჩანს და როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე **ა. დოლიძე.**

ქ. ხაშური

ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯთაგანი, რომელიც გადასდგეს ხაშურის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეთა შეერთებულმა ადგილკომებმა, უნდა ჩაითვალოს მიერ კულტ-კომისიის დაარსება ქ. ხაშურში. ეს მოხდა სულ რამოდენიმე დღის წინათ და ამ ხნის განმავლობაში მრავალი საგულისხმიერო საკითხი გადაწყდა. მკითხველებს ალბათ მოეხსენებათ, თუ როგორ დიდ მუშათა ცენტრს წარმოადგენს ქ. ხაშური. ასეთ ქალაქში არ არის ისეთი კულტურული დაწესებულება, გარდა რკ. გზის კლუბისა, სადაც ქალაქის მუშა-მოსამსახურეებს შეეძლოთ სულიერ გონებრივი საზრდოს მიღება. ასეთის უქონლობის გამო, ხშირად შეხვდებით მუშებს სამიკიტნოებში, რომლებიც ხაშურში ბლომათ მოიპოვება. ზემოთაღნიშნულმა კომისიამ უპირველეს ყოვლისა ამ მოვლენას მიაქცია ყურადღება.

გამოძებნილი იქნა შუა ქალაქში სამი შენობა და განიზრახეს მისი თეატრად გადაკეთება. ადგილობრივი ხელისუფლება უკვე შეუდგა გადაკეთებას და შეიძლება თამამად ითქვას, ორი ან სამი კვირის განმავლობაში შეკეთება დამთავრდება.

სამივე შენობა ერთიანდება კარებით. ერთ მათგანში ჯერ-ჯერობით გაიხსნება კინო, მეორეში სამკითხველო-წიგნთსაცავით და მესამეში უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. ეს უკანასკნელი დროებით, რადგან აქა-იქ კიდევ მოიპოვება ხაშურში წერა-კითხვის უცოდინარი რამოდენიმე მუშა.

აღნიშნულ შენობების თეატრათ გადაკეთება აუარებელ ხარჯებს თხოულობს და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს არ ძალუძს თავის თავზე იდოს მთელი ხარჯები, ამიტომ კულტ-კომისიამ ერთგვარი მოწოდებით მიმართა გორის სამაზრო პროფბიუროს და საქ. პრ. კავშ. საბჭოს დასახმარებლად. აღნიშნული ორგანოები დიდის თანაგრძნობით შეხვდენ კულტ-კომისიის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და პირველმა—გორის პროფ-ბიურომ აღმოუჩინა დახმარება ათი ჩერვონეცით, ხოლო საქ. პრ. კავ. საბჭომ დიდი დახმარება აღუთქვა და კულტ-კომისიაც იმედოვნებს, რომ ს. პ. კ. საბჭო გაუწევს მათ დახმარებას როგორც ფულით, ისე ლიტერატურით. ადგილობრივი ორგანოები და კულტკომისია ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ რაც შეიძლება მალე დაამთავრონ თეატრი, და ამიტომ მეც მოუწოდებ ყველა პატიოსან მუშა-მოსამსახურეს და მოქალაქეს, ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს ასეთი დიადი საქმისათვის.

Acus.

ბიბლიოგრაფია

ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე

ტომი მესამე

ეს წიგნი მიძღვნილია პროფ. მელიქიშვილისთვის, რომლის სურათი თავშივეა დაბეჭდილი, და ამ სურათს მიჰყვება შემდეგი საგულისხმიერო განცხადება:

„უნივერსიტეტის პირველ რექტორს დამსახურებულ პროფესორს ქიმიის დოქტორს პეტრე მელიქიშვილს სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის თავზე ძღვნად პროფესორთა საბჭოსაგან".

ამას მიჰყვება სამკაულ-ხვეულებიანი ფურცელი, რომლის თავს რგოლში გამოსახულია ნუკრის მაწოვნებელი ირემი, მერე: „1873—1923. პეტრე მელიქიშვილი".

388—კაბადონოვანი წიგნი გადაიშლება მ. შალამბერიძის წერილით „პეტრე მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა". ავტორი გადმოგვცემს, რომ პეტრეს მამა, მესხი ჩამომავლობით, გადმოსახლდა ტფილისს, დასახლდა სოლოლაკს და მხურვალე მონაწილეობა მიიღო პირველ ქართულ სტამბის დაარსების საქმეში ტფილისს (1864 წ.), პეტრეს ძმა სტეფანე იყოო გამომცემელი გაზეთ „დროებისა" (1866 წ.), ხოლო დაი ეკატერინე, სერგეი მესხის მეუღლე, არისო მწერალი ქალი. აი, ამ წრეში დაიბადა და აღიზარდაო პეტრე, რომელმაც აქაურ გიმნაზიის კურსი ჩინებულად დაასრულაო და მერე ოდესას გაემგზავრაო და იქაური უნივერსიტეტიც ისევე წარჩინებით დაამთავრაო.

შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ პეტრე მელიქიშვილი გახდა ქიმიის დოქტორად და დამსახურებულ პროფესორად. წერილი თავდება სიტყვებით: „ვუსურვოთ მას კვლავ ჯანმრთელი დღეგრძელობა ჩვენი ქვეყნის და მსოფლიო მეცნიერების სასარგებლოდ".

აქვე დართულია პ. მელიქიშვილის სამეცნიერო ნაშრომთა სია, რომელიც ფრიად გრძელია, მიუწევს 81 მდე.

ამავე ტომში დაბეჭდილია გამოკვლევები ი. ქუთათელაძისა, მუსხელაშვილისა, შ. ნუცუბიძისა, ივ. თიკანაძისა, ა. ხარაძისა, ბ. ლოლობერიძისა, მ. ბექაიასი, ვ. კუპაიძისა, ნ. ციციშვილისა, მ. შალამბერიძისა, ა. ნათიშვილისა, ვ. ალექსანდროვისა, ა. დიდებულიძისა, ვ. ქლენტისა, გ. ნიკოლაძისა, შ. მიქელაძისა და კიდევ ქვემო ხსენებულ პროფესორებისა, რომელთა თხზულებების მოკლე განხილვას აქვე დაურთავთ.

ი. ჯავახიშვილის წერილი „ახლად აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრება" და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება" იძლევა მრავალ ახალ ცნობებს საქართველოს ისტორიისა და თვით მის მემატიანეთა შესახებ. გამოკვლევა სავსეა მის ავტორის დაკვირვებებითა და დასკვნებით. ახლად აღმოჩენილი ნუსხა მკვლევარის კალამმ ქვეშ აშუქებს არა ერთ ამბავსა თუ შემთხვევას, რომელიც აქამდე ბნელით იყო მოცული.

საჭიროა, რაც შეიძლება მალე, მეცნიერულად დაიბეჭდოს არა მარტო ეს ახლად აღმოჩენილი ნუსხა, არამედ მთელი მატიანე („ქართლის ცხოვრება"). კულტუროსანი ერი რაღა კულტუროსანია, თუ მას არა აქვს დაბეჭდილი თავისი ანნალები საყოველთაო სახმარად!

კ. კეკელიძის „ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები" შეიცავს მრავალგვარ ცნობებს და ლეონტის შრომას აშუქებს ახალის თვალსაზრისით.

ალ. ჯავახიშვილის გამოკვლევაში „კავკასური მოდგმა", ანთროპოლოგიურ ნიშნების მიხედვით ეს მოდგმა დაყოფილია 4 ჯგუფად: ა) ჩერქეზული ჯგუფი, ბ) ლეკური ჯგუფი, გ) ქართული ჯგუფი და დ) სომხური ჯგუფი; აღნიშნულია აგრეთვე ამ ჯგუფთა შემადგენელი ტიპები.

კავკასურ ჯგუფებს ანუ მოდგმას გარდა ავტორს აღუნიშნავს აგრეთვე ჯგუფები სლავური (რუსები და ყაზახები), მონღოლური (ნოღაები) და ირანული (სპარსელები, ქურთები, აზერბეიჯანლები, თათები შამახიისა).

ჯავახიშვილი გვაცნობებს იმასაც, თუ რომელი მეცნიერი რამდენ მოდგმად ჰყოფდა კაცობრიობას. ფლაუერით მარტო სამი მოდგმაა: ეთიოპური, მონღოლური და კავკასიური. ივანოვსკით კაცობრიობა იყოფება 41 ჯგუფად, მათგან სამი მიეკუთვნება კავკასიურ მოდგმას: ა) ჯგუფი ქართული, ბ) ჯგ. სომხური და გ) ჯგ. ოსური.

გ. ჩუბინაშვილი. თავის თხზულებაში „საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში" შეეხება სულ ახალ და ფრიად დიდმნიშვნელოვან კითხვას—საერო ხუროთმოძღვრულ ქართულ ნაშთებს.

ხუროთმოძღვრების ძეგლები საქართველოში მრავლისაგან მრავალიაო. მათი გრძელი და განუწყვეტელი მწკრივი მე-6 საუკუნიდან იწყებაო. ჩვენი ხუროთმოძღვრების სიმდიდრემ დიდი ხანია მიიქციაო მეცნიერების ყურადღება. ამჟამად ჩვენ ვდგევართო იმ მომენტის წინაშე, როდესაც სისტემატიურად შესრულებული გამოკვლევა ქართულ ძეგლებისა საბოლოოდ დაუმკვიდრებს ქართულ ხელოვნებას განსაზღვრულ ადგილს მსოფლიო ხელოვნების განვითარების მსვლელობაში.

მნიშვნელობა ქართულ ხუროთმოძღვრებისა, განაგრძობს ავტორი, დაფუძნებულია დღევანდლამდე განსაკუთრებით საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებზე ჩვენი ქვეყნის ტაძრები თავიანთი სრულიად ინდივიდუალური მხატვრული ფორმებით იმდენად თავისებურნია და იმდენად მაღალ ღირებულებას წარმოადგენენ, რომ არ შეიძლებოდა არ გამოეწვიათ მათ ხელოვნების დამფასებელთა შორის აღტაცება და განცვიფრება. ხოლო რაც შეეხება საერო ხუროთმოძღვრებას, მისი ძეგლები არ იქცევდნენ ყურადღებას, რადგანაც მთელი მათი შინაგანი მორთულობა დაკარგულია დროთა განმავლობაში. სიმდიდრისა და აფერადებული მშვენიერების ნაცვლად, ეს ნანგრევები ჩვენს წინ დგანან გაშიშვლებულნი, გაძარცულნი და თითქო მოკლებულნიო ყველგვარ ისტორიას. ნამდვილად-კიო, დასძენს პროფესორი, მათში მაგრად ფეთქდა ისეთივე მხნე შემოქმედებითი სული, როგორც საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში. აქაც შემუშავდაო თავისი განსაზღვრული ფორმები და თავისი საამშენებლო ხერხი.

ავტორი მიაქცევს უმთავრეს ყურადღებას კახეთის შენობებს. იგი წინასწარ აუწყებს მკითხველს, რომ „კახეთი ხუროთმოძღვრების მხრივ წარმოადგენს საქართველოს მეტად მნიშვნელოვან კუთხეს, რომლიდანაც (გვგონია, ეს ეხლა უნდა ჩაითვალოს სრულიად გამორკვეულად) შემოქმედებითი იმპულსების ნაკადულები მთელს საქართველოში ვრცელდებოდა".

ავტორს აქვს დასურათებით აღწერილი რამდენიმე სასახლე კახეთისა, სხვათაშორის იყალთოს აკადემიისაც, საცა, გადმოცემით, აღიზარდა შოთა რუსთაველი.

გიორგი ახვლედიანი გააცნობს მკითხველს „Dativus praedicativus ს ოსურ ენაში". ქების ღირსია ჩვენი პროფესორი, რომ შესდგომია შეესწავლოს ენა იმ ერისა, რომელიც ძველი დროითგანვე მოზიარე იყო ქართველებისა მათს ჭირსა და ლხინში.

ჩვენი დიდი ხნის ნატვრაა, კავკასიის უმთავრეს ერების ენები შესწავლილი იქმნეს ქართულ ენასთან ერთად, რომ გამოირკვეს, რაოდენ სიმართლეს შეიცავს „ქართლის ცხოვრების" გადმოცემა, როდესაც ამბობს სომხები, ქართველები, ლეკები და სხვა კავკასიელნი ერთი მამის შვილები არიანო.

ივ. ჯავახიშვილი თავის წერილში „შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი" უბრუნდება იმ ძეგლს

მოწოდება

ყველა გურულ მუშა-მოსამსახურეებს, სამხედრო პირთ და ყველა კულტურულ საქმისადმი გულშემატკივარ ამხანაგ-მეგობრებს

ძვირფასო ამხანაგებო! როგორც თქვენ მოგეხსენებათ, საჯევახო-ჩოხატაურის გზა არსებობდა რამდენიმე ასეულ წელიწადს. ამ გზით გურიის მშრომელი გლეხ-კაცობის ნახევარზე მეტი სარგებლობდა როგორც მიმოსვლისათვის, აგრეთვე ყველა აუცილებელი საჭირო პირნახულის გადასაზიდათ, ვინაიდან აღმოსავლეთ გურიის გლეხ-კაცობა მოკლებული იყო და არის სახნავ-სათეს მიწას, და მას უხდება 25—30 ვერსის მანძილზე წლიური საზრდოს დამუშავება. ეს გზა 1918 წელში წალეკა, ნიაღვარმა გაახრა და უპატრონოდ იყო დატოვებული საქართველოს გასაბჭოებამდე. საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც, სხვადასხვა მიზეზების გამო მისი აღდგენა ვერ მოხერხდა. ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა არა ერთხელ წამოაყენეს ეს საკითხი როგორც პრესაში, ისე თავის დადგენილებაში და მიმართვებში ცენტრალურ ორგანოებისადმი. მაგრამ ყველა რესურსების უქონლობის და იმ გადაუდებელი საამშენებლო მუშაობის გამო, რომელსაც აწარმოებდა სამაზრო აღმასკომი და აწარმოებს დღესაც, გზის შეკეთება არ მოხერხდა.

გზის შეუკეთებლობის გამო მეტის მეტ გაჭირვებას განიცდიან გურიის მცხოვრებლები. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი გზა ბევრი გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ და კიდეც ბევრი არის გასაკეთებელი, მაგრამ ყველას გაკეთება ჩვენს ხელისუფლებას სახელმწიფო ხარჯზე არ ძალუძს, თუ ჩვენ არ აღმოუჩინეთ დახმარება; ამ მიზნისათვის დაარსდა ქალაქ ტფილისში ცენტრალური საამშენებლო დამხმარე კომიტეტი, რომელსაც აქვს დასახული მიზნად დაეხმაროს ოზურგეთის მაზრის აღმასკომს ამ ფრიად საჭირო საქმის დასრულებაში, რასაკვირველია საზოგადო კულტურული საქმის გულშემატკივართა დახმარებით. ამას საამშენებლო კომიტეტი უკავშირებს კიდევ ჩოხატაურის რაიონის საავადმყოფოს, რომელსაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს გურიის გლეხ-კაცობისათვის. საავადმყოფოს ასაგებათ თითქმის ნახევარი მუშაობა დასრულებულია და ის საჭიროებს მატერიალურ დახმარებას დასასრულებლად.

ამისათვის თანახმად საერთო კრების სურვილისა საამშენებლო კომიტეტმა დაადგინა: სავალდებულოდ გახადოს ყველა გურული მუშა მოსამსახურესათვის გადასდოს ყოველთვიურად ოთხი თვის განმავლობაში ხუთ-ხუთი პროცენტი თავის ჯამაგირიდან აგრეთვე მოაგროვოს თავის ნაცნობ-მეგობრებში შემოწირულება.

ამისათვის მოგმართავთ თქვენ, როგორც კულტურული საქმის გულშემატკივართ, შეაგროვოთ თქვენს ნაცნობებში შემოწირულება და გადმოგზავნოთ შემომწირველთა სიასთან ერთად. შემომწირველთა სახელი და გვარი მადლობასთან ერთად იქნება გაზეთში გამოცხადებული. მთელი შეგროვილი თანხა კომიტეტის მიერ შეინახება ტფილისის კომუნალურ ბანკში და საჭიროების დროს გადაეცემა ოზურგეთის აღმასკომს დანიშნულებისამებრ მოსახმარად.

მისამართი: საჯევახო-ჩოხატაურის გზის და საავადმყოფოს საამშენებლო ბიურო ქ. მ. დ. ც. კლუბის შენობა რუსთაველის პროსპექტი № 10

ჩოხატაურის გზის და ჩოხატაურის საავადმყოფოს საამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე **ხ. მეგრელიშვილი.**

მდივანი **გრ. კობიძე.**

რა უფრო ესაჭიროება ყოველ კრიტიკოსს

(პასუხად ამხ. ი. ქვანიას)

„რა უფრო ესაჭიროება სენაკის მაზრას". ასეთი სათაურით გაზეთ „კომუნისტ"-ში (№ 32 1924 წ. 8 თებერვალი) მოთავსებულია ამხ. ი. ქვანიას წერილი. წერილის ავტორს, არ ვიცი რა მიზნით, სურს დაუმტკიცოს მკითხველ საზოგადოებას, რომ სენაკის მაზრაში კეთდებოდა და ახლაც კეთდება მარტო ის, რაც იძლევა მხოლოდ გარეგან ეფექტს. ისეთ საქმეზე კი, რასაც მნიშვნელობა აქვს ტიტველ გლეხობისათვის, მაზრის ხელისუფლება სავსებით არ ზრუნავდა და არც ეხლა ზრუნავს. თავის „ბრძნულ" დასკვნებს, მიღებულს სენაკის მაზრის ხელისუფლების მოქმედების „შესწავლის" შემდეგ, ამხ. ი. ქვანია ასაბუთებს იმით, რომ მაზრის ხელისუფლებამ თითქოს დიდძალი ფული დახარჯა ქალაქის ბაღის გასაშენებლად, „სობოროს" დასანგრევად და ახლა დიდძალ ფულს ხარჯავს ჰიდრო-ელექტრონის სადგურისათვის, რომელიც, ამხ. ქვანიას აზრით, წარმოადგენს ფუფუნების საგანს და სიგიჟეს.

ამხ. ქვანია, მისი „ძლიერი" სულის ერთი შებერვით მაზრის ხელისუფლების ნამოქმედარის „განიავების" და იმის „დამტკიცების" შემდეგ, რომ ჰიდრო-ელექტრო-სადგური არის მხოლოდ ისეთივე ეფექტი, როგორც ქალაქ სენაკის ბაღი, ფუფუნების საგანი, სიგიჟე (ეპიტეტები ამხ. ი. ქვანიასია) და მეტი არაფერი,—გვასწავლის (გმადლობთ, რჩევა-დარიგებისათვის, ამხ. ქვანიავ), რომ მაზრისათვის საჭიროა: 1) მელიორაცია, 2) მიწათმოწყობა და 3) აგრო-დახმარება. (დაგვიწყდათ, ამხ. ქვანია, გზები, ხიდები, სკოლები, კოოპერატივები, ბრძოლა ქურდობასთან, ბანდიტიზმთან და სხვა).

დავიწყებ ქალაქის ბაღიდან. ჯერ ერთი—ქალაქის ბაღის გასაშენებლად, როგორც ამაზე რიხიანად გაიძახის ამხ. ქვანია, დიდძალი ფული არ დახარჯულა. მის გასაშენებლად (გაშენება დაწყებული იყო მეფის მთავრობის დროს და გრძელდებოდა მენშევიკების დროსაც) დახარჯულია 1921 წლიდან ნაწილ-ნაწილად სულ რაღაც 200 ჩერვონეცის მანეთი და ერთი მებაღის შესანახად იხარჯება თვიურად 28 ჩერ. მან. ასეთი ბაღი (მისი სივრცე არ აღემატება 600 კვ. საჟ.) ასეთი მცირე ხარჯით არ უნდა იყოს ფუფუნების საგანი, ფუფუნების მოსისხლე მტერი ქვანია, ქალაქ ახალ-სენაკისათვის, სადაც გვყავს 500-მდე მუშა-მოსამსახურე, 2000 მოსწავლე ახალგაზრდობა და 6000 მეტი მცხოვრები. ვერც ეფექტის მოხდენა შეიძლება ასეთი ბაღით ვინმეზე, ამის სურვილით ძალიანაც რომ ყოფილიყო გატაცებული, არ ვიცი რა მიზნით, მაზრის ხელისუფლება.

არც ერთი კაპეიკი აღმასკომის სალაროდან არ დახარჯულა და არც ეხლა იხარჯება არც ბაღის გასაშენებლად და არც მის შესანახად. ბაღი გააშენა, მებაღეს ინახავდა და ახლაც ინახავს თვითონ ქალაქი თვითდაბეგვრის წესით, რასაკვირველია, კომუნალური მეურნეობის განყოფილების ხელმძღვანელობით.

ეს თანხა, რომელიც გამოიჩენდათ ქალაქის მცხოვრებთ საკუთარი ნებით ქალაქის მოსაწყობად, ხელისუფლებას შეეძლო მოეხმარებია მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებისათვის და არა „მაკრატლის" პრობლემის გადასაჭრელად, თუნდაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი გადაჭრა ასეთი მცირე თანხის საშუალებით.

ასეთია საბჭოთა კანონები, ამხ. ქვანია, და ეს თქვენ უნდა იცოდეთ, როგორც ცენტრში, რესპუბლიკის მასშტაბით, მომუშავემ. ამის სწავლება ჩვენგან, მაზრაში მომუშავეებისაგან, თქვენ არ უნდა გჭირდებოდეთ. სანამ ჩვენ ბაღზე დაიწყებდით წერას და მით ჩვენს გამოყვანას ეფექტის ხალხად, კარგი იქნებოდა გაგეგოთ—რამდენი დაიხარჯა ამ ბაღისათვის, ვისი ფული და როგორ, რომ არ ჩავარდნილიყავით უხერხულ მდგომარეობაში იმათ თვალში მაინც, ვინც ამ ბაღის ისტორიას იცნობს.

ელექტროფიკაცია თქვენ მიგაჩნიათ ოცნებად და სიგიჟეთ: აბაშის ჰიდრო-ელექტრონის სადგურს თქვენ აძლევთ ეფექტის და ფუფუნების საგნის მნიშვნელობას. ელექტროფიკაციის იდეა კი იმ დიდებულ ადამიანს ეკუთვნის, ვინც დედამიწის ზურგის ერთ მეექვსედ ნაწილზე ფუფუნება მოსპო და შრომის სახელმწიფო შექმნა. ელექტროფიკაცია ოცნება კი არა, დღეს საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედების რეალური მოვლენაა. ელექტროფიკაცია სიგიჟე კი არა, რევოლიუციაა ტეხნიკაში, მეურნეობაში,—თუმცა-და მართალია, რევოლიუციას საზოგადოებრივ ურთიერთობაში სიგიჟეთ ნათლავდენ ყველა „მეშჩანური" ელემენტები.

ელექტრონის სინათლე არაა ფუფუნება, რადგანაც ჩვენი გლეხის განვითარება ისეთ დონეზეა ასული, რომ მას სინათლის საჭიროება ღამით შეგნებული აქვს და წყლის ენერგიით განათებული ელექტრონის სინათლე ნავთზე იაფი ჯდება. აბაშის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მიზანი არაა მარტო მაზრისათვის სინათლის მიცემა, არამედ მას აქვს დასახული სამეურნეო და სამრეწველო მიზნები.

რასაკვირველია, თქვენისთანა „ეკონომისტს" ეს სიგიჟეთ და ოცნებათ მიაჩნია, მაგრამ კარგად მცოდნე ელექტროფიკაციის საქმის, მთავრობის სრული ნდობით აღჭურვილი, ფრიად სერიოზულ ადამიანად ცნობილი, და არა ავანტიურისტი, ინჟინერი ჭიჭინაძე აბაშის ჰიდრო-ელექტრონის სადგურზე ამბობს, რომ ეს სადგური უფრო იაფია ყველა სადგურებზე რომელიც კი შენდება საქართველოში; მისი გაშენება მიზანშეწონილია არამც თუ მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური თვალსაზრისით; ის ამუშავების პირველ დღიდანვე საკმაოდ იტვირთება როგორც სინათლის საჭიროებისათვის, ისე მთელი რიგ წვრილ წარმოებებით, რომელიც ჩვენ გვაქვს მაზრაში, ხონში, სამტრედიაში, მარანში და აგრეთვე იძლევა სრულ შესაძლებლობას ბევრ ახალ წარმოებათა აღმოსაცენებლად და განსავითარებლად.

ის ამუშავების პირველ დღიდანვე მოგვცემს ეფექტს, არა გარეგანს, როგორც თქვენ გგონიათ, ამხ. ქვანია, არამედ ეკონომიურს, ე. ი. ის ამუშავების პირველ დღიდანვე გახდება შემოსავლის წყაროდ.

აბაშის ჩანჩქერებზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურის გაშენება მთელი მაზრის მშრომელი გლეხობის იდეაა, რომელიც დაიბადა მას ჯერ კიდევ მეფის დროს, მაგრამ რომლისთვის ხორცის შესხმის პირობები დაუდგა მას მხოლოდ ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს. მთელი მაზრის მშრომელი გლეხობა ყოველგვარ მსხვერპლს იღებს ამ საქმისათვის და გულისყურით თვალყურს ადევნებს დაწყებულ მუშაობას. სენაკის მაზრაში არ დაწყებულა ისეთი საქმე, რომელსაც ასეთი აღფრთოვანება და ფართო დახმარების სურვილი გამოეწვიოს გლეხობის გულში, როგორც გამოიწვია აბაშის ჰიდრო-ელექტრონის სადგურმა.

სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს უსაზღვრო ენტუზიაზმი, ეს სურვილი მსხვერპლისა მოწმობს იმას, რომ აბაშის ჰიდრო-ელექტრონის სადგური არ არის სიგიჟე, არ არის ოცნება, არამედ ცხოვრების დაჟინებითი მოთხოვნილებაა. გაუგებრობაა და ცხოვრების სრული უცოდინარობა ის, რასაც თქვენ სწერთ აბაშის სადგურზე, ამხ. ქვანია, და რამდენიც არ უნდა სწეროთ თქვენ და სხვამ თქვენისთანებმა, სენაკის მაზრის ამხანაგების და მშრომელი გლეხობის გულში არ ექნება არავითარი ადგილი არც ეჭვს, არც ყოყმანს, არც უკან დახევას და ჩვენ მუშურ-გლეხური მთავრობის დახმარებით ორ წელში აბაშის ჩანჩქერებზე ავამუშავებთ ისეთ მანქანას, რომელიც საფუძვლად დაედება კულტურულად და ეკონომიურად ჩვენს აყვავებას.

თქვენ მიგვითითებთ მდინარე ცხენის-წყლის ნაპირების გამაგრებაზე, მელიორაციაზე, მიწის მოწყობაზე და აგროდახმარებაზე, როგორც ისეთ საქმეებზე, რომლებიც სხვაზე მეტად ესაჭიროება სენაკის მაზრას.

დაგვგვიანდათ, ამხ. ქვანია! თქვენ მიერ ჩამოთვლილ საქმეებს და ბევრ სხვას (გზები, ხიდები, განათლება, კოოპერაცია და სხვ.), რაზედაც უნდა მიგეთითებიათ თქვენ, როგორც ჭკუის „მასწავლებელს" და „გამოცდილს" საბჭოთა აღმშენებელს (ალბად მას შემდეგ, რაც თქვენ კომისრის მოადგილე გახდით), ჩვენ მივაქციეთ ყურადღება საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებიდან და ამ მიმართულებით ვაწარმოებთ გაცხოველებულ მუშაობას. ცხენის-წყლის ნაპირების გამაგრების საკითხი პირველად ჩვენ წამოვაყენეთ ქუთაისის გუბერნიის სამაზრო რევკომების თავმჯდომარეების თათბირზე ქალაქ ქუთაისში 1921 წლის მაისს. 1922—23 წლებში ვაწარმოეთ ცხარე მუშაობა (წერილის დაწერა მიხდება ტფილისში, ამიტომ გაწეული შრომის და ხარჯის ანგარიში ხელთ არა მაქვს) და კიდეც ზოგან მივაღწიეთ საგრძნობ შედეგებს. ახლა მუშაობა შეწყვეტილია იმის გამო, რომ უთანხმოება გვაქვს ინჟინერებთან იმის შესახებ, თუ რა მეთოდით უნდა მოხდეს აწი მუშაობა ნაპირების გასამაგრებლად და აგრეთვე დავა სწარმოებს იმ ორგანიზაციების შორის, რომელთაც უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში.

1924 წლის თებერვლამდე, როდესაც თქვენ კეთილ ინებეთ და მიგვითითეთ ამ უბედურებაზე, ჩვენ რომ არ გვეწარმოებია მუშაობა, ახლა მართლაც რამდენიმე თემი აწიოკებული იქნებოდა ცხენის წყლით. ჩვენ კი ეს დროზე ვქენით და უბედურება ხალხს დროებით ავაშორეთ. ვამბობ დროებით, რადგანაც არც ერთი ინჟინერი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ცხენის-წყლის ნაპირების გამაგრება შესაძლებელი იყოს ისე, რომ საფრთხე ხალხს ასცდეს, თუ კი მდინარის მთელს მარჯვენა ნაპირზე არ გაკეთდა ბეტონის სიმაგრეები, რის გაკეთებას დღეს დასჭირდება ოქროს მილიონები.

1924 წლის თებერვალს თქვენ მოგვაგონეთ მიწათ-მოწყობა. მაშინ, როდესაც თქვენ ბრძანდებოდით საქართველოს ერთ ერთ ავტონომიურ რესპუბლიკის მიწათ მოქმედების კომისრად და არც კი გიფიქრიათ მემამულეებისაგან მიწის ჩამორთმევაზე, ჩვენ მთელი სიმკაცრით რევოლიუციონური კანონებისა ჩამოვართვით მემამულეებს მიწა და გადავეცით გლეხებს; შემდეგ—1923 წლის თებერვალ-მარტში, თანახმად საქართველოს ცაკის მესამე სესიის დადგენილებისა, მოვათავეთ მიწის რეფორმა რევოლიუციონური წესით და შევასრულეთ რეფორმის ტეხნიკური მხარეებიც, როგორიცაა—აქტების შედგენა და სხვა. სამოსახლო მიწების ფონდის შექმნა, მისი დაჭრა სათანადო გეგმით და იქ გლეხების დასახლება მათი შეჯგუფების მიზნით 1923 წლიდან სწარმოებს ჩვენს მაზრაში და 1924 წელს მიმდინარეობს ჩქარი ტემპით. მიწის მოწყობისათვის საჭიროა მიწის-მზომელები. ვინაიდან ჩვენს მაზრაში ეს საკითხი არ მოითხოვს განსაკუთრებულ სიჩქარეს, ამიტომ ჩვენ დავჯერდებით მიწის მზომელთა იმ რაოდენობას, რასაც ცენტრი მოგვცემს და ამ საქმისათვის არც ერთ კაპეიკს არ დავხარჯავთ. აქედან მიღებულ ეკონომიას კი მოვახმართ ისეთ „ეფექტის" საგნებს, როგორიცაა ჰიდრო-ელექტრონის სადგური, ძალიანაც რომ გაგვიჯავრდეთ, ამხ. ქვანია.

უწყების პატრიოტიზმს (ამხ. ქვანია განაგებს მიწათმოქმედების კომისარიატში მიწათ-მოწყობის განყოფილებას) ისე დაუბრმავებიხართ, რომ ხსნას მხოლოდ მიწათ-მოწყობაში ხედავთ.

ვინ არ იცის, რომ აგრო-დახმარება ძლიერ საჭიროა. აგრო-დახმარება იმდენად, რამდენად ეს ჩვენზე იყო დამოკიდებული, არ დაგვიკლია გლეხობისათვის. შემოდგომაზე მიწის დახვნა, გაზაფხულზე ადრე ხვნა-თესვის და მისი მნიშვნელობის კამპანია, აგრონომების რაიონებზე მიმაგრება და ლექციების კითხვა, 1921—22 წლებში სამქედლოების მოწყობა რაიონებში მიწის სამუშაო იარაღების შესაკეთებლად, სათესლე სიმინდის, ხორბლის და შაბი-გოგირდის მიწოდება, აი ის სამუშაო, რომელსაც ჩვენ ყოველ წელს ვაწარმოებდით და ახლაც განვაგრძობთ აგრო-დახმარების დარგში. იმ მიზნით, რომ ბამბის თესვა გავავრცელოთ გლეხობაში, წელს ვაწყობთ 20 დესეტინა მიწაზე სამაგალითო ბამბის პლანტაციას. რაც შეეხება იარაღების მიწოდებას, ამას ვაწარმოებდით იმდენად, რამდენადაც ხელს გვიწყობდა ცენტრი.

თქვენ გაიძახით აგრო-დახმარებაზე და იმ დროს კომისარიატში მოკალათებული გყავთ აგრონომები, რომლებიც სოფლებში უნდა იყვნენ. თვეინახევარზე მეტია, რაც ამხ. ვანო სტურუამ გასცა ბრძანება სასოფლო-სამეურნეო იარაღების მაზრებში გადაგზავნის შესახებ და ეს დღემდე არაა შესრულებული იმ აპარატის მიერ, რომელშიც თქვენ ერთ-ერთ პასუხისმგებელ მომუშავეთ ბრძანდებით. გირჩევთ თქვენი „ოჯახი" მოაწყოთ და ამხ. ვანო სტურუას, რომელიც, გარდა კომისარიატში მუშაობისა, ასრულებს ათასს სხვადასხვა ვალებებს, გაუწიოთ დახმარება, რომ ყველა მისი განკარგულებანი დროზე და სისწორით სრულდებოდეს. მაზრებისათვის ჭკუის სწავლებას კი თავი დაანებეთ, რადგანაც მათ თქვენი მითითება, გარწმუნებთ, ნაკლებათ სჭირდებათ.

ამხ. ქვანიას აინტერესებს მელიორატიული მუშაობა ჩვენს მაზრაში. ვაწუგეშებ მას, რომ ასეთი მის მითითებამდე ჩვენში დაწყებულია. ა.-კ. წყალთა მეურნეობის მიერ გამოგზავნილი ინჟინერი იკვლევს, თუ როგორ იქნება შესაძლებელი ჭალადიდის ჭაობის დაშრობა და რა თანხა დასჭირდება მას. შესაძლებელია, რომ ელექტრონის ენერგია აუცილებელი საჭირო შეიქნეს ჭალადიდის ჭაობის დასაშრობად. ვნახოთ.

ამხ. ქვანიას აწუხებს „სობოროს" დანგრევა. ვანუგეშებ მას, რომ მის ადგილზე აშენდება კულტურის ტაძარი—სახალხო სახლი. ამხ. ქვანიას, რომელსაც თავს უდევია სენაკის მაზრის ხელისუფლებისათვის სამოქმედო გეგმის მიცემა, არ უნდა დავიწყებოდა სხვა საქმეებიც, რომელიც არ უნდა ჩაითვალოს, ჩემის შეხედულებით, ეფექტის საგნებად. ასეთია: გზები, ხიდები, სკოლა, სახალხო განათლება, კოოპერაცია, ბრძოლა ქურდობა-ყაჩაღობასთან და სხვა.

შეიძლება ქვანიას, რომელიც პირდაპირ შეულია მიწათ-მოწყობის საკითხზე, ეფექტებად ეჩვენებოდეს ეს, მაგრამ მე, მიუხედავათ მისგან მოსალოდნელი „საშინელი" კრიტიკისა, ვაცნობებ მას:

სენაკის მაზრაში ყოველ წელს აგვისტო-სექტემბერი ცხადდება მშენებლობის თვეებად, რომლის განმავლობაში გლეხებს გაყავთ გზები. ასეთი გზებით, სადაც დღეს შეიძლება თავისუფლად მოძრაობა ყოველ ეტლით, ჩვენს მაზრაში დაკავშირებულია ყოველი თემი ერთმანეთთან, რაიონებთან და მაზრის ცენტრთან.

სენაკში გავაშენეთ მშრომელი გლეხობის ფართო დახმარებით 6 ხიდი საერთო სიგრძით 168 საჟენი: მდინარე ტეხურზე-ორი კანატის—80 საჟ., მდინარე ტარჩნზე-ერთი ხის—18 საჟ., მდინარე აბაშაზე—ერთი ხის 28 საჟენი, მდინარე გურძემიაზე—ერთი ხის 24 საჟ., მდ. ნასორალზე—ერთი ხის 18 საჟ. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა ზედა ნაწილის სავსებით გამოცვლით სამ დიდ ხიდს (აბაშაზე, ცივზე და ტეხურზე) და გაკეთდა ბევრი სხვა პატარა ხიდები. შენდება ორი ხიდი საერთო სიგრძით 60 საჟენი, ერთი მდინარე აბაშაზე—რკინის 36 საჟ. და მეორე მდ. ცივზე ხის—24 საჟენი. მიმდინარე წლის ზაფხულში—გასაშენებლად დანიშნულია კიდევ 4 ხიდი, (მდ. აბაშაზე ზანათში, მდ. ტეხურზე—ს. ლეძაძამესთან, მდ. ცივზე—ხორშის გზაზე და მდ. წაჩხურაზე), რომლის მასალა მზადდება.

ყველა სკოლებს გაუკეთდა რემონტი, გაკეთდა ბევრი ახალი სისტემის პარტა, შენდება ბევრ ადგილას სკოლის ახალი შენობანი.

1922 წ. მაზრის ხელისუფლებამ საკუთარი საშუალებით გახსნა პირველად მთელს საქართველოში პირველი პედაგოგიური კურსები, სადაც მომზადდა 50 წითელი მასწავლებელი, რომლებით შეიცვალენ მენშევიზმით და შოვინიზმით მოწამლული მასწავლებლები.

სავსებით აღმოფხვრილია მშრომელი გლეხობის მაწუხებელი ყაჩაღობა და ქურდობა.

1921 წ. დაპყრობილ იქნა კოოპერატივები და იქ ნაცვლად მენშევიკებისა, სათავეში მოქცეულ იქნენ კომუნისტები. მაზრის სამ უმთავრეს პუნქტში ვაჭრობის საგრძნობი ნაწილი უკვე ჩვენს ხელშია. ქალაქ ახალ სენაკში გავაშენეთ ელექტრონის სადგური წისქვილით და ხერხის დაზგით.

ვაი თუ ყველაფერი ესეც ეფექტებათ მონათლოთ, ამხანაგო ქვანია?!!

დასასრულ ორიოდე სიტყვა „მაკრატელზე". ამხ. ქვანიას ენაზე აკერია „მაკრატელი" და მისი პრობლემა. მას ჰგონია, რომ „მაკრატლის" პრობლემის მიზეზია ჩვენი სასოფლო მეურნეობის დაქვეითება და მისი გადაჭრა შეიძლება ღარიბ გლეხობისათვის იარაღის მიწოდებით და აგრო-დახმარების აღმოჩენით.

სამწუხაროა, რომ ცენტრალურ ორგანოში და რესპუბლიკის მასშტაბით მომუშავე ამხანაგს ჯერ კიდევ ვერ გაუგია „მაკრატლის" პრობლემის მიზეზები. მოვახსენებ ამხანაგს, რომ „მაკრატლის" პრობლემა დაიბადა ჩვენში სწორედ მაშინ, როდესაც სასოფლო მეურნეობა იმდენად ამაღლდა, რომ მან ასი პროცენტით დააკმაყოფილა ჩვენი შინაური მოთხოვნილება და მოგვცა კიდევ ზედმეტი პროდუქტები, რომელმაც გასავალი ვერ იპოვა საგარეო ბაზარზე. საგარეო ბაზრის მოპოვება კი ჩვენი სოფლის მეურნეობის ნაწარმოებისათვის როგორც ფულით, არ არის დამოკიდებული მაზრის ხელისუფლებაზე.

მეორე მიზეზი „მაკრატლის" პრობლემისა გახლავთ, ამხ. ქვანია, ქალაქის ნაწარმოების ფასების ზრდა. ამ შემთხვევაში ჩვენი მაზრის ხელისუფლება ულონოა, რადგანაც ფაბრიკა-ქარხნები მაზრაში აღარ გვაქვს.

„მაკრატლის" საკითხის სიმწვავის შენელება ჩვენზე დამოკიდებულია იმდენად, რამდენად ჩვენ შევსძლებთ კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის საშუალებით ქალაქის ნაწარმოები მივაწოდოთ გლეხებს. ამას ჩვენ ვასრულებთ იმდენად, რამდენად ამის შესაძლებლობას ჩვენ გვაძლევს ჩვენი ქვეყნის საერთო ობიექტიური პირობები.

ჯერ კიდევ შარშან ჩვენ, გვაწუხებდა რა „მაკრატლის" საკითხი, შევძელით გლეხების 40 ათასი ფუთი სიმინდი, რომელიც სენაკის ბაზარზე ღირდა 15—20 კაპ., მიგვეყიდა ღვინის ტრესტისათვის ფუთი 40 კაპ., საიდან ჩვენ ფუთზე ვურიგებდით გლეხებს 34 კაპ.

რასაკვირველია, ზევით ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა მეტი იყოს, გლეხობისათვის იარაღების მიწოდებით, აგრო-დახმარებით და სხვა. ზრუნვა ამაზე საბჭოთა ხელისუფლების ერთი მთავარი ამოცანათაგანია. იარაღებით დავეხმარებით გლეხებს იმდენად, რამდენად ცენტრი ხელს შეგვიწყობს. იარაღებს ჩვენ ქალაქის ბაღის საჭიროებისათვის დახარჯული ფულით ვერ შევიძენდით, რადგანაც ეს მცირე თანხა ვაჭრებმა გამოიღეს საკუთარი სურვილით და დაბეგვრა მათი იარაღების შესაძენად ჯერ ჯერობით არც ერთი საბჭოთა კანონით არ არის გათვალისწინებული.

გაზეთებში წერა კარგი საქმეა. კრიტიკა და რჩევა-დარიგებაც მოსაწონია, მაგრამ, როდესაც კრიტიკა უსაფუძვლოა, არაა დამყარებული საქმის შესწავლაზე, მაშინ ის უსარგებლოა, წყლის ნაყვაა და გაზეთის ფურცლებზე უბრალოდ ადგილის დაკავება.

სანამ ამხ. ქვანია კალამს აიღებდა ხელში და შეუდგებოდა სენაკის მაზრის ხელისუფლების ნამოქმედარის „განიავებას", მანამდი მას უნდა შეესწავლა ეს მაზრა და აგრეთვე გასცნობოდა იმ საკითხებს, რომელიც მას წამოყენებული აქვს თავის წერილში „მაკრატლის" პრობლემის სახით და სხვა.

ამხანაგ ქვანიას ვეტყვით, რომ ჩაწიხვლის უფლება ისეთ ფურს აქვს, რომელიც სხვაზე მეტს იწველის. თუ მაინცა და მაინც კიდევ მოეკიდებით ხელს ვინმეს გაკრიტიკებას, მაშინ შეისწავლეთ საქმე და გაეცანით წამოსაყენებელ საკითხებს.

რა უფრო ესაჭიროება სენაკის მაზრას, ეს ჩვენ თქვენს მითითებამდი ვიცოდით, რადგანაც ჩვენ გვყავს თქვენზე უკეთესი მიმთითებელნი და დამრიგებელნი უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ორგანოების სახით.

ახლა მე თქვენ მიგითითებთ—რა გესაჭიროებათ თქვენ, როდესაც გამოდიხართ კრიტიკის ასპარეზზე: საქმესთან გაცნობა, მისი შესწავლა, თეორეტიულ საკითხებთან გაცნობა პირადი საქმიანობის გამოჩენა რაიმე დარგში და შემდეგ კრიტიკის როლში გამოსვლა.

სენაკის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე **ხ. მ. მუღია.**

შენიშვნა: პასუხი დაგვიანებით იბეჭდება, რადგანაც ახლახან დავბრუნდი ქ. მოსკოვიდან. **ხ. მ.**

მუშათა ცხოვრება

რაში ვართ დამნაშავე მუშები?

(სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს საყურადღებოდ).

ვაჭრების თავგასულობას რომ საზღვარი არა აქვს და განსაკუთრებით მეპურეებისა, ამაზე ლაპარაკი თითქმის ზედმეტია, რადგანაც ამათ უსინიდისო მოქმედებაზე—მუშების მიმართ იმდენი დაწერილა, რომ მკითხველს მობეზრებულიც აქვს ამის მოსმენა. მაგრამ რა დავაშავეთ ჩვენ, მუშებმა, რომ ბევრ სხვა სიკეთეს გარდა, პურის მონატრენიც შეიქნენ ჩვენი ბავშვები. საქმე შემდეგშია: ერთი ჩვენი ქარხნის მუშა-ქალმა, რომელსაც ხუთი სული ჰყავს სარჩენი, ისესხა მეორე მუშისგან ფული პურის საყიდლად. ქალმა მიმართა პურისათვის რამდენიმე მეპურეს, მაგრამ არც ერთმა მათგანმა ერთი გირვანქა პურიც არ მიჰყიდა მას, რადგანაც ნასესხი ფული სულ მილიონიანი იყო. მეპურემ ეს წვრილი ფული არ მიიღო. პური ხელიდან გამოგლიჯა და ქალი ლანძღვით გამოაგდო დუქნიდან. ამის შემდეგ გაჭირვებულმა მუშა-ქალმა მიჰმართა მეათე კომისარიატს, საიდანაც გამოატანეს ქალს ერთი მილიციონერი და ამის ზეგავლენით ვაჭარმა მისცა მუშას ორი გირვანქა პური. და ამ დღეს საბრალო ბავშვებს რომ პური არ მიეღოთ, მთელი დღე მათ სიმშილით უნდა დაელამებინათ, რადგანაც მუშა ქალს სხვა ფული არა ჰქონდა. ასეთი მაგალითები არა ერთი და ორია, რის გამო ჩვენ, მუშები, გამოურკვეველ მდგომარეობაში ვართ ჩაყენებული. არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. ჩვენ თვეში ორჯერ ვიღებთ ჯამაგირს, სადაც საკმაო რიცხვს გვაძლევენ ასეთ წვრილ ფულს და როცა რომელიმე დუქანში (სადაც უმეტესი ნაწილი მუშებისა ნისიათ იღებენ სურსათ სანოვაგეს) იქაც კი ძნელად იღებენ ამ წვრილ ფულს. არ კისრულობენ აგრეთვე ჩვენი ფაბრკომები ამ საქმის მოგვარებას. ჩვენ ჯამაგირის მიღების დროს თუ უარი განვაცხადეთ ამ წვრილ ფულების მიღებაზე, ეს ხშირად უთანხმოებას იწვევს ჩვენსა და ადმინისტრაციას შორის. ამიტომ საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, მიაქციონ სათანადო ყურადღება ამ გარემოებას და გამოუშვან ისეთი განკარგულება, რომ ყველა ვაჭარმა დაუბრკოლებლივ მიიღონ მუშებისაგან ეს წვრილი ფულები, ან და მოგვცეს შრომის ხელფასი დიდი კუპიურებით. ყოველდღე ჩვენ არ შეგვიძლიან, რომ ორიოდე გირვანქა პურის ყიდვისათვის კომისარი ან მილიციონერი თან ვიყოლიოთ, რომ ადმინისტრაციის მოცემული ფულით შეგვეძლოს რამის ყიდვა. თუ კი ეს არ მოხდება, მაშინ. დეე, ჩვენც ნუ მოგვცემენ ისეთ ფულს, რომლის დახარჯვაც უაყალ-მაყალოთ არა თავდება.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

შრომის შემნახველი კასების ოპერაციები

შემნახველი კასები ექვემდებარება სავსებით ამიერ-კავ. ფინანსთა კომისარიატს, რომლის განკარგულებით კასებში ოპერაციები სწარმოებს ორჯერ დღეში: დილით—9 საათიდან—12-დე და ნაშუადღევს 4 საათიდან ექვსამდე. ნამდვილათ კი ზოგიერთი კასები, განსაკუთრებით პირველი, მეორე და მესამე, წევრთა სიმრავლის გამო, რომელთა რიცხვი თითოეულში აღის 1000 კაცამდე, მუშაობენ დღეში 8—9 საათს და მეტსაც, რადგან წევრებს ე. ი. ფულის შემტანთ, ფულის კურსის დაცემის გამო, წვრილ-წვრილად და ხშირად გამოაქვთ თავიანთი ანაბარი (შესანახად შეტანილი ფული).

კასები იღებენ შესანახად ფულს, იძლევიან უკანვე დილით იმ დღის კურსით, ნაშუადღევს კი იძლევიან ფულს იმ დღის კურსით და შესანახად იღებენ მეორე დღის კურსით; ეს იმიტომ, რომ კასამ ზარალი არ ნახოს კურსის დაცემის გამო.

შემნახველი კასები ვალდებული არიან დღით 1 საათამდე ყოველ დღე შეიტანონ სავსებით წევრების მიერ შემოტანილი ფული რუსეთის კომბანკის განყოფილებაში, რომელიც იღებს შესანახად იმ დღისავე კურსით და იძლევა კიდევ სარგებლის სახით, წლიურს 6 პროცენტს, კასები კი თავის მხრივ აძლევენ წევრებს შეტანილ ფულში სარგებლის 3 პროცენტს წლიურს. მაგრამ აქ მთავარი მნიშვნელობა აქვს არა სარგებელს, არამედ შეტანილ ფულის ნიშნების დაზღვევას კურსის დაცემისაგან, ფულის ღირსების შეკავებას, რით დიდ სარგებლობას აძლევს კასის წევრებს, განსაკუთრებით კი მუშებს და მოხელეებს, და ამაშია სწორედ შემნახველ შრომის კასების უმთავრესი როლი.

მშრომელმა ხალხმა უკვე შეიგნო აღნიშნულ კასების დიადი მნიშვნელობა, ასობით და ათასობით აწყდებიან მათ, შეაქვთ შესანახად თავის ნაშრომი და შემდეგ გამოაქვთ დასახარჯად წვრილ წვრილად. ამ რიგათ თითოეულ წევრს 3—4-ჯერ მაინც გამოაქვს კვირაში კასიდან ფული, ზოგიერთს თითქმის ყოველ დღე და მით ფრიად ართულებენ კასებში მუშაობას, რაც იწვევს გრძელ რიგსა და კუდებს და ამით კი ბადებს თვით წევრებში უსამართლო საყვედურს და უკმაყოფილებას კასებისადმი, რადგან კასებში მომუშავეთა რიცხვი ძალიან მცირეა და არ ძალუძს ჯეროვანად დააკმაყოფილონ ყოველ დღე 250 და 300 კაცის მოთხოვნილებანი. ამის გამო ზოგიერთი შეუგნებელი წევრები იმის ნაცვლად, რომ ღრმად ჩაიხედონ შემნახველ კასების მუშაობაში, თუ რა მძიმე ტვირთი აწევთ აქ მომუშავეთ, სხვადასხვა ჭორებს, სრულიად გაუმართლებელ ხმებს ავრცელებენ საზოგადოებაში და უსამართლოდ ქირდვენ კასებში მომუშავე პირებს. ამ მხრივ ნიშანში ჰყავთ ამოღებული უმთავრესად მესამე კასა, რომელსაც აწევს ყველაზე მეტი მუშაობა.

ჩვენ დიდათ საჭიროთ მიგვაჩნია ოპერაციების გამრავლება შემნახველ კასებში და მასთან შტატის მომატებაც, რომ მოისპოს არასასურველი გრძელი რიგი და კუდები და ამის გამო გამოწვეული უკმაყოფილებანი.

ხ. ქვარიანი.

მე-4 სტამბაში.

ამ დღეებში აღნიშნულ სტამბაში მოხდა ადგილკომის სრული შემადგენლობით კრება, რომლის მიზანს შეადგენდა გამოენახათ და აერჩიათ სარედაქციო კოლეგია ახლო მომავალ გამოსაშვებ „კედლის გაზეთი“-სათვის.

ამ სხდომაზე არჩეული იქნა სარედაქციო კოლეგიაში ამხ. ნაზარეტიანი, დ. ლოლობერიძე და დოშოიანცი. კანდიდატებათ: ამხ. ხაჩატუროვი, სადაგიშვილი და აკოფოვი.

კარგა ხნის კამათის შემდეგ სხდომამ უერთდება ამხ. ნაზარეტიანის აზრს და ერთხმად ადგენს: გამოიცეს კედლის გაზეთი ორ ენაზე (რუსულ და ქართულ ენაზე).

ამავე სხდომაზე ხელმეორედ იქნა დასმული საკითხი ძველი და პატიოსანი მუშის ამხ. გარიბოვის შესახებ, რათა ამ უკანასკნელს ჩვენი მუშების თაოსნობით მოეწყოს იუბილე.

იუბილეს მოწყობის საქმის მოგვარება მუშებმა დაავალეს ჩვენი სტამბის მუშა-ამხანაგებს—ლოლობერიძეს და აკოფიანცს.

სხვათა შორის კრების მიერ მოწონებულ იქნა ადგილკომის და სარევიზიო კომისიის მუშაობა.

მუშა დონ-დანი.

გერმანიის პროლეტარიატის სახელობის მუშათა კლუბი.

ტყავის ქარხანასთან არის შეერთებული ფეხსაცმელების, ქვის ფაბრიკა, ელექტრონის სადგური და მატყლის სარეცხავი განყოფილება. ერთ კლუბში, რომელსაც ეწოდება ამხ. ლენინის სახელობის კლუბი, გლოვის ნიშნად ერთი თვით შეჩერებულია წარმოდგენების მართვა. მიუხედავათ ამისა, ქართული დრამატიული წრე საჭიროებისდაგვარად სადამოობით იკრიბება და მსახიობნი გადიან რეპეტიციებს ახალი პიესებისას. აგრეთვე კლუბისთვის ამ ხნის განმავლობაში იხატებოდა ახალი დამატებითი დეკორაციები, გაფართოვდა სცენა და სხვა. წრეში ირიცხებიან როგორც ადგილობრივ ფაბრიკა-ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, აგრეთვე ავლაბრის და ორთაჭალის ძველი სცენის მოყვარეები და შესდგებიან შემდეგი პირებისაგან: ი. ასათიანი, მარო ასათიანი, ს. აუშტროვი, ს. ალავერდოვი, ა. ბაბიანი, ვ. ბრეწუაშვილი, ს. ბაიდაშვილი, გ. გოტიაშვილი, ა. დვალიშვილი, ზ. ილისაშვილი, ე. კილიანსკაია, ე. კულულაშვილი, (ხელმძღვანელი), გ. კიპრიზოვი, მ. ლექავა, დ. მეტრეველი, ნ. მიცკევიჩი, ვ. მეძმარიაშვილი, ს. მარჭარიოვი, ანნა მჭედლიშვილი, გ. პაპინაშვილი, გ. ქუქუნაშვილი, რ. ფირუმოვი, ვ. ფხაკაძე, ნ. ქოთოლაშვილი, ე. შათირიშვილი და დ. ჩაჩანიძე.

წრეს ჰყავს არჩეული თავის შორის ხუთეული, რომელიც არის მისი ხელმძღვანელი ორგანო.

ხუთეულში შედიან ვ. ფხაკაძე (თავმჯდომარე), ს. აუშტროვი (მდივანი) ი. ასათიანი, გ. პაპინაშვილი და ე. კულულაშვილი.

მუშა-ინფორმატორი ხერხაძე.

გამოგზავნილ წერილებიდან

ბედნიერი ხაზინადარი

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

ტფილისის ხაზინას ჰყავს ხაზინადარი, რომელიც ჯამაგირს იღებს სპეც-განაკვეთით. მისი შრომის ხელფასი 10—12 ჯერ მაინც აღემატება ჩვენი შიკრიკების, დამლაგებლების და დარაჯების ჯამაგირებს. ჩვენ, უნდა ვსთქვათ სიმართლე, ამის საწინააღმდეგო არასფერი გვექნებოდა, რომ ამ „სპეცს“ ამას გარდა სხვა „პრივილეგიებიც“ არ ჰქონოდა. საქმე შემდეგშია: ხაზინადარი სცხოვრობს ხაზინის ბინაზე—არ იხდის არც ოთახის, არც წყლის, არც განათების და არც გათბობის ქირას. მას ყველაფერი მუქთად ეძლევა მაშინ, როდესაც ყველა ზემოჩამოთვლილი დაბალი დარგის მოსამსახურენი ყველაფერს იხდიან კეთილსინდისიერად.

ეს კი ჩვენთვის საზარალოა და უკანონოც არის, რომ ერთი კაცი გალაღებულ ცხოვრებაში იმყოფებოდეს მაშინ, როდესაც 90 პროცენტი ჩვენი მუშა-მოსამსახურეებისა განიცდიან დიდ გაჭირვებას.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და გამოსწორდეს ეს ნაკლი.

მუშა-კორესპონდენტი ვალიკო.

მივიწყებული ქუჩა

(აღმასკომის საყურადღებოდ).

ვლადიმერის ქუჩაზე არ არის არც განათება და არც მილიციონერი ამ ქუჩაზე სცხოვრობენ მუშა-მოსამსახურენი და ულარიბესი მოსახლეობა, რომელნიც დიდ გაჭირვებას განიცდიან გაუნათებლობის გამო. აქ ხშირად ხდება ქურდობა და ძარცვა-გლეჯა.

მეეზოვენი ხშირად თვრებიან და არ დგანან თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

საჭიროა ამ ქუჩის განათება და მეეზოვეთა გაწმენდა.

მუშა კორესპონდენტი გიგო დანდუროვი.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ

(აღმასკომის პასუხი).

შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „კომუნისტი“-ს მე-289-ნომერში, სათაურით „**ეს ანტისანიტარული მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს**“, აღმასკომის კეთილმომწყობ განყოფილებამ გვაცნობა, რომ მათ მიერ უკვე მოხდენილია განკარგულება, რომ მოსახლეობამ ნაგავი ჩაყაროს მტკვარში, იმ ადგილას, საიდანაც წყალი წაიღებს; მეჩვრეები, მცხოვრებნი მოსკოვის ბალკაში, ჰკრეფენ მჩვრებს არა მარტო ამ წყლის პირას, არამედ მთელ ქალაქის სანაგვეებიდან სანიტარულ ექიმების ზედამხედველობით, რომლებიც ახდენენ ამ მოკრეფილ მჩვრების დეზინფექციას.

აღმასკომის ინფორმატორი ვარდოსანიძე.

რომელიც ჩვენ იმავე კრებულიდან გამოვეცით 1891 წელს. ძეგლის სათაური წაბლალულ იყო ტექსტშივე და შინაარსის მიხედვით ჩვენ-მიერ გამოცემულს გავუკეთოთ სათაურად „სასწავლო წიგნი“. ყაუხჩიშვილმა იგივე თხზულება შეისწავლა ბერძნულ წყარო-ძეგლების მიხედვით, შეასწორა ზოგი-რამ ჩვენი შეცდომა, ზოგიც თვით ქართული დედნისავე, და თანავე ისიც გამოირკვა, რომ მართლაც ამ ძეგლს ბერძნულ დედანშიაც ჰრქმევია სასწავლო წიგნი.

გრ. წერეთელი „მენანდროს კომედიები“-ს შესახებ პირველი წერილი დაუბეჭდია „ჩვენი მეცნიერება“-ში, მეორე წერილში-კი საუბრობს იმავე მენანდროს „თავის მომწამლველი“-ს შესახებ. ენა შვენიერია.

გრ. ნათაძეს „ვალი და გირაო როგორც გლეხის დამონავების საფუძველი უძველეს საბერძნეთში“ დიდ საყურადღებო გამოკვლევაა. იგი ავტორს დაუმყარებია კანონ-მდებელის სოლონის ელეგიებზე. ეს სოლონი სხვათა შორის ამბობს:

„...მე მოვაცილე ყველგან ამართული ბოძები, დამონებული უწინ ახლა თავისუფალი გავხადე. მრავალი ათინელი დავაბრუნე ღვთისაგან მინიჭებულ სამშობლოში“.

დავალიანებულ გლეხს თურმე მამულში ჩაურიგებდნენ ბოძებს და ეს ნიშნავდა იმას, რასაც დღევანდელი თამასუქი, ბოძები აღნიშნავდენ, რომ მამული დავალიანებულია და ნახევრად სხვას ეკუთვნისო.

ალ. თვალჭრელიძე აღძრავს კითხვას, რომლის გარდაწყვეტილებას უეჭველად ექნება უაღრესი მნიშვნელობა ჩვენს ეკონომიკაში. იგი მიაქცევს მკითხველის ყურადღებას თავსაბან მიწაზე ანუ, უკეთ ვთქვათ, საპნის-მიწაზე, და ანალიზებით აშკარავებს იმ დიდ სარგებლობას, რომელიც ჰთვისებია მას ბუნებითვე. ჩვენში ამგვარი მიწა ბევრია იმერეთში (გურია, რაჭა, მარტვილი და სხ.) შემოდგომობით ქალები ცდილობენო მთელი წლისთვის მოიმარაგონ ეს მინერალი. ქალები ამ თიხით იბანენო თავს ხმარობენ სარეცხის რეცხვის დროს ზღვის წყალში ბანაობის ჟამსაც, აგრეთვე ხმარობენ ჭრილობის დასაშოშმინებლად.

ამ სტრიქონების დამწერმა მე თვითონ კახეთში მოგზაურობის დროს 1917 წელს სოფელ ჭერემში ვნახე მთა, რომლის მიწასაც იქ საპნად ხმარობენ: მოსჭრიან მიწას, მოიტანენ შინ, მოზელავენ, დააგუნდავებენ, გამოაშრობენ და მერე მით იბანენ თავს, ტანს. ათეთრებს და აფაქიზებს როგორც საპონი. ერთი ასეთი გუნდა ჭერემიდან მოვიტანე ტფილისს და იგი დღეს უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ვიტრინაშია. კარგი იქნება ა. თვალჭრელიძემ ეს გუნდაც შეისწავლოს გასაგებად იმისა, თუ კახეთის საპნის მიწა'ს შორის ერთის მხრით და იმერეთისა მეორეს მხრივ რა ურთიერთობაა.

როგორც გამოსჭვარს თვალჭრელიძის გამოკვლევიდან, საპნის მიწა მომავალში შეიქმნება იგეთივე სამრეწველო საგნად, ვით აქაური ქვაგუნდა, ქვა-ნახშირი, ნავთი და სხვ. ავტორის საყურადღებოდ აღვნიშნავ აგრეთვე შემდეგსაც. საინგილოში არის ერთნაირი „თეთრი მიწა“. ვისაც სურს ტკბილიდან ბაქმაზის მოდუღება, ამ ტკბილს ჩაასხამს ჭურში, მერე თეთრ-მიწას დაფშხვნის, გასცრის და ჩაჰყრის იმავე ჭურში. ერთი ღამის განმავლობაში ტკბილში მყოფი ბურდი ილექება და თვით ტკბილი სრულებით მტკნარდება, ანკარავდება. ამ ანკარას მეორე დღეს ამოსწურვენ და ბაქმაზად მოადუღებენ. საჭიროა მოიძებნოს, საქართველოშიაც ხომ არ არის ასეთი საწმენდი თეთრი მიწა.

ს. დანელიას თხზულება „არისტოტელის მნიშვნელობა საბერძნეთის ფილოსოფიის ისტორიისათვის“, დაწერილი შვენიერ ენით, გააცნობს მკითხველს ანტიურ მსოფლიოს უდიდეს მოაზროვნეს.

აკ. შანიძე თავის წერილისთვის „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისთვის“ მიუყოლებია თვით ჰაემეტი ტექსტები, რომელთა შესახებ უფრო ვრცელ მიმოხილვას კვლავაც გვპირდება პროფესორი.

წიგნი სუფთად გამოცემულია.

უნივერსიტეტის არსებობას უკვე შეუსრულდა ხუთი წელიწადი და ამ მცირე ხნის განმავლობაში, უნდა ვთქვათ, მან ბევრი გააკეთა.

მ. ჯანაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 5.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული—ქალაქად მდებარე სახლების თაობაზე 1922 წ. დეკემბრის 28 თარიღითა და მე-16 №-რით გამოცემული დეკრეტის მე-4 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქართველოს საადგილმამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული—ქალაქად მდებარე—სახლების შესახებ 1922 წ. დეკემბრის 28 თარიღით და მე-16 №-რით გამოცემული დეკრეტის მე-4 მუხლს დაერთოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

შენიშვნა: თავნი ვალისა ან სავადო გადასახადის შემცირების ნაცვლად, სახალხო ბანკის გამგეობას უფლება ეძლევა სავადო გადასახადის ნაწილი, რომლის რაოდენობასაც თვით გამგეობა აწესებს, გადაახდევინოს მსესხებელს ამა დეკრეტში აღნიშნულ ვადის შემდეგაც, ე. ი. 1918 წლის ივნისის 1-ს შემდეგაც. ვადაგადადებულ თანხას სარგებელი და საურავი არ მიერიცხება. საჯარო ვაჭრობის დროს სახალხო ბანკის გამგეობას უფლება აქვს მოსთხოვოს მყიდველს ვადაგადადებული თანხის ან სრული, ან ნაწილობრივი გადახდა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე ლ. ლოლობერიძე.
საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.
1924 წ. თებერვლის 29.
ტფილისი—სასახლე.

დებულება

შრომის სტატისტიკის შესახებ.

1. რათა შრომის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაობა შრომის სტატისტიკის ყველა დარგში გაერთიანებულ იქნეს,—შრომის სახალხო კომისარიატთან დაარსდება შრომის სტატისტიკის სარესპუბლიკო ბიურო.

2. შრომის სტატისტიკის სარესპუბლიკო ბიუროს გამგეს დანიშნავს შრომის სახალხო კომისარიატი ზემოაღნიშნულ დაინტერესებულ დაწესებულებებთან შეთანხმებით.

3. შრომის სტატისტიკის სარესპუბლიკო ბიუროს აქვს თავისი აპარატი.

4. შრომის სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და ცენტ. სტატისტიკურ სამმართველოს შეენარჩუნებათ თავთავიანთი შრომის სტატისტიკის აპარატები. ამასთანავე შრომის სტატისტიკის სხვადასხვა დარგის სამუშაოს განაწილება სტატისტიკური აპარატებ (შრომის სახ. კომისარიატსა, სტატ. ცენტრ. სამმართველოსა და საქ. პროფკავშირთა საბჭოს) შორის მოხდება აღნიშნულ დაწესებულებათა შეთანხმებით.

5. შრომის სტატისტიკის გამგე, იმ საკითხის განხილვის დროს, რომელიც შრომის სტატისტიკას შეეხება, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებს შრომის სახალხო კომისარიატის და ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს კოლეგიების სხდომაში

6. მუშაობის შესათანხმებლად, შრომის სტატისტიკის ბიუროსთან, ბიუროს და სათანადო სტატისტიკური აპარატების გამგეთაგან დაარსდება კომისია, რომლის გამგებლობაშიაც შედის საპროგრამო-საორგანიზაციო ხასიათის საკითხები, სახელდობრ:

ა) განხილვა და დამტკიცება შრომის სტატისტიკის ბიუროს სამუშაო პროგრამისა და გეგმისა როგორც მიმდინარე, ისე ერთდროული ხასიათის ერთად თუ ცალკე,—წარმოებული მუშაობისათვის:

ბ) ურთი-ერთი ინფორმაცია და ყველა სხვა საკითხი, რაც კი დაკავშირებულია მუშაობის შესრულებასთან.

7. შრომის სტატისტიკის ბიუროს სამუშაო გეგმა და პროგრამა უნდა შეტანილ იქნეს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში განსახილველად, თანახმად სახელმწიფო სტატისტიკის დებულებისა (პარ. 6. პუნქ. 2).

8. შრომის სტატისტიკის ბიურო მიიღებს შესაფერ ღონისძიებას, რათა სათანადო სამაზრო ორგანიზაციებთან (პროფესიონალურ და შრომის ორგანოებთან—საქართველოს პროფ. კავშ. საბჭოს და შრომის სახ. კომისარიატის მეშვეობით) დამყარებულ იქნეს რეგულიარული კავშირი მათგან რეგულიარულად სასტატისტიკო მასალის მიღებისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ლოლობერიძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.
1924 წ. თებერვლის 29.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტი** იტყობინება, რომ ოთხშაბათს 5 მარტს, სალამოს 5 საათზე ტფილისის აღმასკომის შენობაში (ყოფ. ქალაქის გამგეობის დარბაზი) შესდგება საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტებში და ადგილკომებში მყოფ საქართ. ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენლების და შინამრეწველებზე შეფობის მიმღებ კომისიების წევრთა საქალაქო კრება.

დღის წესრიგი: 1. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მოხსენება. 2. ინდივიდუალურ მოწაფეობის შესახებ. 3. ტფილისის კომიტეტის ეკონომიურ მუშაობის გეგმის დამტკიცება. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში და ადგილკომებში მყოფ ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა წარმომადგენლების და საშეფო კომისიების ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტის მდივანი ლომიძე.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

2 მარტი დილის 7 საათი

ტემპერატურა (ცელსიით): სოხუმი... 7 გრ., ფოთი... 8 გრ., ბათუმი... 8 გრ., სამტრედია... 7 გრ., ქუთაისი... 6 გრ., აჯამეთი... 6 გრ., ჭიათურა... 6 გრ., წიფა... [illegible] გრ., ბორჯომი... 2 გრ., სურამი... 2 გრ., მუხრანი... 1 გრ., ტფილისი... 2 გრ., მუკუზანი... 5 გრ., ერევანი... 0 გრ. ბაქო... 6 გრადუსი.

ღრუბლიანობა: ყოველგან მოღრუბლულია.

ქარის ქროლა: ფოთში—დასავლეთ-სამხრეთ—დასავლეთის, ნელი; ბაქოში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი. დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ არ ქრის.

ნალექი: სოხუმში, ფოთში, სამტრედიაში—წვიმა დილით, დღით, საღამოს, ღამით და დილის 7 საათი. ბათუმში—წვიმა როგორც დღით, ისე ღამით ქუთაისში—წვიმა დღით. ღამით, დილის 7 საათზე. აჯამეთში წვიმა ღამით დილის 7 საათზე, წიფაში—წვიმა ღამით. ბორჯომში—ნელი წვიმა. მუხრანში—ნელი წვიმა. ტფილისში—ნელი თოვნა, წვიმა დღით. ერევანში—ნელი წვიმა დილით, დღით. ბაქოში—წვიმა დილით.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებთან. ფოთში—ნელი ღელვა. ბათუმში—სიწყნარეა. ბაქოში—ნელი ღელვა. ლენქორანში—ზომიერი ღელვა.

ამინდი საქართველოში: მოღრუბლულია, არის ნალექი. აღმოსავლეთ საქართველოში—ალაგ-ალაგ ჰყინავს.

ჩრდილოეთ-კავკასია.

2 მარტი დილის 7 საათი.

კავკავი. ტემპერატურა:—2 გრ., მოღრუბლულია, ქრის სამხრეთის ნელი ქარი.

კიზლიარი. ტემპერატურა:—4 გრ., მოღრუბლულია, ქრის სამხრეთის ნელი ქარი.

ტფილისი

3 მარტი. დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 4 გრ., მოღრუბლულია, ქრის ჩრდილოეთ-დასავლეთის ზომიერი ქარი.

განცხადებები

საქართველოს კოოპერატიული
კავშირის-ცეკავშირის
საბანკო განყოფილება
ღებულობს ანაბარს ვადიანს, უვადოს და მიმდინარე ანგარიშზე
ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით
ჩერვონეცის კურსის მიხედვით და აგრეთვე ჩერვონცებით როგორც კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადო ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე კერძო პირთაგან.
იღებს ფულს გადასაგზავნად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში.
ფულის გადაგზავნა შეიძლება ჩერვონცების კურსის მიხედვითაც.
ოპერაციები სწარმოებს დილის 9—2 საათ. საღ. 6—8-მდე.
5—3. ნის. 918.

დადგენილება № 4
საქართველოს ს. ს. რ. შინა-ვაჭრობის კომისიისა

1924 წ. თებერვლის 29 დღისა

რათა ფართე მომხმარებელ მასსას გაუადვილდეს პირველ საჭიროების საქონლის და საგნების ნამდვილ ღირებულების გამორკვევა, საქართველოს შინა ვაჭრობის კომისია წინადადებას აძლევს როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ, აგრეთვე კერძო საწვრილმანო სავაჭრო წარმოებებს, მიმდინარე წლის 1 მარტიდან გამოკიდონ თავიანთ სავაჭროებში თვალსაჩინო ადგილზე ან თვით ქვემოდ აღნიშნულ საგნებზე მათი ღირებულება ბაჯაღლო ოქროს მანეთით და კაპიკით გამოანგარიშებული: ყოველნაირი ფქვილი (პურის, სიმინდის და სხვა), პური თეთრი, შავი-მჟავე, მჭადი და სხვა, ლობიო, კაკალი, მზესუმზირას ზეთი, ერბო, კარაქი, ყველი და სხვა რძის ნაწარმოები, თავი და ფხვნილი შაქარი, მარილი, უბრალო საპონი, წუმწუმა, თევზები, ხორცი (ძროხის, ცხვრის, ღორის და სხვ.), ჩითი და ნავთი.

ამ დადგენილების შეუსრულებლობაში დამნაშავენი დაჯარიმდებიან 100-დან 250 ბაჯაღლოს ოქროს მანეთამდე და აგრეთვე მიეცემათ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით შინა ვაჭრობის კანონების დარღვევისათვის.

საქართველოს ს. ს. რ. შინა ვაჭ. კომისიის
თავმჯდომარე ვ. [illegible]
მდივანი გ. ბელქანია 2—2. 928

ეტცრ ცენტრალური რაიონის სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკური ტრესტი.
ტფილისის საპროექტო-სამონტაჟო განყოფილება
რუსთაველის პროსპექტი, 19, ტელეფ. № 1—55. სატელეგრაფო მისამართი: „ეტცერ“.
ტრესტის [illegible] და მოქმედების სფერო
ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო, დამმუშავებელ და სხვა სახის მრეწველობის ელექტროფიკაცია.
ცენტრალურ და სოფლის ელექტრონის სადგურების: ორთქლის, სითბოს და ჰიდრავლიკური სადგურების აგება.
ქვეყნის დაწესებულებებისა, წარმოებებისა და აგრეთვე კერძო პირებისათვის ელექტრო-ტეხნიკურ მრეწველობის პროდუქტების მოწოდება.
ელექტრონის სადგურების, მანქანების და ხელსაწყოების შეკეთება და ყოველგვარი სამონტაჟო სამუშაობების შესრულება.
პროექტების და ხარჯთაღრიცხვების შედგენა.
კონსულტაცია და ექსპერტიზა ელექტროტეხნიკის საკითხებზე.
განყოფილებასთან მოწყობილია მაღაზია და საბაზისო საწყობი.
საქონლის შეძენა შეუძლია კერძო პირებსაც.
ფასები საბითუმოა
მიწოდების საქმის გეგმაშეწონილ ორგანიზაციისა და სათანადო დონეზე დაყენებისათვის, სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს, კოოპერატიულ გაერთიანებებს და კომუნალურ მეურნეობებს ვსთხოვთ აცნობონ განყოფილებას თავის საჭიროებების შესახებ თავის დროზე.
ნ. 925 4—2.

ქუთაისი
ფილიპე ფილიპოვის სავაჭროში
(აკაკი წერეთლის ქუჩაზე)
მიღებულია ელექტრონით განათების ყოველგვარი მასალები გერმანიის ეკონომიური ლამპოჩკები და იყიდება ძლიერ ხელსაყრელ ფასებში
იგივე სავაჭრო ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას ელექტრონის მასალის და მანქანებისას სწრაფად ჩაბარებით.
კრ. 920 15—3 პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საქართველოს საწყობებში,
თამამშევის ყოფ. ქარვასლის შენობაში,
მიღებულია ეკერტის
ნამდვილი გუთნები
ყველა ზომების.
ფასები 40-დან 74 მანეთამდე.
შეძენა შეუძლია ყველას.
სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის დაწესებულია შეღავათი.
კრ. 927—2—2

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—2

ექიმი
პ. ზ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 499—25—

დავკარგე პირადობის მოწმობა ტფ. ქალ. მილიც. მართა (ივანე თუმანიშვილებისა №№ 4104 და 662. აგრეთვე შრომის ბირჟის ბილეთი ივ. თუმანიშვილისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 620—1—1

დავკარგე პასპორტი მაგამეტ მასხურდ-ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 614—1—1

დავკარგე პასპორტი ბაზი მაგომეტ-მასხურდ-ოღლის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 618—1—1

დავკარგე პასპორტი ხაქარ აბდულ რახმან-ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 617—1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა მოცემული სინოდალური კანტორიდან 1908 წ. № 867. ჩაითვალოს გაუქმებულად. ევგენი ილარიონის ძე ურუშაძე. № 615 1—1

ცარიცინის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული ცარიცინის სახელმწიფო სავაჭრო გაერთიანება „ცარგუბტორგ“
ტფილისის განყოფილება: თავისუფლების მოედანი 9, ტელ. 17—17.
ცარიცინის სახელმწიფო ქარხნების პროდუქცია: ლურსმანი, მავთული, რკინეულობა ხარისხებათ დანაწილებული (СОРТОВОЕ), რკინეულობა სახურავის, რკინეულობა ნაჭრობითი (ПОЛОСОВОЕ), რკინეულობა შინის (ШИННОЕ), რკინეულობა მუხარუჯის (ОБРУЧНОЕ), რკინეულობა ქვაბების, „ბოლტები“, „ზაკლიოპკები“, ასფალტი, ოლიფა, საღებავები, სარეცხის საპონი, ბორბლის ზეთი, სარკმლის „ბორჩიცა“, სა[illegible] მასალა, ტყავის საქონელი.
ფასები შესამჩნევად დაკლებულია.
სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერაციას განსაკუთრებული შეღავათიანი პირობები. რწმუნ. საქარ-ში და სომხეთში: ფ. ფ. ბეთანელი.
ბ. 926 5—2

მუშების, მოსამსახურეების, წითელარმიელების, კომკავშირელების და მოწაფეთა
ტირაჟის შესამჩნევად გადიდება და ზედმეტ ხარჯების შემცირება

საყურადღებოთ.
საშუალებას აძლევს გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს გამომცემლობას მიმდინარე წლის 1 მარტიდან მუშებისა, მოსამსახურეებისა, წ.-არმიელებისა, საკომანდო შემადგენლობისა და მოწაფეებისათვის დააწესოს

შეღავათიანი კოლექტიური ხელისმოწერა
შეღავათიანი ხელისმოწერა სწარმოებს პარტუჯრედების, პროფორგანიზაციების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, ადგილკომების და წითელ-არმიელთა ნაწილების საშუალებით შემდეგ საფუძვლებზე:

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელნიც იღებენ ჯამაგირს 1-დან მე-6 ხარისხამდი ჩათვლით და წითელარმიელებისათვის

		ქალაქში	ქალაქს გარეთ
1 თვით	—	75 კაპ.	90 კაპ.
3 „	—	2 მან.	2 მან. 50 კაპ.
6 „	—	4 მან.	5 მან.
წლის ბოლომდი		6 მან. 50 კაპ.	8 მან.

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელნიც იღებენ ჯამაგირს 7-დან მე-11 ხარისხამდი ჩათვლით კომშემადგენლობისა და სტუდენტებისათვის

		ქალაქში	ქალაქს გარეთ
1 თვით	—	1 მან.	1 მან. 15 კაპ.
3 „	—	2 მან. 75 კაპ.	3 მან. 20 კაპ.
6 „	—	5 მან. 50 კაპ.	6 მან. 40 კაპ.
წლის ბოლომდი		9 მან.	10 მან. 50 კაპ.

კოლექტიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება ხელისმომწერთა სიები თვითეული ხელისმომწერის ჯამაგირის ხარისხის აღნიშვნით, რაც დამტკიცებული უნდა იყოს ადგილკომის მიერ.

ის, ვინც სამი თვით გამოიწერს გაზეთს (როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ხელისმოწერის მიხედვით) მიიღებს უფასოდ ორკვირეულ ჟურნალს „პლამია“-ს

ის, ვინც ნახევარი წლით გამოიწერს გაზეთს (როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიურ ხელისმოწერის მიხედვით) მიიღებს უფასოდ „ზარია ვოსტოკა“-ს ბიბლიოთეკას და ორკვირეულ ჟურნალს „პლამია“-ს. 4—2

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, სამ. [illegible] ქუჩა № 6